ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
15 ივლისი **ორშაბათი** 2013
№ 164 (14 080) ფასი 80 თეთრი

# დაუმარცხებელი საქართველოს ნაკრები

11



# ქართველი მესი იტალიაში მიდის?

## ტუტომერკატო: სასუოლო ყველაზე სავარაუდოა, ასევე ჯენოა და უდინეზე



იტალიური „ტუტომერკატო" იუწყება, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ 20 წლის გიორგი ჭანტურია კარიერას იტალიაში გააგრძელებსო: „ქართველთა ლეო მესი, გიორგი ჭანტურია მზადაა, იტალიაში გადმოვიდეს. ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც „ვიტესის" საკუთრებაა სავარაუდოდ „სასუოლოში" გადავა, თუმცა არც „ჯენოას" და „უდინეზეს" განელებიათ მისდამი ინტერესი. სამი მილიონი ევრო და რომელიმე მათგანთან ხელშეკრულებაც დაიდება".

გუშინ „ვიტესმა" ამხანაგური მატჩი გამართა ბელგიურ „სტანდარდთან", ითამაშეს გურამ კაშიამ და ვაკო ყაზაიშვილმა. აი, ჭანტურია კი არ გამოჩენილა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ოფიციალურად: ალკანტარა ბაიერნში

**ტიაგო ალკანტარა** მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელია. 22 წლის ნახევარმცველმა ახალ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, „ბარსელონამ" კი 20 მილიონი ევრო მიიღო, რომელიც შესაძლოა 25 მილიონამდე გაიზარდოს.

*„ტიაგო პეპ გვარდიოლას მოთხოვნით შევიძინეთ. ამ ტრანსფერის გამო ძალიან კმაყოფილები ვართ. ალკანტარამ, ცოტა ხნის წინ, 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე გაიბრწყინა. ის საოცარი ფეხბურთელია, რომელიც „ბაიერნს" გააძლიერებს,"* - განაცხადა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ**.

ტატო ბაციკაძე



# ქართული ლეგიონის პირველი ოფიციალური გოლი ახალ სეზონში

## დავით სირაძემ სპარტაკს მოაგებინა

რუსეთის და უკრაინის პრემიერლიგების პირველი ტურების ქართველი ლეგიონის მიმოხილვა

2



# აია ჩემპიონია

*შვიდკაცა რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი*

შაბათ-კვირას „შევარდენის" სანაკრებო ბაზაზე გაიმართა საქართველოს რაგბი 7-ის 2013 წლის ჩემპიონატის მეორე, ფინალური ეტაპი.

გუშინ გაიმართა პლეი ოფის მატჩები და ფინალი.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს თბილისის „ლოკომოტივი" და ქუთაისის „აია" შეხვდნენ, რომელშიც „აიამ" 49:21 იმარჯვა და საქართველოს ჩემპიონი გახდა. მე-3 ადგილი „ბათუმმა" დაიკავა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ თბილისის „ჯიქების" მოთამაშე **რამაზ ხარაზიშვილი** დასახელდა.

rugby.ge





# დღეს კავანის წარადგენენ?

იტალიურ და ფრანგულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დღეს **ედინსონ კავანი** „პარი სენ ჟერმენთან" 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. 26 წლის ურუგვაელი წელიწადში 10 მილიონ ევროს მიიღებს.

კავანის შეძენა ბევრ კლუბს სურდა. ყველაზე მეტად „მანჩესტერ სიტი" და „რეალი" აქტიურობდნენ, მაგრამ ყველას „პარი სენ ჟერმენმა" აჯობა. სპეციალისტების აზრით, ურუგვაელის ტრანსფერს გუნდიდან **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** წასვლა მოჰყვება, რომელსაც „რეალი" ეპატიჟება.

ტატო ბაციკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

U19. მზადება ევროფინალისთვის

# 19-წლამდელები დაუგავას შეხვდებიან

გადაწყვეტილი ამბავია: საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ლატვიიდან ლიტვაში ნასვლის დღეს, 16 ივლისს, დილის 11 საათზე (ადგილობრივი დროით) მეორე ტესტ-მატჩს რიგის "დაუგავასთან" გამართავს, ამის შემდეგ ჩვენი დელეგაცია კაუნასში ავტობუსით გაემგზავრება.

16 ივლისამდე **გია ცეცაძის** გუნდს სულ ორჯერადი ვარჯიშები ექნება. შეკრების განმავლობაში პირველად, გუნდმა სრული შემადგენლობით 13 ივლისის დილას ივარჯიშა: 11 ივლისს ევროპის ლიგაზე თამაშის შემდეგ გუნდს შეუერთდნენ ქუთაისის "ტორპედოს" და რიგის "სკონტოს" ფეხბურთელები **ნიკა ჭანტურია, ნიკა სანდოხაძე** და **ლაშა დვალი**.

ვარჯიშის შემდეგ, მათ ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდთან კომენტარი გააკეთეს.

**ნიკა ჭანტურია:** *"ჩემთვის და ლაშა დვალისთვის ეს ზედიზედ მეორე ევროპის ჩემპიონატი იქნება, ასეთ ტურნირზე თამაში კი ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. პირველი გამოცდილება შარშან, 17-წლამდელთა ნაკრებში მივიღეთ. ამ ასაკში უკვე სხვა ფეხბურთი და დონეა. თუმცა, იმედია, შარშანდელი და ევროპის ლიგაზე მიღებული გამოცდილება დაგვეხმარება. საფრანგეთთან შარშანაც ვითამაშეთ - ის ფიზიკურად ყველაზე ძლიერი ნაკრები იყო, ვისთანაც ოდესმე მითამაშია. მათი გუნდის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ კონკრეტულ ფეხბურთელებზე გარკვეული ინფორმაციები მაქვს".*

**ნიკა სანდოხაძე:** *"სლოვაკეთში სერიოზული თამაში გვქონდა. ევროპის ლიგაზე მიღებული გამოცდილება ამ ჩემპიონატზე აუცილებლად გამომადგება, რადგან ფეხბურთელს მაღალი დონის საერთაშორისო თამაშები ბევრს მატებს. მიხარია, მზადებას უკვე ნაკრებთან ერთად, სრული შემადგენლობით რომ შევუდექით. ახლა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე ვფიქრობ - ძალიან რთული თამაშები გველის. ჩვენ ჯგუფური ეტაპის წარმატებით გავლას და მინიმუმ ნახევარფინალში გასვლას ვგეგმავთ. ამ დარჩენილ ერთ კვირაში, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ, პირველ თამაშს კარგად მომზადებულები რომ შევხვდეთ. მისი შედეგი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ალბათ, ჯგუფის ფავორიტად ყველა ფრანგებს მიიჩნევს - მათი სახელიდან და ჩემპიონატიდან გამომდინარე. ამიტომ, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდეს. პირდაპირ ვიტყვი - საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყველას უნდა ეშინოდეს! ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ გუნდი ვართ და არავის ვუფრთხით და შეგვწევს ძალა, რომ ყველა გრანდი დავამარცხოთ".*

**ლაშა დვალი:** *"ნდობისა და ძირითადში თამაშისთვის თამაზ პერტიას მადლობა მინდა გადავუხადო. მატჩი შეუცვლელად არაერთხელ მითამაშია, მაგრამ დამატებითი დრო - პირველად და ძალიან დამღლელი თამაში გამოდგა. ბოლოს, ვერც ჩვენ ვუტევდით და ვერც მოლდოველები. ევროპალიგაზე მიღებული გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს და თავდაჯერებულობაც მომემატა. უფროსებთან თამაშისას, მეტი გამძლეობა გჭირდება და სისწრაფეებიც სხვაა. დამატებითმა 30-მა წუთმა დამღალა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზეც თუ ასე მოხდა, ეს პრობლემა აღარ იქნება. ახლა საფრანგეთთან შეხვედრაზე ვფიქრობ, რადგან, ჩემი აზრით, პირველი თამაში გადამწყვეტი და რთული იქნება, მაგრამ ნახევარფინალში აუცილებლად უნდა გავიდეთ".*

19-წლამდელთა ნაკრებმა იურმალაში გასეირნებაც მოასწრო, მეორე დღეს კი ცეცაძემ ფეხბურთელები სხვადასხვა კომპონენტებისა და კომბინაციების დამუშავებაში ავარჯიშა.

**მერაბ მამულაშვილი**


19-წლამდელთა ნაკრები დაუგავა შეხვდება

დინამო


პეტერ გრაიციარის (მარჯვნივ) ტრავმა სერიოზული გამოდგა

# გრაიციარი მომავალ წლამდე იუქმებს

თბილისისა და მოსკოვის "დინამოებს" შორის გამართული ამხანაგური მატჩი უიღბლო გამოდგა **პეტერ გრაიციარისთვის**. თბილისელთა სლოვაკმა ნახევარმცველმა მუხლის ჯვარედინი მყესები დაიზიანა და როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფეხბურთს საკმაო ხნით ჩამოშორდა.

29 წლის გრაიციარს ოპერაცია და რამდენიმეთვიანი სარეაბილიტაციო პერიოდი ელის. საუკეთესო შემთხვევაში, მოედანს იგი მომავალი წლის იანვარში დაუბრუნდება.

ეს "დინამოსთვის" დიდი დანაკლისია. გრაიციარი დედაქალაქურ კლუბს მიმდინარე წლის დასაწყისში შეუერთდა და მის ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად იქცა. სლოვაკის შემცვლელის მოძიება იოლი არ იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მერანი

# გამარჯვება პირველ სპარინგში

მარტვილის "მერანმა" ზაფხულის მოსამზადებელი ეტაპის პირველი საკონტროლო შეხვედრა პირველი ლიგის ბინადარ წყალტუბოს "სამგურალთან" გამართა და 4:3 გაიმარჯვა. მარტვილელთაგან დუბლი შეასრულა შულაიამ, თითო გოლი კი ფონიავასა და მელიავას ანგარიშზეა.

"მერანის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **შეროზია, ფარულავა, ლონლაძე, ქარქუზაშვილი, გეგია, ლობჟანიძე, კერძელაძე, მელქაძე, მელიავა, ფონიავა, კუჭუხიძე.**

შეცვლაზე შევიდნენ: **მონიავა, ჯღამაია, ხუბუა, ქათამაძე, ციკოლია, ქუცურუა, შულაია, ბანება.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# რუსეთი და უკრაინა დაიწყო, თუნდა წააგო

დაიწყო უკრაინული პრემიერლიგა, რომლის პირველ ტურშიც "დნიპრომ" საკუთარ მოედანზე კიევის "არსენალი" 3:0 გაანადგურა. დნეპროპეტროვსკელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ჯაბა კანკავამ**, ხოლო მისი თანაგუნდელები, **სანდრო კობახიძე** და **უჩა ლობჟანიძე** განაცხადშიც არ ყოფილან.

"ზარია" "ტავრიას" ესტუმრა და 2:0 დაამარცხა. **ჯაბა ლიპარტია** "ზარიას" თადარიგში იყო.

"ილიჩევეცმა" გასვლით შეხვედრაში ზაპოროჟიეს "მეტალურგს" 1:0 სძლია. მარიუპოლელთა რიგებში **თორნიკე ოქრიაშვილი** და **დავით თარგამაძე**, შესაბამისად, 61-ე და 82-ე წუთებზე გამოჩნდნენ.

რუსეთის პირველ დივიზიონში სარანსკის "მორდოვიამ" სანკტ-პეტერბურგის "დინამო" მიიღო და დიდი ანგარიშით, 4:1 დაამარცხა. მასპინძელთა შორის **აკაკი ხუბუტიამ** 90 წუთი ითამაშა. ხაბაროვსკის "სკა-ენერგიამ" სტუმრად ვოლგოგრადის "როტორს" 2:1 სძლია. გამარჯვებულთა შემადგენლობაში სრულად ითამაშა **გიორგი ნავალოვსკიმ**.

ნალჩიკის "სპარტაკმა" "ნეფტეხიმიკი" მიიღო და 2:1 მოუგო. მე-18 წუთზე გოლი გაიტანა სპარტაკელმა **დავით სირაძემ**, რომელმაც ანგარიში 2:0 გახადა. იგი მე-80 წუთზე შეცვალეს, ნეფტეხიმიკელმა **მერაბ ურიდიამ** კი მატჩი შეუცვლელად ჩაატარა.

ფინეთის ვეიკაუსლიგაში "ინტერ ტურკუმ" "როვანიემის" უმასპინძლა და 0:0-ს დასჯერდა. მასპინძელთა რიგებში **ირაკლი სირბილაძემ** სრულად ითამაშა. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ "ინტერი" ევროპის ლიგის პირველი ეტაპიდან ფარერულმა "ვიკინგურმა" გამოაგდო.

დანიურმა "ორჰუსმა" ამხანაგური მატჩი 0:3 დათმო "რანდერსთან". **დავით დევდარიანი** "ორჰუსის" ძირითადში გაამწესეს, 52-ე წუთზე კი მოედანზე მის ნაცვლად **დავით სხირტლაძე** შევიდა.

დიუსელდორფის "ფორტუნამ" სპარინგში 3:2 დაამარცხა ფრანგული "მონაკო". გერმანელთა ნახევარმცველი **ლევან ყენია** საქმეში 77-ე წუთიდან ჩაერთო. ყენიამ ძირითად შემადგენლობაში მიკროტრავმის გამო ვერ ითამაშა. პირველადი ინფორმაციით, მას ამ შეხვედრაში მონაწილეობა საერთოდ არ უნდა მიეღო.

არნემის "ვიტესმა" ლიეჟის "სტანდარდს" 1:0 სძლია. ჰოლანდიელთა შემადგენლობაში **გურამ კაშიამ** და **ვაკო ყაზაიშვილმა** შეუცვლელად ითამაშეს.

ბოლოს კი გეტყვით, რომ ევროპის ლიგაზე საჩხერის "ჩიხურას" მეტოქე "თუნი" შვეიცარიის ჩემპიონატის პირველ ტურში სტუმრად 2:3 დამარცხდა "ციურიხთან".

"თუნის" რიგებიდან გოლები **მარტინესმა** და **ჰედიგერმა** გამოიჩინეს, გუნდმა კი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **მოსერი, ლუტი, რაინმანი, სულმონი, სკირინცი, ჰედიგერი, კრსტიჩი (46. სალამანდი), ვიტვერი (83. გასერი), სადიკი (71. კასიო), შნუვლი, მარტინესი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**


დავით სირაძემ ნეფტეხიმიკს გაუტანა

სამზადისი

# ვიტ ჯორჯიას სტუმრობაო...

ახალი სეზონისთვის სამზადისში „ვიტ ჯორჯიამ" მეოთხე საკონტროლო შეხვედრაში დიღმის ბაზაზე „დინამო 2" 5:0 დაამარცხა. გოლები გაიტანეს: **ლევან კუხალეიშვილი** (26), **გიორგი ჯანელიძე** (31,46), **ელგუჯა ლობჯანიძე** (64,85).

„ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობა პირველ ტაიმში: **დაუშვილი, იაშვილი, ადამაძე, კასრაძე, მჭედლიშვილი, წყაროზია, ლიბრაძე, კორიფაძე, ჯანელიძე, სიჭინავა, კუხალეიშვილი.**

მეორე ტაიმში „ვიტ ჯროჯიას" დამრიგებელმა **ზურაბ ბერიძემ** ესენი შეუშვა მოედანზე: **დაუშვილი, იაშვილი, კახიძე, გეთიაშვილი, ბუაჩიძე, დავლაშელიძე, ბუნტური, კვირკვია, ხვისტანი, ჯავაშვილი, ლობჯანიძე.**

რაც შეეხება „დინამო 2"-ს, პირველ ლიგაში მოასპარეზე ეს გუნდი წინა სეზონის შემდეგ მნიშვნელოვანდ შეიცვალა, „ვიტ ჯორჯიასთან" კი ამ შემადგენლობით ითამაშა: **ტყეშელაშვილი, მელიქიძე, პაპუნაშვილი (ჯიმშკარიანი 46), ფოცხვერია (ნიკვაშვილი 65), შერგელაშვილი (მურუსიძე 80), დიასამიძე (ჭეჭელაშვილი 46), სამხარაძე, მახარობლიძე (მაჭავარიანი 46), რუხაძე (სარიშვილი 46), რეხვიაშვილი(ლობჯანიძე 65), მათიაშვილი (მურცხვალაძე 46).**

**დავით თავართქილაძე**


დინამო 2-ვიტ ჯორჯია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. მეტოქე

# დიდი ისტორია და ეპიზოდური წარმატებები

## თუნი (შვეიცარია)

დაარსდა 1898 წელს
ფერები: წითელი, თეთრი
პრეზიდენტი: მარკუს შტელი
მთავარი მწვრთნელი: ურს ფიშერი
სტადიონი: არენა თუნი (ტევადობა 10 300)

მეკარეები: 1. გიომ ფავრი, 18. ფრანჩესკო რუბერტო, 22. დავიდ მოსერი;
მცველები: 3. ლუკას შენკელი, 5. ფულვიო სულმონი, 14. ნიკოლას შინედლორცი, 20. დავიდ ფრეი, 26. თომას რაინმანი, 27. ენრიკო სკირინცი (იტალია), 33. ბენიამინ ლუტი;
ნახევარმცველები: 6. როლანდ ბეტიგი, 7. ლუკა ძუფი, 8. მიხაელ ზიგფრიდი, 10. მილოშ კრსტიჩი (სერბეთი), 17. დენის ჰედიგერი, 21. ნელსონ ფერეირა (პორტუგალია), 25. კევინ ბიგლერი, 28. ანდრეას ვიტვერი, 32. მატიო სალამანი (საფრანგეთი), 35. სეკუ სანოგო (კოტდივუარი);
თავდამსხმელები: 9. ბერატ სადიკი (ფინეთი), 11. იოზეფ მარტინესი (ვენესუელა), 15. მარკო შნუვლი, 16. კასიო (ბრაზილია).



სანდრო იაშვილი თუნში თამაშისას

ლიხტენშტაინური ბარიერის გადალახვის შემდეგ, საჩხერის "ჩიხურა" ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საქმეს შვეიცარიულ "თუნთან" დაიჭერს. მასთან პირველ შეხვედრას **სოსო ფრუიძის** გუნდი 18 ივლისს სტუმრად გამართავს, საპასუხო შეხვედრა კი "ჩიხურას" 25 ივლისს ელის.

იმის მიუხედავად, რომ "თუნის" ისტორია უკვე 115 წელიწადს ითვლის, ამ კლუბის მატიანეს წარმატებული ნამდვილად არ ეთქმის. "თუნი" არაერთხელ გავარდნილა რანგით პირველი შვეიცარიული ლიგიდან.

ევროასპარეზზე დებიუტი "ვადუცს" 21-ე საუკუნეში ჰქონდა და საკმაო წარმატებებსაც მიაღწია. უპირველესად, 2005-06 წლების სეზონი უნდა გავიხსენოთ, როცა "ჩიხურას" ამჟამინდელმა მეტოქემ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა და თავი არც იქ შეურცხვენია – ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და ევროპის ლიგაზე გადაინაცვლა.

ბოლოს "ვადუცი" ევროტურნირებზე 2011-12 წლების სეზონში გამოდიოდა, როცა ევროპის ლიგაზე პლეი ოფის სტადიამდე მიაღწია. არსებობის ისტორიაში "ჩიხურას" მეტოქეს ევროასპარეზზე მხოლოდ 18 მატჩი აქვს ჩატარებული, საიდანაც 6 მოიგო, 5 ფრედ დაასრულა და 7 წააგო.

"თუნში" ერთი სეზონი აქვს გატარებული თბილისის "დინამოს" ყოფილ თავდამსხმელ **სანდრო იაშვილს**, რომლის შვეიცარიული კარიერაც წარუმატებელი გამოდგა.

გასულ სეზონში "თუნმა" შვეიცარიის ათგუნდიან სუპერლიგაში მეხუთე ადგილი დაიკავა. გუნდის საუკეთესო ბომბარდირი 13 გოლით შვეიცარიელი ფორვარდი **მარკო შნუვლი** გახდა.

"თუნს" ევროპის ლიგის პირველ ეტაპზე არ უთამაშია, "ჩიხურას" მოწინააღმდეგე ბრძოლაში პირდაპირ მეორე რაუნდიდან ჩაერთვება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამზადისი

# ზუგდიდში გაურკვევლობაა, ვაი ამ მზადებას...

ეროვნული ჩემპიონატი 25 დღეში დაიწყება. შესვენება დაუსრულდა და მზადება დაიწყო "ზუგდიდმა", მაგრამ ვაი ამ მზადებას. უკვე 10 დღეზე მეტია, რაც ფეხბურთელები ვარჯიშობენ, მაგრამ ჯერ მთავარი მწვრთნელიც არ ჰყავთ!

"ზუგდიდის" დირექტორ **მალხაზ ჭეჟიას** იმედი, რომ ლიტვიდან ცნობილ სპეციალისტს ჩამოიყვანდა, ჯერჯერობით ვერ ასრულდა - გუნდის ბიუჯეტი ცარიელია და უცხოელ მწვრთნელს ვინ ჩივის, ადგილობრივსაც ვერ იწვევენ.

დასრულებული სეზონის შემდეგ, ეს პოსტი **ელგუჯა ქომეთიანმა** დატოვა. მაგრამ გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტი კლუბის სისტემაში დარჩა. როგორც წლების წინ, ის ამჯერადაც ასაკობრივ და ჭაბუკთა გუნდებთან იმუშავებს. მთავარი მწვრთნელის არყოფნაში, გუნდს ქომეთიანის ყოფილი ასისტენტი და ასაკობრივი გუნდის მწვრთნელები, **ბორის გუგუჩია** და **მამუკა ჭაჭუა** ავარჯიშებენ. სინჯებზე 30-მდე ახალგაზრდა გამოცხადდა, რომლებიც უფულობასაც არად დაგიდევენ, ოღონდ, დიდ ფეხბურთში გზა გაიკვალონ.

"ზუგდიდის" საკადრო ცვლილებების ნაწილი უკვე ცნობილია: გუნდში ქუთაისის "ტორპედოს" მცველი **დათა რიგვავა** დაბრუნდა, თავდამსხმელი **ირაკლი ქობალია** კი კარიერას "ზესტაფონში" გააგრძელებს. შესაძლოა, კვლავ ძველი კლუბის ფორმა მოირგოს **გიორგი პაჭკორიამ**. 23 წლის ნახევარმცველი შარშან "გაგრამ" შეიძინა, მაგრამ სეზონის დასრულების შემდეგ, გუნდის ხელმძღვანელებმა შემადგენლობის გაახალგაზრდავება რომ გადაწყვიტეს, გიორგი თავისუფალი აგენტი გახდა.

*"პირველ ლიგაში თამაში არ მსურდა და "გაგრადან" ამიტომ წამოვედი. მაგრამ ჯერ არც ვიცი, "ზუგდიდში" დავბრუნდები თუ არა. 15 ივლისს გუნდი ამხანაგურად ითამაშებს და შესაძლოა, ვითამაშო. მითხრეს ბოლნისის "სიონზეც" და ჯერ ზუსტად არც ვიცი, სად ვითამაშებ"* – ამბობს პაჭკორია.

ამასობაში, სოციალურ ქსელებზე გავრცელდა კლუბის გულშემატკივართა მიმართვა: *"მივმართავთ ყველა იმ ადამიანს, ვისაც "ზუგდიდის" ბედი აღელვებს და გულთან ახლოს მიაქვს კლუბში არსებული ვითარება. არ აქვს მნიშვნელობა, ის ფან-კლუბ „აბრაგის" წევრია თუ „მგლების". ყველამ კარგად ვიცით, რაც დღეს კლუბში ხდება. ვიმედოვნებთ, რომ "ზუგდიდში" ყველაფერი მოგვარდება, მაგრამ დრო მიდის, ჩემპიონატის დაწყებამდე თვეზე ნაკლებია დარჩენილი და სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. ამ ყველაფერს თითოეული გულშემატკივარი განიცდის და დროა, ყველამ ვთქვათ, რომ "ზუგდიდს" ჰყავს გულშემატკივარი, რომელიც საყვარელი კლუბის დაშლის უფლებას არავის მისცემს".*

მოკლედ, უნიჭიერესი ფეხბურთელების გამზრდელი ქალაქის გუნდში კატასტროფული ვითარებაა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, რადგან ზუგდიდში სულ ასე ხდებოდა, მიდის ჭიდაობა გუნდსა და დამფინანსებელს შორის, მაგრამ საქმეს ვერა და ვერ ეშველა.

გულშემატკივრებიც ამიტომ გააქტიურდნენ და მათ თბილისელი მხარდამჭერები ჰყავთ – "ქართული სპორტის ქომაგთა ლიგა". სწორედ ისინი აქეზებენ, რომ მიჰბაძონ გორის "დილასა" და ფუტსალის "იბერია სტარის" გულშემატკივრებს და ხელისუფლება აქციებით აიძულონ, ფეხბურთზე მზრუნველობა გამოიჩინოს.

**მერაბ მამულაშვილი**

დილა. ინტერვიუ ირაკლი მოდებაძესთან



ირაკლი მოდებაძე

ფოტო: www.uefa.com

# ოლბორგის დამარცხება შეგვიძლია

## დილა მოკლევადიანი გუნდი არ უნდა იყოს

გორის „დილას" თურქულ შეკრებაზე ყველაზე შედეგიანად ირაკლი მოდებაძემ ითამაშა, გოლები გაიტანა და ესეც რომ არა, ამ „დილაში" ის ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშეა. 28 წლის მოდებაძე თავდამსხმელი გახლავთ, „დილაში" 2012 წელს მივიდა, მანამდე „რუსთავის" ოლიმპში იყო, პროფესიონალ ფეხბურთელად კი უკრაინაში ჩამოყალიბდა.

მოდებაძეს უთამაშია საქართველოს ახალგაზრდულ და სხვა ასაკობრივ ნაკრებებშიც, ეროვნულ გუნდში კი სამი კეპი აქვს მონაგრებული.

მოდებაძე მოდრიბლინგე ფორვარდია და გოლის გატანაც ეხერხება. ამ „დილაში" მისი როლი და ფუნქციები ალბათ გაიზარდება, რადგან წინა სეზონის შემდეგ გორელთა რიგები თავდამსხმელებმაც დატოვეს და „დილას" შეტევაში მთავარ კაცად მოდებაძე დარჩა. ის არც მანამდე იყო უკანა პლანზე. „დილამ" დამდეგი სეზონისთვის სხვათა გარდა რატი ალექსიძეც დაიმატა, თუმცა ამ გამოცდილ და კლასიან ფორვარდს ალბათ კიდევ დასჭირდება გარკვეული დრო, რომ ოპტიმალურ ფორმაში შევიდეს და ახალ გუნდს გაუშინაურდეს.

„დილა" 18 ივლისს ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ შეხვედრაში დანიურ „ოლბორგს" თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უმასპინძლებს, მანამდე კი „ლელოს" კითხვებს მოდებაძე პასუხობს.

**- თურქული შეკრების შემდეგ „დილას" მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა გვითხრა, საგოლე მომენტების რეალიზაციაში მოვისუსტებდითო. რას გვეტყოდი ამაზე?**

- თურქულ შეკრებაზე ჩვენი უმთავრესი მიზანი „ოლბორგთან" მატჩისთვის სამზადისი იყო და საკონტროლო მატჩების შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი თამაშის ხარისხი გახლდათ - ვფიქრობ, ამ მხრივ ყველაფერი ნორმალურად იყო. რაც შეეხება საგოლე მომენტების რეალიზაციის პრობლემას, ამაში მწვრთნელს ვეთანხმები, უფრო მეტი გოლის გატანა შეგვეძლო.

**- საქართველოს ჩემპიონატში მეტოქე გუნდების მწვრთნელები მცველებს ასეთ დავალებას აძლევდნენ - მოდებაძეს არ მისცეთ იმის საშუალება, რომ ბურთი ფლანგზე წაიღოს, რადგან იქიდან უფრო სახიფათოაო - მცველებისგან მართლა გრძნობდი ასეთ სტრატეგიას?**

- სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია. ვცდილობ, მოედნის ყველა მონაკვეთიდან მოვუტანო გუნდს სარგებლობა. ამპლუით ცენტრფორვარდი ვარ და ახლაც ამ საქმეს ვაკეთებ.

**- მახსოვს, გოჩა ტყებუჩავას გაწვრთნილ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ერთ-ერთი ლიდერი იყავი, თუმცა ისე ვერ წარიმართა შენი კარიერა, როგორც ამის მოლოდინი იყო...**

- ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის დროს, დანიასთან ტრავმა მივიღე, მანამდე გოლის გატანაც მოვახერხე, მოკლედ, პირველივე ტაიმში დავშავდი და მოედნის დატოვებამ მომიწია. მუხლის ხრტილი დამიზიანდა და მენისკიც საოპერაციო გამიხდა, ოპერაცია უკრაინაში გავიკეთე, სარეაბილიტაციო პერიოდი კი თითქმის ერთი წლით გაიწელა. ცხადია, ამან ძალიან შემიშალა ხელი და უკან დამწია. მაშინ ოდესის „ჩერნომორეცის" ფეხბურთელი ვიყავი, გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მე კი ტრავმის ბოლომდე მოშუშების შემდეგ ზაპოროჟიეს „მეტალურგში" დავბრუნდი. „ზაპოროჟიე" მაშინ ერთ- ერთი ნორმალური, სერიოზული კლუბი იყო უკრაინაში და გული მწყდება, რომ იქ ახლა არც ერთი ქართველი ფეხბურთელი არ თამაშობს.

**- რა მოგცა უკრაინაში გატარებულმა წლებმა? ახლა როგორ ფიქრობ, არ ჯობდა, უკრაინის ნაცვლად ევროპაში გეთამაშა?**

- უკრაინაში რომ წავედი, 17 წლის ვიყავი და იქ ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად. უკრაინის ჩემპიონატი არ არის ადვილი სათამაშო. საქართველოდან იქ წასვლა ყველა ფეხბურთელს წაადგება, ეს არ იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი.

**- უკრაინიდან საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნდი...**

- საქართველოში დაბრუნებით კმაყოფილი ვარ, კარგ გუნდში ვარ და ევროსარბილზეც გვიწევს თამაში. ერთი სიტყვით, საქართველოში ჩამოსვლას არ ვნანობ.

**- წინა სეზონის შემდეგ „დილას" არაერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა - რა იყო ამ გუნდში დარჩენის მოტივაცია?**

- „დილაში" დარჩენა ორივე მხარის სურვილი იყო - ჩემიც და კლუბის ხელმძღვანელობისაც. იქამდე მოვედით, რომ გუნდი ევროსარბიელზეა გასული და აქვს იმის უნარი, ეტაპები გაიაროს. ამიტომაც დავრჩი აქ. ვფიქრობ, კარგ გუნდად ვყალიბდებით და „დილა" არ უნდა იყოს მოკლევადიანი პროექტი, თუ ხელშეწყობა იქნება, „დილა" ნორმალური დონის ევროპული გუნდი გახდება.

**- „ოლბორგთან" მატჩამდე დიდი დრო აღარ დარჩა...**

- „ოლბორგი" მართლაც კარგი გუნდი უნდა იყოს, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს კი 50/50-ზე ვაფასებ. ჩვენ მხოლოდ წარმატებაზე ვფიქრობთ, რადგან შეგვწევს იმის ძალა, რომ ეს ბარიერი გადავლახოთ. ყველას გულით გვინდა ამ წარმატების მიღწევა. მადლობელი ვარ „დილას" გულშემატკივრების, მათ დიდ მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდით და იმედი მაქვს, რომ „ოლბორგთანაც" ასე იქნება. მატჩი თბილისში გაიმართება, თუმცა როგორც ვიცი, გორიდან ბევრი გულშემატკივარი ჩამოვა ამ მატჩზე დასასწრებად. ქართული გუნდი ევროსარბიელზე რომ თამაშობს, ის იქ უკვე ქვეყნის სახელით გამოდის და ყველას მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.

**- ბოლო წლებში „დილა" ერთ-ერთი მოწინავე გუნდი იყო საქართველოს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში. ახლა ისეთი ვითარებაა, რომ „დინამო თბილისის" ძლევამოსილებაში ეჭვის შეტანა ძნელია. მიგაჩნია, რომ 2013-14 წლების სეზონში „დინამოს" სერიოზული კონკურენტი არ ეყოლება? როგორც ვიცით, „დილას" დაფინანსება დეკემბრამდე აქვს და მერე რა იქნება, უცნობია...**

- იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რაც იყო „დილაში" ივნისამდე, ალბათ დადგა იმის დრო, რომ სამომავლოდ მსგავსი აღარ განმეორდეს. „დილა" შეიცვალა და ახალი გუნდის ჩამოყალიბება მიდის, ოღონდაც, როგორც უკვე აღვნიშნე, „დილა" მოკლევადიანი გუნდი აღარ უნდა იყოს. „დინამოს" კარგი ნამდვილად არ მწყინს, პირიქით, საინტერესოა ძლიერ მოწინააღმდეგესთან პაექრობა. ვფიქრობ, „დინამოს" ეყოლება კონკურენტები და „დილასაც" ეყოლება კონკურენტი „დინამოს" და სხვა გუნდების სახით.

**დავით თავართქილაძე**

გურია

# ლორია მიდის?

ჩემპიონატი 10 აგვისტოს იწყება და სახელმწიფოს დოტაციაზე მყოფი "გურიაც" მძიმე მდგომარეობაშია. არადა, ლანჩხუთელები უმაღლესში დაბრუნებას 14 წელიწადი ელოდნენ და რას წარმოიდგენდნენ, რომ გადასვლა ასე ჩაუმწარდებოდათ.

კლუბს ჯერ კიდევ დასრულებული სეზონის ხელფასების, პრემიებისა და ბონუსების დავალიანება დაუგროვდა. ამის გამო დატოვეს "გურია" ლიდერებმა: **დავით მაისაშვილი** რუსთავის "მეტალურგში" გადავიდა, **ალეკო გოგობერიშვილი** "სიონში", **მიხეილ კაკალაძე** – ქობულეთის "შუქურაში" და სავარაუდოდ, **გიორგი სალარიძეც** სხვა გუნდის ფორმას მოირგებს.

*"ფინანსური მდგომარეობა ჯერაც გაურკვეველია. მოთამაშეებსა და ადმინისტრაციის წევრებს კონტრაქტები დაუმთავრდათ, ახალი ხელშეკრულებები კი არავის შემოუთავაზებია, მათ შორის, არც ჩემთვის. ახალი ფეხბურთელების მოყვანა მსურდა: "ჩიხურადან" რევაზ გოცირიძისა და თემურ შარაშენიძის, "ზუგდიდიდან" დავით გამეზარდაშვილის, ქუთაისის "ტორპედოდან" ბიძინა ცინცაძის, ბათუმის "დინამოდან" კი - ალეკო კოშკაძის. კიდევ 2-3 გამოცდილ ფეხბურთელზე ვფიქრობდი, გასინჯვაზეც რამდენიმეს ვიწვევდი. მაგრამ ამ გაურკვევლობის გამო, ველარაფერი შევთავაზე. მერე გავიგე, რომ ცინცაძე რიგაში წავიდა, თუ არ მეშლება, გოცირიძეც ახალ კლუბში გადავიდა. ჩვენი საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს და გვეცოდინება, ვინ წავა და დარჩება. ჩემი სურვილია, რომ იგივე სამწვრთნელო შტაბი დარჩეს. მაგრამ ასეთ პირობებში, რა გუნდი შეიკრიბება და რა შედეგის იმედი უნდა გვქონდეს? გამგეობა ყველანაირად გვერდში გვიდგას, მაგრამ ლანჩხუთს მწირი ბიუჯეტი აქვს და რატომღაც, მაქვს წინათგრძნობა, რომ დაფინანსებასა და ჩვენს სხვა მოთხოვნებზე სასურველ პასუხს ვერ მივიღებთ, 2 მილიონის იმედი კი აღარ გვაქვს"* – გვითხრა "გურიას" მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ლორიამ**.

აქვე ვიტყვით, რომ ლანჩხუთის სტადიონზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. მაგრამ, სავარაუდოდ, ჩემპიონტის პირველ ტურებში "გურია" მეტოქეებს ქობულეთში უმასპინძლებს. აგვისტოს ბოლომდე კი იმედოვნებენ, რომ ლანჩხუთის არენა მოწესრიგდება და საშიანო არენაზე გადაინაცვლებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო ჩემპიონთა ლიგაზე



2008 წელი. დინამო (თბ)-პანათინაიკოსი

# დაბრუნება 5 წლის მერე

## ლივერპულიდან ლინფილდამდე

**ხვალ თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ფარერების „სტრეიმურს“ უმასპინძლებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბი ამ პრესტიჟულ გათამაშებას ხუთწლიანი პაუზის მერე უბრუნდება, საერთოდ კი „დინამომ“ მერვედ უნდა მიიღოს მონაწილეობა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში...**

ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ასპარეზობას ვგულისხმობთ, თორემ „დინამოს“ მანამდეც უთამაშია ჩემპიონთა თასზე და თანაც, როგორ! ჰო, იმ მართლაც დაუვიწყარ სანახაობას ვიხსენებთ: 1979 წელს, ჩემპიონთა თასის საპასუხო მეთექვსმეტედფინალში თბილისის „დინამომ“ 100 000 მაყურებლის თვალწინ მსოფლიოს საკლუბო ფეხბურთის იმდროინდელ გრანდს, ინგლისურ „ლივერპულს“ 3:0 მოუგო! სამწუხაროდ, მერვედფინალში არანაკლებ ძლიერი მეტოქე, „ჰამბურგი“ (**კევინ კიგანი** და **მანფრედ კალტცი** რომ ბრწყინავდნენ) შეგვხვდა და იმის მიუხედავად, რომ იმდროინდელი თბილისის „დინამოც“ არანაკლები ვარსკვლავებით იყო დაკომპლექტებული (რომელი ერთი ჩამოვთვალოთ - **დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი, ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა ხინჩაგაშვილი.**), მომდევნო ეტაპზე მაინც გერმანული გუნდი გავიდა. აი, ამის მერე კი 14 წელიწადი გავიდა, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაზე ქართული გუნდი გამოჩნდებოდა და დამოუკიდებელი საქართველოს სახელით პირველად ეს პატივი თბილისის „დინამოს“ ერგო! სამწუხაროდ, ის სადებიუტო ევროსეზონი სკანდალურზე სკანდალური აღმოჩნდა: **გივი ნოდიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე თბილისის „დინამომ“ ორი მატჩის ჯამში აჯობა ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდს“ (2:1, 1:1) და ყველა რომ მომავალი მეტოქის („კოპენჰაგენის“) მოლოდინში ვიყავით, აი, სწორედ მაშინ შევიტყვეთ ჩვენი გუნდის დისკვალიფიკაცია! ძველი და არასასიამოვნო ამბავია, თუმცა, მოკლედ ვიტყვით, რომ თბილისური შეხვედრის წინ ერთ-ერთ ქართველ ბიზნესმენს მატჩის თურქი არბიტრებისთვის ქრთამი მიუცია; მსაჯებსაც უარი არ უთქვამთ, უბრალოდ, ყველაფერი მატჩის დელეგატს მოახსენეს, იმან კი უეფა ჩააყენა საქმის კურსში... ყველაზე უცნაური ის იყო, რომ უეფადან წამოსული დირექტივით, თბილისური მატჩიც ჩატარდა და განმეორებითიც; ანუ, უეფამ განაჩენი მხოლოდ საპასუხო შეხვედრის მერე გამოიტანა, — შესაძლოა, ეგონათ, რომ ევროტურნირების დებიუტანტი (დამოუკიდებელი საქართველოს სახელით) გუნდი განმეორებით მატჩში ერთბურთიან უპირატესობას ვერ შეინარჩუნებდა და მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდოდა. განაჩენი მკაცრი იყო: 1997 წლამდე ქართული კლუბებს ჩემპიონთა ლიგაზე არ უშვებდნენ და მხოლოდ თასების თასზე და უეფას თასზე მონაწილეობდნენ.

### სანუკვარ ჯგუფთან ახლოს...

1997 წელს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ პრობლემა არ შეჰქმნია: **დავით ყიფიანის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ჩრდილოირლანდიურ „კრუზეიდერსს“ ორივე მატჩი მოუგო (3:1, 5:1); აი, მომდევნო ეტაპზე კი მართლაც უშანსოდ ვიყავით: **კრისტოფ დაუმის** „ლევერკუზენმა“ გერმანიაში 6:1 გაიმარჯვა (ჩვენებიდან გოლი **ალექსანდრე იაშვილმა** გაიტანა); აი, საპასუხო მატჩში **დავით მუჯირის** ერთადერთი გოლის წყალობით „დინამომ“ მოიგო.

მომდევნო, 1998 წელსაც თბილისის „დინამო“ მონაწილეობდა ჩემპიონთა ლიგაზე და პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ალბანურ „ვლაჟნიას“ ხვდებოდა. პირველი მატჩი თბილისში რომ ჩატარდა, „დინამომ“ **ლევან ხომერიკის** ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო, აი, საპასუხოში კი 1:3 დამარცხდა (გოლი: **მიხეილ აშვეთია**) და წესითა და რიგით, მომდევნო ეტაპზე „ვლაჟნია“ უნდა გასულიყო; თუმცა, როგორც გაირკვა, თბილისურ მატჩში ალბანელებს ისეთი ფეხბურთელი უთამაშებიათ, განაცხადში რომ არ იყო შეყვანილი, ჰოდა, უეფამ 1:0-ის ნაცვლად 3:0 მოგება ჩაგვითვალა! მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კი მეტოქედ ბილბაოს „ატლეტიკი“ გველოდა და არც ის დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე ასე ახლოს არც მანამდე და არც მერე არასდროს ვყოფილვართ! „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი **მურთაზ ხურცილავა** გახლდათ, თბილისური მატჩი 2:1 (გოლები: **ლევან ხომერიკი, ლევან ცქიტიშვილი**) მოვიგეთ. აი, საპასუხო შეხვედრაში კი უდიდესი იმედგაცრუება გველოდა: მატჩის უნგრელმა არბიტრმა **ლასლო ვაგნერმა** ყველაფერი გააკეთა, თბილისის „დინამო“ ჯგუფში რომ არ მოხვედრილიყო! ბილბაოში, „სან-მამესის“ მართლაც ზღაპრულ სტადიონზე ჩატარებულ იმ მატჩში **ხოსება ეჩებერიას** ერთადერთმა გოლმა „ატლეტიკს“ ჯგუფური ეტაპის საგზური მოუტანა.

### მხოლოდ ერთ ეტაპს გავდიოდით...

1999 წელს თბილისის „დინამო“ ზედიზედ მეათედ გახდა საქართველოს ჩემპიონი, თუმცა ჩემპიონთა ლიგაზე სრული ფიასკო გველოდა: ვერავინ წარმოიდგენდა, თუ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოლდოვის „ზიმბრუს“ ვერ ვაჯობებდით. იმ დროს „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი **იოჰან ბოსკამპი** გახლდათ, „ზიმბრუსთან“ მატჩში კი ახალწვეული, ცენტრფორვარდი **დე სოუზა** გამოჩნდა, — დღესაც ვერავის გაუგია, რა „დამსახურებით“ მოხვდა ბრაზილიელი თავდამსხმელი „დინამოში“. დე სოუზას ბურთთან ყოველი შეხება ხომ კურიოზზე მეტი იყო, და ბოლოს და ბოლოს შეცვალეს კიდეც. ისე, ბოსკამპმა შეცვლები გამოიცნო: 67-ე წუთზე გოლი გავუშვით, 72-ზე კი ორი ახალი ფორვარდი (**კლიმენტი წიტაიშვილი, ლევან ხომერიკი**) შემოიყვანა მოედანზე და ორივემ მატჩის მიწურულს თითო-თითო გოლი გაიტანა. სამწუხაროდ, საპასუხო შეხვედრაში „ზიმბრუმ“ ორი უპასუხო გოლი გაიტანა და „დინამოც“ ჩემპიონთა ლიგას ოთხი წლით დაემშვიდობა.

2003 წლის ზაფხულში, როცა ალბანურ „ტირანას“ შინ 3:0 (გოლები: **ლევან მელქაძე, გიორგი ანჩაბაძე, ვიტალი დარასელია**) მოვუგეთ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საპასუხო შეხვედრაში რაიმე პრობლემები შეგვექმნებოდა. სამწუხაროდ, **ივო შუშაკის** გაწვრთნილი „დინამო“ ტირანაში ანალოგიური ანგარიშით დამარცხდა, პენალტების სერიაში კი ალბანელებმა იყოჩაღეს.

„დინამო“ ჩემპიონთა ლიგას ორი წლის მერე დაუბრუნდა: **კახა ცხადაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ესტონურ „ლევადიას“ აჯობა (0:1, 2:0 - გოლები: ლევან მელქაძე, **სერგი ორბელაძე**), აი, დანიურ „ბრონდბიუს“ კი ვერაფერი მოუხერხა: შინ 0:2 წავაგეთ, იქ კი 1:3 (გოლი — **სანდრო იაშვილი**); ამის მერე კიდევ სამი წელიწადი გავიდა და „დინამო“ კვლავ გამოჩნდა ჩემპიონთა ლიგაზე: გერმანელი სპეციალისტის, **რაინერ ცობელის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერების „რუნავიკს“ შინ 3:0 სძლია (გოლები: **გურამ კაშია, ოლეგ გველესიანი, დავით ოდიკაძე**), საპასუხოში კი 0:1 დამარცხდა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კი ილუზია არავის ჰქონდა და ასეც მოხდა: ბერძნულმა „პანათინაიკოსმა“ ორი მატჩის ჯამში (3:0, 0:0) უპრობლემოდ გვაჯობა. და აი, ხუთწლიანი პაუზის მერე „დინამო“ კვლავ უბრუნდება ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირს: იმედი დავიტოვოთ, რომ წლევანდელი სეზონი ყველაზე წარმატებული იქნება და ყველა ქართველი გულშემატკივრის ოცნებაც როდისმე ხომ უნდა ახდეს?

**გია ტუხაშვილი**

ტრანსფერი

# ახალ მწვრთნელს დღეს წარადგენენ

## ქობალია ზესტაფონის ფეხბურთელია

"ზესტაფონი", რომელმაც ასე თუ ისე მოაგვარა ფინანსური პრობლემები, ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. გუნდმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და საზოგადოებას პირველი ახალწვეულის ვინაობაც გააცნო.

"ზესტაფონის" ღირსებას ამიერიდან **ირაკლი ქობალია** დაიცავს. 21 წლის თავდამსხმელს ქართველი გულშემატკივრების წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. იგი უკვე რამდენიმე წელიწადია, საკმაო წარმატებით ასპარეზობს უმაღლესი ლიგის კლუბებში. გასული სეზონი მან "ზუგდიდის" შემადგენლობაში გაატარა, სადაც 17 მატჩში 7 გოლი გაიტანა. სეზონის მეორე ნახევარი ქობალიას ტრავმის გამო გაუცდა. ტრავმებმა მას მანამდეც ბევრი დრო დააკარგვინა. სწორედ ამის გამო გაჭიანურდა ქობალიას ტრანსფერი "ზესტაფონში". იმერული კლუბი მის მიმართ ინტერესს საკმაო ხანია, გამოხატავს და რომ არა უილბლობები, იგო ფეროელთა წევრი გაცილებით ადრე გახდებოდა.

აქვე გეტყვით, რომ უკვე გადაწყვეტილია „ზესტაფონის“ ახალი მთავარი მწვრთნელის ამბავი - მომავალ სეზონში ფეროელებს სერბი სპეციალისტი **რატკო დოსტანიჩი** გაწვრთნის, რომელსაც გულშემატკივრების წინაშე დღეს წარადგენენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# კიევის დინამომ ქართველები გაუშვა

## ფარცვანია ზაპოროჟიეში, იაშვილი ობოლონში

კიევის "დინამოს" დუბლშემადგენლობასა და "დინამო 2"-ში რამდენიმე ქართველი ირიცხებოდა: მცველები **ბადრი აქუბარდია, დავით იაშვილი** და **თემურ ფარცვანია**.

ეს უკანასკნელი ზუგდიდელი ბიჭია და ბევრსაც მიაღწია – 21 წლის ასაკში უკრაინის ასაკობრივ (17, 19-წლამდელებში და ახალგაზრდულ) ნაკრებებში 45 შეხვედრის ჩატარება მოასწრო, 2009 წელს კი 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალს დაეუფლა. მაგრამ კიევის "დინამოში" ფეხი ვერ მოიკიდა და ჯერ კიდევ 2012 წლის შემოდგომაზე ზაპოროჟიეს "მეტალურგში" იჯარით გაუშვეს. ზაფხულში შეთანხმებას ვადა ამოეწურა და ფარცვანია უკეთეს კლუბში გადასვლას იმედოვნებდა. საბოლოოდ, ისევ ზაპოროჟიეში დაბრუნება მოუხდა.

კიევური კლუბი უკრაინის 19-წლამ-


ბადრი აქუბარდია

დელთა ნაკრების წევრს, დავით იაშვილსაც შეელია. კლუბის ვებგვერდის ცნობით, ზედ სეზონის დაწყებამდე "დინამოდან" ოთხი ფეხბურთელი წავიდა და ოთხივე თავისუფალი აგენტის სტატუსით – მათ შორის იაშვილიც იყო, ვისაც ახალი კლუბი უნდა მოეძებნა. არადა, ის კიევურ გრანდში 2012 წლის დეკემბერში კიევის "ობოლონიდან" გადავიდა და სულ რაღაც ერთი თვის წინათ უკრაინულ "სპორტ-ექსპრესთან" განაცხადა, ძირითად გუნდში გადასვლას ვიმედოვნებო.

დათო თბილისშია დაბადებული და როგორც თავად ამბობს, "ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლაში იზრდებოდა, უკრაინაში კი 15 წლისა გადავიდა. წესით, ეს ბიჭი ქართული ლიდერებისთვის საინტერესო მცველი უნდა ყოფილიყო.

თუმცა, ისევ უკრაინელებმა იაქტიურეს და დათო კარიერას უკრაინის მეორე ლიგის "ობოლონ-ბროვარში" გააგრძელებს. ეს კლუბი ახლახან ჩამოყალიბდა და უკრაინის მეორე ლიგაში ითამაშებს. რეალურად კი, შარშან დაშლილი კიევის "ობოლონის" ბაზაზე აღმოცენდა.

გუნდში მხოლოდ ბადრი აქუბარდია დარჩა, რომელიც საქართველოშია დაბადებულ-გაზრდილი. აქუბარდია "დინამო 2"-ის წევრია. სხვათა შორის, უკრაინულმა გამოცემა "ფუტბოლ-კლუბმა" ზაფხულში გამოაქვეყნა წერილი, სადაც ეწერა, რომ კლუბს უკრაინის ნაკრების წევრი, **ევგენი ხაჩერიდი** ტოვებდა და მის ერთ-ერთ სასურველ შემცვლელად სწორედ აქუბარდია დაასახელა.

*"კიეველებმა თავდასხმის პრობლემები მოაგვარეს. ახლა დაცვის ჯერია, რადგან, როგორც ამტკიცებენ, ევგენი ხაჩერიდის სურს წასვლა. ვინ შეიძლება იყოს მისი შემცვლელი? სავარაუდო კანდიდატურები უკრაინის ჩემპიონატში მრავლად მოიძებნებიან. მაგალითად, "დინამო 2"-ის მცველი ბადრი აქუბარდია. მას შეუძლია ითამაშოს მარჯვენა და მარცხენა მცველის პოზიციაზეც. ეთნიკურად ქართველი უკრაინული პასპორტის მფლობელია. 4 წლის იყო, მისი ოჯახი უკრაინაში რომ დასახლდა. კიევის "დინამოს" აკადემიაში 2009 წელს ჩაირიცხა. კიეველთა ახალგაზრდულ შემადგენლობაში ადგილი პირველი შეხვედრიდან მყარად დაიმკვიდრა და ღირსეულად გამოიყურება. უყვარს და ეხერხება შეტევაში ჩართვა. ერთხელ მარიუპოლის "ილიჩევეცის" წინააღმდეგ ძირითადი გუნდის განაცხადშიც მოხვდა. არის უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი. აქუბარდია ბავშვობაში საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ და სპეციალისტები აღნიშნავდნენ, რომ 20 წლის ქართველს "ნათელი გონება", მოედნის ხედვა და თავით კარგი თამაშის უნარი გამოარჩევდა,"* – წერს "ფუტბოლ-კლუბი".

**მერაბ მამულაშვილი**

# პერტიას კლიმიაშვილის იმედი აქვს

ცნობილია, რომ **თამაზ პერტიას** გაწვრთნილი რიგის „სკონტო“ ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა. „ტირასპოლთან“ სტუმრად 1:0 მოგებული შეხვედრის შემდეგ, ლატვიელები შინ ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ, მაგრამ „სკონტომ“ პენალტებში იმარჯვა. საქართველოს ნაკრების კანდიდატი, **ირაკლი კლიმიაშვილი** სათადარიგოთა სკამზე იჯდა. თუმცა, II საკვალიფიკაციო ეტაპზე „სკონტოსა“ და ჩეხური „ლიბერეცის“ დაპირისპირებაში, სავარაუდოდ, ითამაშებს.

რიგელთა დამრიგებელი პერტია იმედოვნებს, რომ კლიმიაშვილი "სკონტოს" დაეხმარება: *"ირაკლის მაღალ დონეზე უთამაშია და ყველაფერში ეტყობა, რომ პროფესიონალი და ჩამოყალიბებული ფეხბურთელია. ეს ჩანს ვარჯიშის დროს, ბურთის ფლობისას და თანაგუნდელებთან დამოკიდებულებაში. ვფიქრობ, რომ ირაკლი აუცილებლად დაგვეხმარება, რადგან კარგი ადამიანი და სპორტსმენია".*

**მერაბ მამულაშვილი**

● მანჩესტერ იუნაიტედი

# მოიესის სადებიუტო მარცხი

## და კმაყოფილება ახალწვეულებით

„მანჩესტერ იუნაიტედმა" **დევიდ მოიესის** ხელმძღვანელობით პირველი თამაში ჩაატარა ტაილანდის ჩემპიონატის ვარსკვლავებთან და მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდა. ბუნებრივია, ამ ეტაპზე მის გაკრიტიკებას არავინ აპირებს და არც თავად შოტლანდიელს დაუწყია თვითგვემა. „ეშმაკების" დამრიგებლის თქმით, მას ყველაზე მეტად შეგირდების საქმეში ხილვა აინტერესებდა. მოიესმა თამაშის მიმოხილვის გარდა რამდენიმე საინტერესო თემაზეც გაამახვილა ყურადღება:

*- ეს წაგება არაფერსაც არ ნიშნავს. საქმე ასარჩევად რომ მქონდეს, რომელი თამაში დავთმო სეზონის განმავლობაში, აქცენტს ნამდვილად ამხანაგურებზე გავაკეთებდი, რადგან ისინი მხოლოდ ოფიციალური ტურნირებისთვის მოსამზადებელი ციკლია და მეტი არაფერი. თუმცა არ არის სასიამოვნო, რომ შეხვედრის მიწურულს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გავუშვით ხელიდან. უკეთესი იქნებოდა, რომ ძლიერი ზეწოლა საფინალო სასტვენამდე შეგვენარჩუნებინა. წაგების მიუხედავად დადებითი მომენტების აღნიშვნა შეიძლება. მაგალითად იმის, რომ რამდენიმე ფეხბურთელმა 90 წუთის განმავლობაში მოახერხა თამაში. მსგავსი დატვირთვა ფიზიკური ფორმის ასაკრეფად კარგი საშუალებაა. ბიჭებმა სერიოზული გამოცდა ჩააბარეს, რადგან მატჩი საშინელი ხვატის პირობებში ტარდებოდა. ასე რომ, რაც ვნახე, საბოლოოდ ჯამში, იმითი უკმაყოფილების საფუძველი არ მაქვს. გუნდი ასე თუ ისე ნორმალურ ფორმაშია.*

### ნიჭიერი ახალწვეულები

ამის შემდეგ მოიესმა რამდენიმე ფეხბურთელი საგანგებოდ გამოყო. მათ შორის „იუნაიტედის" დუბლებიდან ძირითადი გუნდის განაცხადში გადაყვანილი **ადნან იანუზაი** და დებიუტანტი **უილფრიდ ზაჰა.**

*- დღეს იანუზაი სხვების ფონზე აშკარად გამოირჩეოდა, შესანიშნავად უგებდა თანაგუნდელებს, რაც შეუძლებელია, რომ ძალიან არ მახარებდეს. მიმაჩნია, რომ ჩემი გუნდისთვის ის ერთი დამატებითი პლუსია. მშვენიერია, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელს თავის გამოჩენის შანსს აძლევ და ის იმ დონეზე ახერხებს თამაშს, როგორც დღეს ადნანმა გააკეთა. თუკი ის ამ დონეს შეინარჩუნებს, პირველ გუნდს კიდევ უფრო მიუახლოვდება.*

*დადებითი კუთხით გაგვაცნო თავი უილფრიდ ზაჰამაც, ვინც შეცვლაზე შევიდა და ჩვენი შეტევა ბევრად უფრო მრავალფეროვანი გახადა. შეკრებაზე თავდამსხმელების დეფიციტი გვაქვს. უეინ რუნი და უილ კინი ჯერაც ტრავმირებულები არიან, ვან პერსი გუნდს რამდენიმე დღეში შეუერთდება, „ჩიჩარიტო" კი აზიურ ტურნეს მთლიანად გამოტოვებს. ამ ყოველივემ თავდასხმაში ჩვენს პოტენციალს მძიმე დაღი დაასვა. უილფრიდმა გუნდს ახალი მუხტი მისცა. მის თამაშს განსაკუთრებულად დავაკვირდებით. ზაჰას ასპარეზობას ცოცხლად პირველად ვუყურე. შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად მექნება მისი იმედი, თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია, რომელ ამპლუაში უფრო ეფექტური იქნება ამ ფეხბურთელის გამოყენება.*



დევიდ მოიესი წაგებული სადებიუტო მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე უკმაყოფილო ნამდვილად არ ჩანდა

### კიდევ ერთხელ რუნიზე

„იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სატრანსფერო კამპანიაზეც გააკეთა კომენტარი. შოტლანდიელმა კიდევ ერთხელ უარყო, რომ ის რუნისთან გამოთხოვებას აპირებს:

*- თუ მეხსიერება არ მღალატობს, უკვე ვთქვი, რომ რუნი არ იყიდება! ხალხს უყვარს კარგ ფეხბურთელებზე ბევრი ლაპარაკი. უეინზე მეც ხშირად მისვამენ შეკითხვებს. დარწმუნებული ვარ, ასე ხდება სხვა კლუბებშიც. კიდევ ერთხელ, ვინ იცის მერამდენად, ვიმეორებ, რუნი „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელია და ის „ოლდ ტრეფორდზე" რჩება.*

### დაწუნებულთა სია

სულ ბოლოს კი „ეშმაკების" თავკაცმა მის მიერ დაგეგმილი „რეპრესიების" შესახებაც ისაუბრა:

*- სმოლინგი, ნანი, იანგი და ვიდიჩი მანჩესტერში ტრავმების გამო დარჩნენ, რაც შეეხებათ ფედერიკო მაკედასა და ბებეს, ჩავთვალე, რომ გუნდისთვის უმჯობესი იქნებოდა, შანსი სხვა ფეხბურთელებისთვის მიმეცა. ცვლილებები გუნდში ჯერ კიდევ იგეგმება. საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად დრო გვჭირდება.*

● ლივერპული



ბრენდან როჯერსი დებიუტანტების თამაშით კმაყოფილი დარჩა

# აზიური ტურნეს დაწყებამდე

ავსტრალიური (მელბურნი) და აზიური (ჯაკარტა, ბანგკოკი) ტურნეს დაწყებას „ლივერპული" ჯერ კიდევ „მელვუდის" ბაზაზე უცდის. იქამდე კი ინგლისის ჩემპიონატის დაბალი ლიგის წარმომადგენლებთან საკუთარ ძალებს ცდის. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა „წითლებმა" შაბათს „პრესტონის" წინაალმდეგ გამართეს, ვინც 4:0 გაანადგურეს. გოლები გაიტანეს **ფილიპე კოუტინიომ** (პენალტით), **ჯორდონ აიბმა, რაჰემ სტერლინგმა** და **იაგო ასპასმა. ბრენდან როჯერსმა** მოედანზე გასვლის შანსი ოთხ დებიუტანტს მისცა: **სიმონ მინიოლეს, კოლო ტურეს, ლუის ალბერტოსა** და ასპასს. თამაშის დასრულების შემდეგ გუნდის თავკაცმა შეფასება, ტრადიციულად, საკლუბო ვებგვერდზე გააკეთა:

*- სიმონ მინიოლე მშვიდად გამოიყურებოდა. შესანიშნავად გაისარჯა და თამაშის განმავლობაში ერთი შეცდომაც კი არ დაუშვია. აშკარა ხდება, რომ ის ნელ-ნელა ეჩვევა გუნდს და თავს სულ უფრო კომფორტულად გრძნობს.*

*კოლო ტურე ნამდვილი პროფესიონალია. სწორედ გუშინ ვუყურე ერთ-ერთ ინგლისურ არხზე „არსენალისა" და „ლივერპულის" 2003/04-ის სეზონის შეხვედრას, სადაც კოლოც თამაშობდა. ის ჩვენს ჩემპიონატში უკვე დიდი ხანია გამოდის და უზარმაზარ გამოცდილებას ფლობს.*

*ვფიქრობ, მეორე ტაიმში კარგად გამოიყურებოდნენ ჩვენი ესპანელი ახალწვეულები. ალბერტო 100%-ით აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს. სიამოვნებით ვიხილავდი ჩემს გუნდში ტექნიკური თვალსაზრისით ასეთ დახვეწილ სხვა ფეხბურთელებსაც, რომელთაც, ამასთან ერთად, დიდი სამუშაოს შესრულებაც შეეძლებათ. ლუისის დღევანდელი გარჯა მხოლოდ ქების ღირსია. მას მწვავე გადაცემების გაკეთების ნიჭი აქვს და ამით უაღრესად კმაყოფილი ვარ.*

*ასპასი ბევრს შრომობს. ის ძალიან სახიფათოა როგორც საჯარიმოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ეტყობა, რომ გულშემატკივრების ხათრით ბოლომდე იხარჯება. ხშირად ჩადის მოედნის სიღრმეში ბურთის მოსაპოვებლად, თუმცა მასში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ გოლის გატანის განსაკუთრებული ყინი აქვს. შეუძლია მუშაობა თანაგუნდელებზე და შეუძლია მომენტი თავად შეიქმნას, მოატყუოს მეტოქე და დაასრულოს შეტევა.*

*ჯო ალენმა უკვე მოილია პრობლემები. მიხარია, რომ მოედანზე ვხედავ მარტინ კელისაც. მას აქამდე ერთი ვარჯიშიც არ გაუცდენია. იმედია, ძველ ფორმას რაც შეიძლება სწრაფად აღიდგენს.*

● ამბები

### ფულჰემი 300 მილიონად

ეგვიპტელი ბიზნესმენი, „ფულჰემის" ყოფილი მეპატრონე **მოჰამედ ალ ფაიედი** კლუბს 16 წლის განმავლობაში ფლობდა, თუმცა მის გაყიდვას უკვე რა ხანია, გეგმავდა. როგორც იქნა მან მიზანს მიაღწია. ექსპერტების გათვლით გარიგება 150-დან 200 მილიონამდე ფუნტის ფარგლებში უნდა შემდგარიყო. ეს ასეც მოხდა. ამერიკელმა ბიზნესმენმა, 62 წლის **შაჰიდ ხანმა** აქციათა 100%-ში 300 მილიონი დოლარი გადაიხადა, რაც 198 მილიონ ფუნტს უტოლდება. *„ფულჰემში" ჩემი ეპოქა ოდესმე უნდა დამთავრებულიყო. კლუბს, რომელსაც უზარმაზარი ენერგია დავახარჯე, საიმედო ხელში ვტოვებ. ხანი გამოცდილი საქმოსანია და ფეხბურთიც ძალიან უყვარს,"* - განაცხადა ალ ფაიედმა. ახალმა მესაკუთრემ კი თავის მხრივ გულშემატკივრებს სტაბილური განვითარების გარანტია მისცა.

### დე როსი ჩელსის უახლოვდება



დანიელე დე როსი

პარასკევს „რომას" ოფიციალურ ვებგვერდზე იმ 27 მოთამაშის გვარი გამოქვეყნდა, რომლებიც **რუდი გარსიამ** სეზონის წინა შეკრებაზე სამთო კურორტ რისკონეშითან იახლა. მოულოდნელად მათ შორის არ აღმოჩნდა **დანიელე დე როსი.** არადა, ცნობილი იყო, რომ ფეხბურთელი გუნდს რამდენიმე დღეში უნდა შეერთებოდა. მიზეზი სულ მალე ბრიტანული გამოცემების წყალობით გახდა ცნობილი. 29 წლის იტალიელი ცენტრალური ნახევარმცველი „ჩელსიში" აპირებს კარიერის გაგრძელებას. „დეილი მეილის" მტკიცებით, ლონდონურ კლუბს ფეხბურთელის გადაბირება 11 მილიონი ფუნტი დაუჯდება. **ჟოზე მოურინიო** „სკუადრა აძურას" მოთამაშის გადაბირებას ჯერ კიდევ „რეალში" მუშაობისას გეგმავდა.

### ჯეკო რჩება

„მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელის **მანუელ პელეგრინის** განცხადებით, **ედინ ჯეკო** გუნდში რჩება. შეგახსენებთ, რომ ბრიტანული გამოცემების ვერსიით, „ქალაქელები" 27 წლის ბოსნიელს „ნაპოლიში" უპირებდნენ გაშვებას, რათა იტალიური გრანდიდან **ედინსონ კავანის** ტრანსფერი გაეიოლებინათ. ამასობაში კი ურუგვაელმა თავი „პარი სენ-ჟერმენში" ამოყო. *„ჯეკოს რამდენიმე დღის წინ გულწრფელად ვესაუბრე და მინდა გითხრათ, რომ ყველაფერზე შევთანხმდით. ჩემთვის ის „სიტის" ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფეხბურთელად რჩება,"* - განუცხადა ჩილელმა სპეციალისტმა „ტელეგრაფს".

### იადონების ფერი



ლეროი ფერი

„ტვენტესა" და ჰოლანდიის ნაკრების 23 წლის ნახევარმცველმა **ლეროი ფერმა** „ნორვიჩთან" 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „იადონებს" ფეხბურთელის ტრანსფერი 5,5 მილიონი ევრო დაუჯდათ. ამა წლის იანვარში ახალგაზრდა მოთამაშე თითქოს „ევერტონში" უნდა გადასულიყო, მაგრამ ლივერპულელებმა ის სამედიცინო შემოწმების შემდეგ დაიწუნეს. ზამთარში მას მუხლის ტკივილი აწუხებდა. გეტყვით იმასაც, რომ **კრის ჰიუტონის** გუნდისთვის ეს ამ ზაფხულს განხორციელებული მე-6 ტრანსფერი იყო. აქამდე კლუბმა **მარტინ ოლსონი** (ბლექბერნი), **კარლო ნეში** (სტოკ სიტი), **ნათან რედმონდი** (ბირმინგემი), **რიკი ვან ვოლფსვინკელი** (სპორტინგი) და **ხავიერ გარიდო** (ლაციო) შეიძინა.

### ლივერპული შაჩირით დაინტერესდა

ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო „მეტროს" ცნობით, „ლივერპული" „ბაიერნის" 21 წლის შვეიცარიელი ნახევარმცველის **ჯერდან შაჩირის** შეძენით დაინტერესდა. **ჰენრიხ მხითარიანის** ტრანსფერზე ხელის მოცარვის შემდეგ მერსისაიდელებს ძლიერი შემოქმედებითი მოთამაშე სჭირდებათ. მართალია, ჯერდანი უფრო ფლანგის ნახევარმცველია, მაგრამ 2012/13 წლების სეზონში **იუპ ჰაინკესი** მას ცენტრშიც ათამაშებდა და არანაკლებ ეფექტურად. **პეპ გვარდიოლას** გუნდის შუა ხაზში ისდაც არნახული კონკურენცია იყო და ამას დაუმატეთ **ტიაგო ალკანტარას** გუშინდელი ტრანსფერიც. რა შანსი შეიძლება ჰქონდეს ახალგაზრდა შვეიცარიელს ძირითადში მოსახვედრად, თავად განსაჯეთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ჯერდან შაჩირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინგლისური ფეხბურთის პრობლემა

# ინგლისში ნიჭიერი ფეხბურთელების ნაკლებობაა

**ინგლისურმა გაზეთმა The Guardian-მა გამოკვლევის შემდეგ დაადგინა, რომ წამყვანი ხუთი ჩემპიონატიდან, ადგილობრივ ფეხბურთელებს ყველაზე დიდი პრობლემები სწორედ ინგლისში ექმნებათ.**



ინგლისის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე სრული ფიასკო განიცადა

## ტალანტი შეთხელდა

დაახლოებით ერთი კვირის წინ, პრემიერლიგის ხელმძღვანელმა **რიჩარდ სკუდემორმა** განაცხადა, რომ ინგლისის ახალგაზრდული გუნდების წარუმატებლობა (21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე და 20-წლამდელთა მუნდიალზე) პრემიერლიგის ბრალი არ არის, თუმცა გამოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ იმ ინგლისელთა რაოდენობა, რომლებიც უმაღლეს დონეზე ასპარეზობენ, თანდათან მცირდება.

2012/13 წლების სეზონის შეჯამების შემდეგ, „გარდიანმა“ შემდეგ ციფრები მიიღო:

- პრემიერლიგის ამ სეზონში მხოლოდ 189 ინგლისელმა ფეხბურთელმა ითამაშა და აქედან 88-მ ჩაატარა მატჩების ნახევარზე მეტი

- 189-დან 40-მა ფეხბურთელმა 5 ან ნაკლებ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა

- ლა ლიგაში და ლიგა 1-ში, ესპანელმა და ფრანგმა ფეხბურთელებმა, ინგლისელებზე ორჯერ მეტ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა

- პრემიერლიგის პირველმა ოთხეულმა ჯამში მხოლოდ 29 ინგლისელი ფეხბურთელი გამოიყენა. ყველაზე მეტმა ადგილობრივმა „ლივერპულის“ და „ნორვიჩის“ რიგებში ითამაშა, ყველაზე ცოტა ინგლისელი კი „უიგანს“ ჰყავდა.

ისევ სკუდემორს მოვუსმინოთ: *„შარშან პრემიერლიგაში 210 ინგლისელი ფეხბურთელი თამაშობდა და აქედან, 11 ისეთი მოთამაშის ამორჩევა, რომელიც ნაკრებში წარმატებით ითამაშებს, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ეს მოთამაშეები კვირაში ერთხელ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაშობენ“.*

## სამი მიზეზი

ფაქტია, რომ ინგლისელ ფეხბურთელთა უმეტესობას დიდი სათამაშო პრაქტიკა ნამდვილად არ აქვს და უმეტესობა მათგანი საკუთარ კლუბში მოკრძალებული როლით კმაყოფილდება. ასეთი მძიმე სიტუაციის ახსნას ქომაგები და სპეციალისტები ძირითადად სამი მიზეზით ცდილობენ:

1. ინგლისურ კლუბებში ძალიან ბევრი ლეგიონერია.

2. მწვრთნელები ჟურნალისტებისგან და მფლობელებისგან დიდ ზეწოლას განიცდიან, მათ წარმატებას უმალვე სთხოვენ, რის გამოც, მწვრთნელებს არ აქვთ იმის დრო, რომ აკადემიაში გაზრდილი ფეხბურთელის ჩამოყალიბებას ელოდონ.

3. ინგლისში ნიჭიერი ფეხბურთელების ნაკლებობაა.

მესამე მოსაზრებას ეთანხმება „ასტონ ვილას“ აკადემიის დირექტორი **ბრაიან ჯოუნსი**: *„მაღალი დონის ახალგაზრდა ფეხბურთელები აღარ გვყავს და ამას 20-წლამდე და 21-წლამდე ნაკრებთა შედეგიც ადასტურებს. სკუდემორმა თქვა, რომ კლუბების აკადემიებში ბევრი ფეხბურთელია, მაგრამ რაოდენობა ხარისხს არ ნიშნავს. ახალგაზრდა მოთამაშეთა რაოდენობა კი გაიზარდა, მაგრამ მათი 50 პროცენტი მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს“.*

დასრულებულ სეზონში, საკუთარი აკადემიის მიერ აღზრდილი ყველაზე მეტი ფეხბურთელი „ასტონ ვილას“, „ტოტენჰემს“ და „ვესტ ჰემს“ ჰყავდათ, თუმცა კლუბების უმეტესობა ამ მხრივ არ გამოირჩეოდა. ჯოუნსის აზრით, მთავარი ცვლილებები 21-წლამდელთა ლიგებს უნდა შეეხოს, რადგან მათი დონე კრიტიკას ვეღარ უძლებს - ახალგაზრდულ ჩემპიონატსა და პრემიერლიგას შორის იმხელა სხვაობაა, რომ ფეხბურთელებს გადაწყობა და უმაღლესი ლიგის მოთხოვნების დაკმაყოფილება უჭირთ.

## ფარმკლუბების აუცილებლობა

ჯოუნსის აზრით, ერთ-ერთი გამოსავალი ფარმკლუბების გაჩენა უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, ახალგაზრდა ფეხბურთელები ადრეულ ასაკში შეიძენენ პროფესიონალების წინააღმდეგ თამაშის გამოცდილებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2012/13 წლების სეზონში, პრემიერლიგაში 189 ინგლისელმა ითამაშა (და არა 210-მა, როგორც სკუდემორმა განაცხადა). ამ ფეხბურთელებმა ჯამში 3 411 შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. წამყვან ჩემპიონატებთან სხვაობა აქაც თვალსაჩინოა: ლა ლიგა - 332 ესპანელი, 6 391 თამაში; ლიგა 1 - 320 ფრანგი, 6 274 თამაში; სერია A - 269 იტალიელი, 5 070 თამაში; გერმანია - 224 გერმანელი, 4 035 თამაში. ყველაზე ახლოს ინგლისთან ბუნდესლიგაა, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ჩამოთვლილ ჩემპიონატებს შორის, გერმანია არის ერთადერთი, სადაც უმაღლეს ლიგაში 18 კლუბი მონაწილეობს და შესაბამისად, ნაკლებია როგორც კლუბების, ასევე თამაშების რაოდენობაც.

დიდი სხვაობაა წამყვანი გუნდების მხრივაც. „მანჩესტერ იუნაიტედის“, „მანჩესტერ სიტის“, „ჩელსის“ და „არსენალის“ რიგებში მხოლოდ 29 ინგლისელმა ფეხბურთელმა ითამაშა, იმ დროს, როდესაც ესპანეთის ჩემპიონატის ოთხეულში 60 ესპანელი ფეხბურთელი იყო დასაქმებული, გერმანიაში - 52, საფრანგეთში - 70, ხოლო იტალიაში - 52.

## კომპენსაციები

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ინგლისს აწუხებს, კომპენსაციების გაუმართავი სისტემა გახლავთ. ახალი წესების მიხედვით, „ასტონ ვილამ“ ინგლისის 15-წლამდელთა ნაკრების წევრის, დენ კროულის აღზრდისთვის მხოლოდ 209 000 ფუნტი მიიღო, თინეიჯერი ფეხბურთელი კი „არსენალში“ გადავიდა.

*„პრემიერლიგის ხელმძღვანელები ძალიან ცდებიან, თუ თვლიან, რომ ჩვენ ინგლისელ მოთამაშეებს 16-წლამდე იმისთვის გავზრდით, რომ შემდეგ ისინი იაფად დავკარგოთ. თუ სიტუაცია არ შეიცვალა, „ასტონ ვილა“ ყურადღებას ევროპისკენ გადაიტანს და ახალგაზრდა მოთამაშეებს იქ შეარჩევს. ამის შესახებ მწვრთნელთან და დირექტორთა საბჭოსთან უკვე ვისაუბრეთ. ჩემი საქმე ტალანტების „ასტონ ვილასთვის“ და არა „არსენალისთვის“ აღზრდაა. რა აზრი აქვს ფეხბურთელის 8-9 წლის განმავლობაში გაზრდას, თუ შემდეგ ის იაფად, სასაცილო ფასად უნდა დაკარგო?! მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთამაშეების აღზრდაზე არავინ იფიქრებს,“* - განაცხდა ბრაიან ჯოუნსმა.

**ტატო ბაციკაძე**

● ტრანსფერი



მეჰდი ბენატია „რომაში“ ითამაშებს

# ბენატია გამგელდა

## რომა დაცვას აძლიერებს

სეზონი ახალი დასრულებული იყო, როდესაც ვწერდით, რომ „რომა“ „უდინეზეს“ მცველ **მეჰდი ბენატიას** გადაბირებით იყო დაინტერესებული. ცნობა გამართლდა და დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 26 წლის მაროკოელი დედაქალაქური გუნდის ღირსებას დაიცავს.

დიახ, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის მიხედვითაც, ბენატია „ჯალოროსისთან“ 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. აქვე ვთქვათ, რომ ტრანსფერის ღირებულება 13.5 მილიონი ევროა. ამასთან, „რომადან“ „უდინეზეში“ ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი გადაბარგდება: **ვალერიო ვერე** და **ნიკოლას ლოპესი**, ორივე 19-19 წლის. სრული ინფორმაციისთვის, დავამატოთ, რომ ორივე მათგანის სატრანსფერო უფლებების ნახევარს „ჯალოროსი“ იტოვებს.

ბენატიამ ბოლო სამი სეზონი „უდინეზეში“ გაატარა, 72 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 5 გოლი გაიტანა. მეჰდი საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილია და სწორედ ამ ქვეყნის ასაკობრივ ნაკრებებში ირჯებოდა, თუმცა როდესაც საქმე ეროვნულ ნაკრებზე მიდგა, ისტორიული სამშობლოს სამსახურში ჩადგა - შესაძლოა იმიტომაც, რომ არჩევანი უბრალოდ არ ჰქონდა. მაროკოს ეროვნულ გუნდში მეჰდიმ 30 მატჩი გამართა და 1 გოლი შეაგდო. ბენატია ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მცველია სერია A-ში და მისი ტრანსფერი „რომას“ აქტივში უნდა ჩავუთვალოთ.

**ლაშა ნიკლაური**

● ნაპოლი

# რაფა ბენიტესი სკუდეტოს უმიზნებს

„ნაპოლი“ ახალი სეზონისთვის სამზადისს საკმაოდ გვიან, 21 ივლისს დაიწყებს, რამაც იტალიაში ბევრი გააკვირვა. მაგალითად, „ინტერმა“ საწვრთნელი ციკლის პირველი ეტაპი 10 ივლისს დაიწყო და უკვე გახურებულ სამზადისშია. ბუნებრივია, ამ თემაზე სასაუბროდ ჟურნალისტები გუნდის მთავარ მწვრთნელ **რაფაელ ბენიტესს** დაუკავშირდნენ, თუმცა ესპანელი სხვა საინტერესო საკითხებსაც შეეხო:


რაფა ბენიტესი

*„ვფიქრობ, ფეხბურთელებს კარგი დასვენება ყველაზე მეტად სჭირდებათ, მოსამზადებლად კი დრო ნამდვილად გვექნება. ხანგრძლივი დასვენება თვითონ ფეხბურთელებმა გამოიწერეს, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში მოხვდნენ და არა საკვალიფიკაციო ეტაპზე. ჩვენი პრიორიტეტული მიზანი მომდევნო სეზონში? - ყველა ფრონტზე უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა, თუმცა წარმატების მისაღწევად იღბალიც საჭიროა. ფორტუნა განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგაზე გჭირდება, ეროვნულ ჩემპიონატში კი შეცდომის გამოსწორების ბევრი შანსი გაქვს. სიმართლე გითხრათ, მომდევნო სეზონში ჩვენი პრიორიტეტული მიზანი სწორედ სკუდეტოსთვის ბრძოლა იქნება. ედინსონ კავანი? - თუ ჩვენთან დარჩება, 21 ივლისს შევხვდები, თუ არა და ღმერთმა ხელი მოუმართოს“.*

**ლაშა ნიკლაური**

● პსჟ

# იბრა კავანისთან ერთად თამაშზე უარს აცხადებს

„ნაპოლის“ პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** სენსაციური განცხადება გააკეთა, რომლისგანაც ვიგებთ, თუ რატომ შეფერხდა **ედინსონ კავანის** ტრანსფერი „პარი სენ-ჟერმენში“. კავანის კარგა ხნის (დაახლოებით ერთი კვირის) გაფორმებული უნდა ჰქონდეს კონტრაქტი პსჟ-სთან, თუმცა ახლა 15 ან 16 ივლისს ასახელებენ. პსჟ ურუგვაელში 60 მილიონ ევროს უხდის „ნაპოლის“. გართულება გამოიწვია, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გადაწყვეტილებამ - 31 წლის შვედმა პსჟ-ს ხელმძღვანეობას ულტიმატუმი წაუყენა, ის არ აპირებს კავანისთან ერთად თამაშს.


იბრაჰიმოვიჩი და კავანი

აურელიო დე ლაურენტისის ცნობით, პსჟ-ში გადაწყვეტილება მიიღეს - ისინი იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერს ხელს არ შეუშლიან. დე ლაურენტისმა კბილი კავანისაც გაჰკრა, მისი ერთადერთი მოტივაცია ფულიაო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## რეალის ახალწვეული ბასკეთის დიდი პატრიოტია




ილიარამენდის წვივსაფარი

23 წლის **ასიერ ილიარამენდის** სანაცვლოდ მადრიდის „რეალმა" სან სებასტიანის „რეალ სოსიედადს" 38,9 მილიონი ევრო გადაუხადა.

გაირკვა, რომ ბასკი ნახევარმცველი „რეალში" 24-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. თქვენს წინაშე კი წვივსაფარია, რომლითაც ასიერ ილიარამენდი მატჩებზე გამოდის.

როგორც ბევრი ფეხბურთელი, ასიერიც „ბლინდაქსის" ფირმის წვივსაფრებს ხმარობს, რომელიც კარბონისგან არის დამზადებული. თუმცა მთავარი ამ შემთხვევაში წვივსაფარის გაფორმებაა.

ერთ მხარეს ოჯახის წევრების და ახლო ნათესავების ფოტოა, სადაც წერია ანდონი. ანდონი მისი პატარა ბიძაშვილია, როგორც ფეხბურთელი ამბობს, მისი ყველაზე დიდი ფანი. მეორე წვივსაფარს მუტრიკუ აწერია, ფეხბურთელის მშობლიური ქალაქის სახელი და, რა თქმა უნდა, აქვეა ბასკთა ქვეყნის დროშაც.

სხვათა შორის, ილიარამენდის პრეზენტაციას პატარა ანდონიც ესწრებოდა და უზომოდ ამაყიც იყო.

## ანჩელოტიმ რეალში შვილი დაასაქმა

იტალიელი სპეციალისტი **კარლო ანჩელოტი** მადრიდში მუშაობას დღეიდან იწყებს, ის გუშინ მადრიდში ჩავიდა და მედიას ერთი უცნაური შენაძენიც დაუდასტურა. კარლო ანჩელოტიმ „რეალში"... შვილი, **დავიდე ანჩელოტი** მიიყვანა. დავიდე ანჩელოტის სპორტული მეცნიერების დარგში აქვს ინსტიტუტი დამთავრებული, ის 24 წლის სრულდება და „რეალში" ფიზიკური მომზადების მწვრთნელის ასისტენტად იმუშავებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## აიაქსი თანახმაა

„სქაი სპორტის" ცნობით, თუკი **კრისტიან ერიქსენი** „აიაქსისგან" ოფიციალურად მოითხოვს ტრანსფერზე დაყენებას, კლუბი მის სურვილს აუცილებლად გაითვალისწინებს. ამსტერდამელთა თავკაც **ფრანკ დე ბურს** არ სურს გუნდში ისეთი ფეხბურთელის ყოლა, რომელსაც სათანადო მოტივაცია არ გააჩნია. *„აუცილებელია ზუსტად ვიცოდეთ, თუ რა უნდა კრისტიანს. თუკი მას კარიერის „ლივერპულში" გაგრძელება აქვს განზრახული, ის ამას გააკეთებს. ნამდვილად არ მინდა, რომ მისი დონის ფეხბურთელმა კიდევ რამდენიმე წელიწადი დაკარგოს ჰოლანდიის ჩემპიონატში. მისით უამრავი კლუბია დაინტერესებული და მესმის, რომ თავადაც ერთი სული აქვს, როდის გადადგამს მომდევნო ნაბიჯს კარიერაში,"* - განაცხადა დე ბურმა.

ერიქსენის შეძენის ფავორიტებად „დორტმუნდი" და „ლივერპული" სახელდებოდნენ, მაგრამ **ჰენრიხ მხითარიანის** ყიდვის შემდეგ „შავ-ყვითლებმა" საქმეს ჩამოშორდნენ და ასპარეზი „წითლებს" დარჩათ. დანიელ ვარსკვლავს „აიაქსთან" ხელშეკრულება 2014 წლის ზაფხულზე უმთავრდება.




კრისტიან ერიქსენი

## ვერმალენი კაპიტნად რჩება

„არსენალის" კაპიტანი **ტომას ვერმალენი** პრემიერლიგის 2012/13-ის სეზონის ბოლო ცხრა შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში. ამის მიზეზი მარტო ის როდი იყო, რომ **პერ მერტეზაკერი** და **ლორან კოშელნი** დამაჯერებლად თამაშობდნენ. 27 წლის ბელგიელს ხერხემლის სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ცხადია, კაპიტნის სკამზე ჯდომა გუნდში გარკვეულ უხერხულობას ქმნის. მას ამჟამადაც აწუხებს ტრავმა. წინასწარი მონაცემებით ის სექტემბრის ბოლომდე მინდორზე დაბრუნებას ვერ მოახერხებს. პრესასაც მეტი რა უნდოდა და ფეხბურთელისთვის სამკლავურის ჩამორთმევა იწინასწარმეტყველა, რაც **არსენ ვენგერმა** კატეგორიულად უარყო: *„მიუხედავად იმისა, რომ მას ამ ეტაპზე ვარჯიში არ შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ ისიც არ ვიცით, როდის შეიძლება მისი იმედი გვქონდეს, ტომასი კაპიტნად დარჩება".*

რახან „არსენალზე" ვლაპარაკობთ, აქვე გეტყვით, რომ გუშინ ჩრდილოლონდონელები ინდონეზიის კლუბების ნაკრებს გაეჯიბრნენ და 7:0 დაამარცხეს. გოლები გაიტანეს: **თეო უოლკოტმა** (19), **ჩუბა აკპომმა** (54), **ოლივიე ჟირუმ** (70, 73), **ლუკას პოდოლსკიმ** (83), **კრისტოფერ ოლსონმა** (85) და **თომას აისფელდმა** (86).

**ლევან ბიბილაშვილი**




ტომას ვერმალენი (მარცხნივ)

20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. თურქეთი 2013. ფინალი

# ისტორიული გამარჯვება

**საფრანგეთი-ურუგვაი 0:0 პენ. 4:1**

**პენალტების სერია**: 1:0 პოგბა, 1:0 ე. ველასკესი (მეკარე), 2:0 ვერეტუ, 2:0 დე არასკაეტა (მეკარე), 3:0 ნგანდო, 3:1 ოლასა, 4:1 ფულკიე

**საფრანგეთი (4-3-2-1)**: არეოლა - ფულკიე, ზუმა, სარი, დინი (115. პოლომატი) - ვერეტუ, პოგბა, კონდოგბია - ბაებეკი (65. ბოსეტი, 112. ნგანდო), ტოვენი - სანოგო

**ურუგვაი (4-4-2)**: დე ამორესი - ე. ველასკესი, ხ. ხიმენესი (84. გ. ვარელა), გ. სილვა, ჯ. როდრიგესი (101. ოლასა) - პაისი, კრისტოფორო, ასევედო, ლაქსალტი (71. დე არასკაეტა) - ავენატი, ნ. ლოპესი

**გაფრთხილება**: პოგბა, ვერეტუ - ე. ველასკესი, კრისტოფორო

**კუთხური**: 7-6; **ჯარიმა**: 16-17; **თამაშგარე**: 3-5; **კარში დარტყმა**: 12-22 (5-14); **ბურთის ფლობა**: 60%-40%

**მაყურებელი**: 20 601



ნიკოლას ლოპესი, პოლ პოგბა და კლიფორდ აბოაგიე

**სტამბოლში, „ალი სამი იენზე" გამართული ფინალური მატჩი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა. საფრანგეთის 20-წლამდელთა ნაკრებმა, ურუგვაის ახალგაზრდულ გუნდს პენალტების სერიაში მოუგო და მსოფლიოს ჩემპიონატზე ისტორიაში პირველად იმარჯვა.**

ამ გამარჯვებით, საფრანგეთმა რეკორდი დაამყარა და გახდა პირველი ქვეყანა, ვინც ფიფას ეგიდით ჩატარებული ხუთი სხვადასხვა ტურნირის მთავარი პრიზი მოიპოვა - 20-წლამდელთა ჩემპიონატის გარდა, ფრანგებს მოგებული აქვთ მუნდიალი (1998), კონფედერაციათა თასი (2001, 2003), 17-წლამდელთა მუნდიალი (2001) და ოლიმპიური თამაშები (1984). „სამფეროვნებმა" არგენტინა და ბრაზილია ჩამოიტოვეს. არგენტინას 17-წლამდელთა მუნდიალი არ მოუგია, ბრაზილიას კი ოლიმპიადა.

შეხვედრის გმირი **ალფონს არეოლა** გახდა. „პარი სენ ჟერმენის" ნიჭიერმა მეკარემ საკუთარი გუნდი რამდენიმე ეპიზოდში გადაარჩინა, პენალტების სერიაში კი ორი 11-მეტრიანი მოიგერია. ურუგვაელთა მხრიდან **ემილიანო ველასკესმა** და **ჯორჯიანო დე არასკაეტამ** ვერ ივარგეს, ფრანგებმა კი ყველა პენალტი ზუსტად შეასრულეს და ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს.

ურუგვაიმ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ძირითად დროში გამარჯვებასთან უფრო ახლოს „სელესტე" იყო. მატჩის დასაწყისში **ნიკოლას ლოპესი** და **დიეგო ლაქსალტი** აქტიურობდნენ, ფრანგებიდან კი **პოლ პოგბა** გამოირჩეოდა, თუმცა **პიერ მანკოვსკის** შეგირდები მხოლოდ შორეული დარტყმებით კმაყოფილდებოდნენ. მეორე ნახევარში „ნიცას" და „ლილის" უნიჭიერესი შემტევები, **ალექსი ბოსეტი** და **ფლორიან ტოვენი** გააქტიურდნენ, მაგრამ მატჩის ყველაზე რეალური მომენტი წყვილის აუტსაიდერად მიჩნეულმა ურუგვაიმ შექმნა - დე არასკაეტას შესანიშნავი პასის შემდეგ **ფელიპე ავენატი** არეოლასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარემ კარი დროულად დატოვა და საკუთარი გუნდი იხსნა.

დამატებით დროში გუნდები აღარ რისკავდნენ და მოსაწყენი სანახაობა ლოგიკურად, გოლების გარეშე დასრულდა, პენალტების სერიაზე კი უკვე ვისაუბრეთ.

საბოლოო ჯამში, საფრანგეთი ტურნირის ყველაზე ძლიერი გუნდი კი იყო, თუმცა კონკრეტულად ფინალში უფრო უკეთ ურუგვაიმ ითამაშა, მაგრამ „სელესტემ" მეორე ფინალიც (პირველად 1997 წელს, არგენტინასთან) წააგო.

მომდევნო ახალგაზრდული მუნდიალი 2015 წელს, ახალ ზელანდიაში გაიმართება. წლის ბოლოს კი 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი გველის, რომლის მასპინძელიც არაბეთის გაერთიანებული საამიროები გახლავთ.

**მატჩი III ადგილისთვის**

**განა-ერაყი 3:0**

**გოლები**: 1:0 ატამა (35), 2:0 ასიფუა (45), 3:0 აჩეამპონგი (78)

ორი ძალიან სიმპათიური გუნდის მატჩი განის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. ამ შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი **ებენეზერ ასიფუას** გოლი იყო - ამ ბურთის წყალობით, 20 წლის ფორვარდმა პორტუგალიელ **ბრუმას** და ესპანელ **ხესე როდრიგესს** გადაასწრო და მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა.

**ბომბარდირები**: 6 - ებენეზერ ასიფუა (განა); 5 - ბრუმა (პორტუგალია), ხესე როდრიგესი (ესპანეთი); 4 - ნიკოლას კასტილიო (ჩილე), იაია სანოგო (საფრანგეთი), ნიკოლას ლოპესი (ურუგვაი)

**ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი**

### პოლ პოგბა (საფრანგეთი)

ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ პოლ პოგბა დაასახელეს. „იუვენტუსის" ახალგაზრდა ნახევარმცველმა მთელი ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და საფრანგეთის ნაკრების უდავო ლიდერად მოგვევლინა.

ვერცხლის ბურთის მფლობელი ნიკოლას ლოპესი გახდა. „რომას" უნიჭიერესმა შემტევმა ურუგვაის ნაკრების წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

ბრინჯაოს ბურთის მფლობელი კი განის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **კლიფორდ აბოაგიე** გახდა.

**ოქროს ხელთათმანი**

### გილერმო დე ამორესი (ურუგვაი)

საუკეთესო მეკარის პრიზი არა ალფონს არეოლამ, არამედ გილერმო დე ამორესმა მიიღო. მონტევიდეოს „ლივერპულის" 18 წლის მეკარემ სულ სამი გოლი გაუშვა, რაც ტურნირის საუკეთესო შედეგი იყო. ნიკოლას ლოპესთან ერთად, გილერმო დე ამორესი „სელესტეს" ფინალში გასვლის მთავარი მიზეზი გახლდათ.

**ფეარ პლეის პრიზი**

### ესპანეთი

ფავორიტობის მიუხედავად, ესპანეთის ნაკრები ტურნირს 1/4 ფინალში გამოეთიშა, მაგრამ პირენეელებმა თურქეთი ტიტულის გარეშე მაინც არ დატოვეს. **ხულენ ლოპეტეგის** შეგირდებმა ყურადღება არამარტო ლამაზი, არამედ სუფთა თამაშითაც მიიპყრეს - ესპანელებმა მხოლოდ 5 ყვითელი ბარათი დაიმსახურეს.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები




დავიდ ვილია

## ვილია ატლეტიკოში ფალკაოს 9-იანით ითამაშებს

დღეს მადრიდის „ატლეტიკო" თავის ყველაზე ვარსკვლავურ ახალწვეულს, **დავიდ ვილიას** წარადგენს. უკვე ცნობილია, რომ „ელ გუახე" მადრიდულ კლუბში 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, ხოლო ვეტერანი არგენტინელი მცველი **მარტინ დემიკელისი** - 24-ნომრიანით.

შეგახსენებთ, რომ დავიდ ვილია „ბარსელონადან" „ატლეტიკოში" 5,1 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა და მადრიდულ კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გასულ სეზონში 9 ნომრით „ატლეტიკოში" **რადამელ ფალკაო** თამაშობდა, რომელიც „მონაკოში" გადაბარგდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ინსის უარი კარდიფს

„კარდიფ სიტის" პრემიერლიგაში აღზევების შემდეგ შემადგენლობის სერიოზულად გაძლიერება აქვს განზრახული. სამწვრთნელო შტაბს ამისთვის 20 მილიონი ფუნტი აქვს განკარგულებაში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გარიგება შედგა: „კოპენჰაგენმა" თავდამსხმელ **ანდრეას კორნელიუსის** ნაცვლად 8,7 მილიონი ევრო მიიღო. უელსელები 9,24 მილიონის გადახდას აპირებდნენ „ბლექპულის" 21 წლის ნახევარმცველ **ტომას ინსში**, მაგრამ ფეხბურთელმა შეთავაზებას უარი თქვა. **პოლ ინსის** ვაჟი „ლივერპულის" აკადემიის აღზრდილია და მშობლიურ კლუბში დაბრუნება სულითა და გულით სურს. მას ურჩევნია, ერთი წელი დაიცადოს და „ენფილდზე" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდეს. „კარდიფის" თავკაც **მალკი მაკეის** სათადარიგო ვარიანტიც მზად აქვს: „ბრისტოლ სიტის" 25 წლის განელი მარჯვენაფლანგელი **ალბერტ ადომა**.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ტრემულინასი კიევში

კიევის „დინამომ" საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი **ბენუა ტრემულინასი** გადაიბირა. 27 წლის მარცხენა მცველის შეძენა უკრაინელებს 6.5 მილიონი ევრო დაუჯდათ - ტრემულინასი კიევში „ბორდოდან" გადავიდა და „დინამოსთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. კიევის „დინამოს" მიზანი უკრაინის ჩემპიონატში დონეცკის „შახტარის" ბოლოდროინდელი ჰეგემონიის დამხობაა. შეგახსენებთ, რომ დონეცკელებმა ჩემპიონობა ზედიზედ ოთხჯერ იზეიმეს. ტრემულინასი კიეველებისთვის მეოთხე სერიოზული შენაძენია. მანამდე „დინამომ" **დიუმერსი მბოკანი** („ანდერლეხტიდან", 11 მილიონ ევროდ), **იუნეს ბელჰანდა** („მონპელიედან", ასევე 11 მილიონად) და **ჯერმაინ ლენსი** („ეინდჰოვენიდან", 6.5 მილიონად) გადაიბირა.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

Auto Bild
საქართველო
გაყიდვაშია ივლისის ნომერი

● გერმანული ტესტები

# საპაიდერმანის პირველი გოლი

## ბორუსიამ ბურსასთან იფრინა, ბაიერნში შაჩირი გამოირჩა

გერმანული კლუბები ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობენ და თუკი თავიდან ძალიან სუსტ გუნდებთან აგორებდნენ ბურთს, ახლა ტესტ-მატჩებში უფრო და უფრო სერიოზულ მეტოქეებს ხვდებიან. მკითხველს ყველაზე მეტად „ბაიერნისა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ ამხანაგური მატჩები აინტერესებს და შესაბამისად, ამ ბუნდესლიგის მთავარი ფავორიტების ტესტ-მატჩებს შედარებით ვრცლად მიმოვიხილავთ.



დორტმუნდის „ბორუსიას“ ახალწვეულები: ჰენრიხ მხითარიანი პიერ-ემერიკ ობამეიანს ამ უკანასკნელის პირველ გოლს ულოცავს

### ბორუსიამ ბურსასთან იფრინა

| დორტმუნდი-ბურსა | 4:1 |
| --- | --- |

**გოლები:** 1:0 ლევანდოვსკი (13), 2:0 ობამეიანი (45), 3:0 როისი (62), 4:0 აზიზი (69-საკ. კარში), 4:1 ჩინაზი (89)

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ლანგერაკი - დურმი, ჰუმელსი, ზაარი, ბანდოვსკი - გიუნდოგანი, შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი, მხითარიანი, ობამეიანი - ლევანდოვსკი.

**II ტაიმში:** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, სუბოტიჩი, სოკრატისი, შმელცერი - ს. ბენდერი, კირხი - ჰოფმანი, დუკში, როისი - შიბერი.

დორტმუნდის „ბორუსია“ შეკრებას შვეიცარიაში გადის. **იურგენ კლოპის** გუნდი შაბათს თურქულ „ბურსასპორს“ შეხვდა და 4:1 დაამარცხა. ამ მატჩში დორტმუნდელთა მთავარმა ახალწვეულმა **ჰენრიხ მხითარიანმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია, ხოლო **პიერ-ემერიკ ობამეიანმა** შავ-ყვითელი ფორმით პირველი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „ბურსას“ კარი **რობერტ ლევანდოვსკიმაც** დალაშქრა.

კლოპის 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში „ბურსასთან“ ერთადერთი ცენტრფორვარდი ლევანდოვსკი გახლდათ, მის უკან ფლანგებიდან **ბლაშჩიკოვსკი** (მარჯვნივ) და ობამეიანი (მარცხნივ) მოქმედებდნენ, გამთამაშებელი კი მხითარიანი გახლდათ. ანგარიში ლევანდოვსკიმ ობამეიანისა და მხითარიანის უშედეგო მცდელობების შემდეგ გახსნა.

კლოპის გუნდი სხარტად უტევდა - ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ბორუსიადან“ ყველაზე მეტად სწორედ კლუბის ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებულ შენაძენად ქცეული მხითარიანი გამოირჩეოდა. „ბორუსიას“ თითქმის ყველა შეტევა 24 წლის სომეხ ვარსკვლავზე გადიოდა და გამოჩნდა, რომ ჰენრიხი ახალ თანაგუნდელებს უკვე საკმაოდ კარგად უგებს. პირველი ტაიმის მიწურულს ობამეიანმა თავისი პირველი გოლი „დორტმუნდის“ ფორმით სწორედ მხითარიანის მშვენიერი პასის შემდეგ გაიტანა. „ბორუსიას“ სომეხ „ათიანს“ გატანა თავადაც რამდენჯერმე შეეძლო.

შესვენებაზე კლოპმა მთელი შემადგენლობა შეცვალა. მეორე ტაიმში საუკეთესო **მარკო როისი** გახლდათ. მესამე გოლი სწორედ მის ანგარიშზეა, მეოთხე კი ახალგაზრდა **ჰოფმანის** დამსახურება გახლდათ (**აზიზის** ავტოგოლი). საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე „ბურსამ“ კუთხურიდან პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა. კლოპის გუნდი მომდევნო ამხანაგურ შეხვედრას ხვალ, შვეიცარიული „ლუცერნის“ წინააღმდეგ გამართავს.


ჯერდან შაჩირიმ ხოსეპ გვარდიოლას დარიგებები შეისმინა და დუბლი შეასრულა

### ისევ 4-1-4-1 და ამჯერად შაჩირის დუბლი

**12 ივლისი**

| ზონენჰოფი-ბაიერნი | 0:6 |
| --- | --- |

**გოლები:** 0:1 შაჩირი (30), 0:2 შაჩირი (34), 0:3 კროოსი (41), 0:4 რობენი (44), 0:5 ალაბა (75), 0:6 გრინი (86)

**ბაიერნი (4-1-4-1):** შტარკე - რაფინია, ვან ბუიტენი, ბოატენგი, ალაბა - კროოსი - რობენი, ვაინრაუხი, რიბერი, შაჩირი - მანჯუკიჩი.

**II ტაიმში შევიდნენ:** ლამი, კირხჰოფი, ჩანი, ჰოიბერგი, მიულერი, შიოპფი, გრინი, პისარო.

**14 ივლისი**

| პანზა-ბაიერნი | 0:4 |
| --- | --- |

**გოლები:** 0:1 ლამი (20), 0:2 რიბერი (25), 0:3 მიულერი (75), 0:4 მანჯუკიჩი (88)

„ბაიერნს“ არც მეხუთე ტესტ-მატჩის მოგება გაუჭირდა: რეკორდმაისტერმა რეგიონალლიგელი „ზონენჰოფ გროსაპახიც“ დიდი ანგარიშით, 6:0 გაანადგურა. ბავარიელთაგან საუკეთესო **ჯერდან შაჩირი** გახლდათ, რომელმაც, გარდა იმისა, რომ დუბლი შეასრულა, მოედანზე ყველაზე აქტიური და სასარგებლო გახლდათ. მეორე ტაიმში ასევე გამოირჩეოდნენ **დავიდ ალაბა** და ახალგაზრდა **იულიან გრინი, თომას მიულერმა** კი პენალტი ვერ გამოიყენა.

აღსანიშნავია, რომ **ხოსეპ გვარდიოლამ** „ბაიერნი“ 4-1-4-1 ტაქტიკური სქემით ათამაშა და როგორც ჩანს, პეპს მიუნხენური გრანდის დღევანდელი კონტინგენტისთვის ყველაზე მეტად სწორედ ეს სქემა მოსწონს. პირველ ტაიმში ერთადერთი კლასიკური საყრდენი ნახევარმცველი **ტონი კროოსი** გახლდათ, მეორე ნახევარში კი ახალგაზრდა **ჰოიბერგი**. ფლანგებიდან შაჩირი და **რობენი** უტევდნენ, ცენტრში კი, მანჯუკიჩის უკან რიბერი და ვაინრაუხი მოქმედებდნენ. მეორე ნახევარში გვარდიოლამ რვა ფეხბურთელი შეცვალა და ძირითადი შემადგენლობიდან მოედანზე მხოლოდ შტარკე, ალაბა და **ვაინრაუხი** დატოვა.

გუშინ „ბაიერნმა“ ქვა-ქვაზე არ დატოვა როსტოკის „ჰანზასგანაც“ - 4:0. ამჯერად, თავი „ძველმა გვარდიამ“ (**ლამი, რიბერი**, მიულერი და **მანჯუკიჩი**) გამოიჩინა.

### სხვა მატჩები

ლევერკუზენის „ბაიერი“ მეორებუნდესლიგელ „მიუნხენ 1860-თან“ 1:2 დამარცხდა. „ფარმაცევტებისთვის“ კარგი მხოლოდ ის იყო, რომ „ჰამბურგიდან“ ნაყიდმა **ჰეონ-მინ სონმა** „ლევერკუზენის“ ფორმით პირველი გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ სამხრეთკორეელი სონი „ბაიერის“ უძვირფასესი შენაძენია - „ფარმაცევტებმა“ მასში 10 მილიონი ევრო გადაიხადეს. მეორებუნდესლიგელთან წააგო მიონხენგლადბახის „ბორუსიამაც“. **ლუსიენ ფავრის** ბიჭები „ინგოლშტადტთან“ 0:1 დამარცხდნენ - ახალწვეულებმა, **რაფაელმა** და **კრუზემ** „გლადბახის“ შვეიცარიელ მწვრთნელს იმედები გაუცრუეს.

ჰამბურგში, ჩრდილოეთის თასის ამხანაგურ ტურნირზე ერთმანეთს „ჰამბურგი“ და პირველ ბუნდესლიგაში აღზევებული „ბრაუნშვაიგი“ შეხვდნენ - მატჩი 0:0 დასრულდა, პენალტების სერიაში კი „ჰამბურგმა“ 4:3 მოიგო (**დრობნიმ** ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია). ამავე ტურნირზე „ვოლფსბურგი“ დანიურ „კოპენჰაგენთან“ 1:2 დამარცხდა.

„ნიურნბერგმა“ მესამელიგელ „უნტერჰახინგთან“ 2:2 ითამაშა. მეკარე **რაფაელ შეფერმა** პენალტი მოიგერია, გოლები კი „ფრანკებიდან“ ახალწვეულმა ფორვარდმა **გინჩეკმა** გაიტანა. ფრანკფურტის „აინტრახტმა“ „აალენი“ 4:1 დაამარცხა - ორი გოლი ახალწვეულ **ხოსელუს** ანგარიშზეა და მის გარდა **იუნგმა** და **შტენდერამ** იხეირეს. აქვე გეტყვით, რომ ნიჭიერი ნახევარმცველი შტენდერა მძიმედ დაშავდა - 17 წლის ფეხბურთელი „აინტრახტს“ საკმაოდ დიდხანს დაკლდება. ელიტაში დარჩენილი „აუგსბურგი“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ „ფიურტთან“ 1:2 დამარცხდა, „ჰოფენჰაიმი“ კი „ფრანკფურტთან“ 0:1. ბერლინის „ჰერტამ“ ტრავმირებული **ლევან კობიაშვილის** გარეშე „ლაიპციგს“ 1:0 მოუგო.

● მოსაზრება

# ფიოლერი: ეს საუკეთესო გერმანიაა!

## რუდის აზრით, დღევანდელი ბუნდესგუნდი ყველა დროის საუკეთესოა

გერმანიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **რუდი ფიოლერი**, რომელიც „ბაიერის“ სპორტული დირექტორია, მიიჩნევს, რომ გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მოგების ჩინებული შანსი აქვს.

*„ჩემი აზრით, გერმანიის დღევანდელი ნაკრები ყველა დროის საუკეთესო ბუნდესგუნდია, - განაცხადა 53 წლის ფიოლერმა „კიოლნერ ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, - დღეს იოახიმ ლიოვის განკარგულებაშია გუნდი, რომელიც ჩემი აზრით, 1954 წლის ბუნდესგუნდსაც სჯობია, 1974 წლის ლეგენდარულ გერმანიასაც და 1990 წლის სრულყოფილ ბუნდესგუნდსაც. ჩვენს პირველ გუნდს ამდენი ახალგაზრდა და ამავდროულად შესანიშნავი ფეხბურთელი ერთად აქამდე არასდროს ჰყოლია.“*


რუდი ფიოლერი ახლა ლევერკუზენის სპორტული დირექტორია

ფიოლერი, რომელიც თავად იყო 1990 წლის ნაკრების თავდამსხმელი, მერე კი გერმანიის ნაკრებს წვრთნიდა კიდეც და 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშა, მიიჩნევს რომ ლიოვის გუნდი ფაქტობრივად ვალდებულია, მუნდიალის მოგებაზე იფიქროს: *„მსოფლიოს ჩემპიონატი ისეთი ტურნირია, რომელზეც იღბალს და თითოეულ წვრილმანს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს მეტოქეებს უფრო ეშინიათ ჩვენი, ვიდრე ჩვენ უნდა გვეშინოდეს რომელიმე მათგანის,“ - დასძინა „რუხმა მგელმა“.*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

N 1 საავტომობილო ჟურნალი მსოფლიოში

ინტერვიუ. ფრანჩესკო ტოტი

# ყველა ტიტულზე ძვირფასი ხალხის სიყვარულია

## იმპერატორის მძიმე გადაწყვეტილება და მუნდიალის ბოლო იმედი

**რანდენიმე დღის წინ, „რომას“ ახალი ფორმის პრეზენტაციაზე ფრანჩესკო ტოტიმ მოულოდნელად გვაუწყა, რომ მომდევნო სეზონი ბოლო იქნება მის საფეხბურთო კარიერაში. მოულოდნელი არა იმიტომ, რომ ტოტის ასაკი არ უწყობს ხელს (36), უბრალოდ „რომა“ და კალჩო „პუპონეს“ გარეშე რთულად წარმოსადგენია. ამიტომ ტოტის განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მასზე ბევრი საინტერესო სტატია დაიბეჭდა. ქვემოთ ინტერვიუს გთავაზობთ, სადაც ფრანჩესკო საინტერესო თემებზე საუბრობს.**

**- ვრცელდებოდა ცნობები, რომ „რომასთან“ ხელშეკრულების 2016 წლამდე გახანგრძლივებას აპირებდით და უცებ, კარიერის დასრულება გადაწყვიტეთ...**

- კონტრაქტის გაგრძელებაზე გავრცელებული ხმები ჭორი იყო და მეტი არაფერი. კარიერას მომდევნო ზაფხულს დავასრულებ, ერთი წელი კი დიდი დროა და ჯერ სულაც არ ვთვლი თავს ექსფეხბურთელად. ამ ეტაპზე, მხოლოდ მომდევნო სეზონზე ვარ კონცენტრირებული და იმ მიზნებზე, რომლებიც დასახული გვაქვს. რაც შეეხება კარიერის დასასრულს, ამაზე ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ ფინიშისთვის საუკეთესო დრო მომდევნო ზაფხული იქნება. ეს მძიმე გადაწყვეტილებაა, რომელიც კარგად მაქვს გააზრებული.

**- თუმცა, ამბობენ, რომ „რომას“ მესვეურები კვლავაც ცდილობენ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე თქვენს დათანხმებას.**

- ჯერჯერობით, ასეთი მცდელობა არ შემინიშნავს და რა იქნება მომავალში, რთული სათქმელია. არ გამოვრიცხავ, რომ შემოთავაზება მივიღო, თუმცა მომდევნო ზაფხულს კარიერის დასრულება მყარად მაქვს გადაწყვეტილი.

**- მსოფლიოს ჩემპიონატს ხომ არ უმიზნებთ?**

- სანაკრებო კარიერა 2006 წელს დავასრულე და ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. მაშინ ასე რომ არ მოვქცეულიყავი, დღეს უკვე დასრულებული მექნებოდა კარიერა. ორ ფრონტზე ბრძოლა დიდ ძალისხმევას მოითხოვს და მეც არჩევანის წინაშე ვიდექი. თუმცა, რადგან მომდევნო ზაფხულს კარიერას ვასრულებ, ერთ კონკრეტულ ტურნირში თამაშზე ალბათ არ ვიტყვი უარს. თუმცა, ნაკრებისგან ჯერ შორს ვარ, რადგან ჩეზარე პრანდელის არასდროს უთქვამს, ტოტი „აძურაში“ უნდა დავაბრუნოო.

**- აქამდე არც თქვენ გითქვამთ, რომ ნაკრებში დაბრუნების სურვილი გაქვთ.**

- მართალია და ვნახოთ, რა გამოხმაურება მოჰყვება ამ ამბავს. მწვრთნელის ყველანაირ გადაწყვეტილებას გაგებით მოვეკიდები, რაც პრანდელიმ ყველაზე უკეთ იცის. წინ საინტერესო სეზონი გველის და ერთი სული მაქვს, როდის ჩავერთვები ბატალიებში.

**- გამოდის, რომ ჩემპიონთა ლიგაზე ვერასდროს ითამაშებთ.**

- ადრე თუ გვიან, დადგებოდა ის დღე, როდესაც ჩემპიონთა ლიგაზე ველარ ვითამაშებდი. მას შემდეგ, რაც მუნდიალი მოვიგე, ჩემი უმთავრესი ოცნება სწორედ ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის მოგება იყო, მაგრამ რას ვიზამთ, ყველა სურვილის ასრულება შეუძლებელია. ყველა ღონეს ვიხმარ, რომ კარიერა გამარჯვებულმა დავასრულო.

**- მაინც რა მიზნებს ისახავთ „რომასთან“ ერთად?**

- გასული სეზონი ყველაზე მძიმე იყო ჩემს საფეხბურთო კარიერაში და სიმართლე გითხრათ, რევანშისტულად ვარ განწყობილი. სეზონის იტალიის თასის ფინალში მარცხით დასრულება და თანაც „ლაციოსთან“, მეტისმეტი იყო. გულშემატკივართა წინაშე ვალში ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს სირცხვილი ჩამოვირეცხო.

**- შეუძლია „რომას“ სკუდეტოს მოგება?**

- სერია A-ში გამარჯვება წარმოუდგენლად რთულია, ალბათ უფრო რთულიც, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მოგება, თუმცა მე ყოველთვის იმედიანად ველოდები ახალ სეზონს. „რომას“ შესწევს იმის უნარი, რომ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს, მათ შორის სკუდეტოსთვის. მთავარია, ახალმა მწვრთნელმა გუნდს სწორი მიმართულება მისცეს და ცოტა გაგვიმართლოს. გამართლებაში ტრავმებსაც ვგულისხმობ, რომელმაც გასულ სეზონში გვარიანად დაგვაზარალა.

**- რას ელით რუდი გარსიასგან?**

- არ ვიცნობ მას და შესაბამისად, რთულია რაიმე კონკრეტულს ელოდებოდე. ჩემი სურვილია, რომ მან პატივი სცეს „რომას“ ტრადიციებს, მას მოერგოს და არა პირიქით, ყველაფერი თავის თავზე მოირგოს. ვფიქრობ, „რომაში“ სწორედ იმ მწვრთნელებს ჰქონდათ წარმატება, რომლებიც ჩვენი კლუბის ტრადიციებს ითვალისწინებდნენ. რუდი გარსია ნიჭიერი მწვრთნელია, მისი „ლილი“ შემტევ, ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობდა, რაც ჩემს გემოვნებაში ჯდება.

**- რამდენად კმაყოფილი ხართ კლუბის სატრანსფერო პოლიტიკით?**

- სატრანსფერო ფანჯრის დიდი ნაწილი წინაა და ჯერ გაგვიჭირდება კლუბის მესვეურთა მუშაობის შეფასება. ჯერჯერობით, ჩვენი კონკურენტები უფრო ძლიერდებიან, თუმცა იმედი მაქვს, ვითარება შეიცვლება. რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელის გადაბირება ნამდვილად არ გვაწყენდა.

**- წარსულში დავბრუნდეთ. შეგიძლიათ მითხრათ, რომელი იყო თქვენთვის საუკეთესო სეზონი?**

- სკუდეტოს მოპოვება განუმეორებელი შეგრძნებაა, რომელსაც კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით გამოვცდიდი. სეზონი, როდესაც ჩემპიონები გავხდით, მართლაც დაუვიწყარი იყო. მაშინ, „რომაში“ უამრავი ვარსკვლავი თამაშობდა, მწვრთნელი კი თვით ფაბიო კაპელო გახლდათ. რა დამავიწყებს გაბრიელ ბატისტუტას მხარდამხარ თამაშს, ამ მართლაც ლეგენდარულ ფორვარდთან. რა თქმა უნდა, განუმეორებელი იყო 2006 წლის ზაფხული, როდესაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დავეუფლე.

**- რა გრძნობა დაგეუფლათ, როდესაც ფაბიო გროსომ გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანი გაიტანა?**

- ის წამები ნამდვილად არ მახსოვს, რადგან გონება დაბინდული მქონდა. სამაგიეროდ, კარგად მახსოვს ის განცდები, რომლებიც იმ პერიოდში გასდევდა ჩემს ცხოვრებას. მეგონა, რომ სამყაროს მწვერვალზე ვიდექი და ყველაფერი ჩემთვის იყო შექმნილი. დღემდე ჟრუანტელი მივლის, როდესაც მუნდიალს ვიხსენებ. ალათ ანალოგიური გრძნობა დამეუფლებოდა ჩემპიონთა ლიგა რომ მომეგო; „რომას“ მთელი საფეხბურთო კარიერა შევწირე და ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე გამარჯვება მართლაც დიდი ბედნიერება იქნებოდა.



**- გუნარ ნორდალის რეკორდს ალბათ ველარ დაამხობთ, გული არ გწყდებათ?**

- დასამხობი რეკორდები არ გამოილევა და ნორდალის მიღწევაც რომ გავაუმჯობესო, ახალი სიმაღლე გამოჩნდება. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ სერია A-ს ყველა დროის ბომბარდირთა შორის ვიქნებოდი და ამ მიღწევითაც უზომოდ კმაყოფილი ვარ.

**- ერთხელ კიდევ დაფიქრდით, მართლა არასდროს გინანიათ მთელი კარიერის „რომაში“ გატარება?**

- მართლა არასდროს მინანია, რადგან ყველა ტიტულზე უფრო ძვირფასი ხალხის სიყვარულია. მე საკუთარ ქალაქში მაფასებენ, ამაზე უფრო დიდი გამარჯვება კი არ არსებობს. კარიერას რომ ვიწყებდე, ისევ იმავე გზას ავირჩევდი. ჩემი გული „რომას“ ეკუთვნის და მეც ნამდვილი რომაელი ვარ.

**- ფეხბურთელი, რომლის გვერდითაც ყველაზე კომფორტული იყო თამაში?**

- ერთის გამორჩევა შეუძლებელია, რადგან ბევრ ბრწყინვალე ფეხბურთელთან ერთად მომიწია თამაშმა. ვინჩენცო მონტელა დაბადებული მეგოლე გახლდათ და მისთვის პასების კეთება ერთ რამედ ღირდა. უკვე ვახსენე გაბრიელ ბატისტუტა, რომელსაც ყველაფრის კეთება შეეძლო მოედანზე. საოცრად ნიჭიერია ანტონიო კასანო, რომელიც პატარა შედევრებს დგამდა. კასანოს გვერდით თამაში ძალიან სასიამოვნო იყო და ვფიქრობ, მას ბევრად მეტის მიღწევა შეეძლო.

**- მონტელა ახსენეთ, რომელიც დღეს მწვრთნელია და თავის საქმეს შესანიშნავად აკეთებს.**

- გასაგებია საითაც მიგყავთ ლაპარაკი... ფეხბურთის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია და ნამდვილად ვერ გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ მწვრთნელის ამპლუაში მიხილოთ. თუმცა მონტელა მინდვრიდან პირდაპირ სამწვრთნელო სკამზე მოხვდა, მე კი დასვენებას ვაპირებ. მინდა მეტი დრო ოჯახს დავუთმო და დასვენებას სწორედ ამისთვის გამოვიყენებ. თუმცა, იქამდე ერთი წელი, უამრავი თამაში და ზღვა ემოციებია.

ლაშა ნიკლაური






ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ინტერვიუ იაკობ ქაჯაიასთან

# ჯოკერი, სახელად იაკობი!





**დოსიე**

**იაკობ ქაჯაია**

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

**დაიბადა:** 1993 წლის 28 სექტემბერს წყალტუბოში

საქართველოს ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებში (2012; 2013) და ჭაბუკებში (2010); ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი (2010); ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი (2012), ევროპის ჩემპიონი (2013); კარტოზია-ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორი (2011), ფრეიდენფელდის ტურნირის ჩემპიონი (2013).

მეტოქეთა შემმუსვრელი ფალავანი.

საბედნიეროდ, ქართველებს ნიჭიერი ფალავნები არასოდეს გვაკლდა და ახლაც განსაკუთრებულ ფუფუნებაში ვართ – ორივე სტილის ახალგაზრდულ ნაკრებში მძიმე წონაში ისეთი ბიჭები გვყავს, წინ ვერავინ დაუდგება. „თავისუფალში" გორელი **გენო პეტრიაშვილი,** ბერძნულ-რომაულში კი **იაკობ ქაჯაია** რამდენიმე თავით მაღლა დგანან მეტოქეებზე. მათ ეს არაერთხელ დაამტკიცეს საერთაშორისო ტურნირებზე, სულ ახლახან კი მაკედონიის მთავარ ქალაქ სკოპიეში ტრიუმფით მოიგეს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. მაკედონიაში ორივე უმოწყალოდ გაუსწორდა მეტოქეებს და ტანკივით გადაურბინეს მათ. აბა, სხვა რა შეიძლება უწოდო ისეთ მოგებას, როცა ყველა შეხვედრას 7:0 ან 8:0 მოიგებ, თანაც – თითოეულ მათგანს ერთ წუთსაც არ მოანდომებ და ასე გააბითურებ მოწინააღმდეგეებს? შეიძლება ითქვას, ორივე ნაკრებში თითო ჯოკერი გვყავს. ბედნიერი დამთხვევაა, რომ ორივე ერთ წონაში, თანაც – ყველაზე პრესტიჟულში გამოდის.

ამჯერად **იაკობ ქაჯაიას** წარმოგიდგენთ, რომელიც საჭიდაო სამყაროში ოჯახური დინასტიით, ბიძაშვილებთან – ირაკლისა და მიხეილთან ერთად შემოვიდა. სამივე ერთ წონაში – 96-ში გამოდიოდა. იაკობმა იქაც გვარიან წარმატებებს მიაღწია, თუმცა წლეულს წონა შეიცვალა და ისე „იფეთქა", ვერ აკავებენ. ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **ზაზა სილაგაძემ** ევროპის პირველობის მერე გვითხრა, მეტოქეებს ეშინოდათ მასთან საჭიდაოდ გასვლაო. წყალტუბოელი ფალავანი მართლაც მყისვე იქცა წონის უპირობო ლიდერად და ეჭვიც არაა, მას წინ კიდევ არაერთი წარმატება ელოდება. მან თანატოლთა ევროპის ჩემპიონატიც ძალიან იოლად მოიგო – ქულებით სუფთად თუ ბეჭებზე დაწვენით, მაყურებელი კი მშვენიერი ეპიზოდებით, დგომსა თუ ჩოქბჯენში გაკეთებული ულამაზესი გდებებით ახალისა. საინტერესოა, რომ ფინალამდე სამი შეხვედრის მოგებას 3 წუთიც არ მოანდომა ანუ მხოლოდ პირველი პერიოდისთვის განკუთვნილი დრო ეყო, მთლიანად ტურნირს კი ერთი შეხვედრისთვის საჭირო დროც არ მოანდომა.

**- ჭიდაობა როდის დაიწყეთ და ვისთან?**

- ჭიდაობა თავიდან ჩემმა ბიძაშვილებმა დაიწყეს – ირაკლიმ და მიხეილმა. ჩვენ თითქმის თანატოლები ვართ, თუმცა ისინი რამდენიმე თვით ადრე მივიდნენ ჭიდაობაზე. მაშინ რუსეთში ვცხოვრობდი, ოღონდ იქ არ ვვარჯიშობდი, მხოლოდ ვსწავლობდი, მაგრამ როცა საქართველოში დავბრუნდი, მეც დავიწყე ჭიდაობაში ვარჯიში დემურ კირტავასთან, წყალტუბოში, რადგან მომწონდა სპორტის ეს სახეობა. მაშინ პატარა ვიყავი, დაახლოებით 2 წელიწადი უფრო გართობად განვიხილავდი ამას – ხშირად ვიგებდი ტურნირებს, ხშირადაც ვაგებდი, 14 წლიდან კი სერიოზულად მივუდექი საქმეს – ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონი გავხდი, მერე ევროპის პირველობაზე წამიყვანეს და მეორეზე გავედი. ამის შემდეგ თბილისში გადმოვედი სავარჯიშოდ ზაზა სილაგაძესთან, თუმცა კირტავაც დღემდე რჩება ჩემს მწვრთნელად. მაშინ 96 კილოგრამში გამოვდიოდი და ბევრს ვიკლებდი წონას. ამიტომ მწვრთნელებმა მძიმეში გადასვლა მირჩიეს, რაც გავაკეთე კიდეც და სულ სხვა მოჭიდავე გავხდი. ახლა წონას არც ვიკლებ, მაგრამ არც ძალიან გამირბის – მაქსიმუმ, 117 კილოგრამზე ავიდე.

**- შეიძლება ითქვას, მოერგეთ ამ წონას...**

- მძიმე წონაში სულ სხვა მზადებაა, მწვრთნელები ფიზიკურად უფრო მტვირთავენ და სხვანაირად მავარჯიშებენ. საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ყველა ტურნირი მოვიგე და დავამტკიცე, რომ ევროპის პირველობაზე წასვლაც მეკუთვნოდა და სხვა შეჯიბრებებზეც, საკამათო არაფერი ყოფილა...

**- ადრე ბიძაშვილები ერთ წონაში ჭიდაობდით. ძნელი არ იყო ნათესავებთან კონკურენცია?**

- ცხადია, იოლიც არ იყო, მაგრამ ერთმანეთსაც ვეხმარებოდით, ვზრდიდით, როგორც მოჭიდავეს. თუმცა ლეიბზე რომ შევდიოდით, ჩვეულებრივად ვიბრძოდით, ლეიბის გარეთ კი ყველა მეგობრები ვართ.

**- შედეგები 96 კილოგრამშიც გქონდათ – ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი იყავით, თუმცა ახალ წონაში ასეთ მყისიერ პროგრესს, ასეთ ალმასვლას ელოდით?**

- 96-ში შედეგები კი მქონდა, მაგრამ ბევრს ვიკლებდი – დაახლოებით 10 კილოგრამს. სანამ აქამდე მივიდოდა საქმე და ამდენი კლება დამჭირდებოდა, მანამ 96-შიც მაგარი ვიყავი. ახალ წონაში გადასვლას ყველა მირჩევდა, იქ სულ სხვანაირად იჭიდავებო და მოლოდინიც გამართლდა. ფიზიკურად ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, თუმცა მეტი ვარჯიშია საჭირო. ეს მუდმივი პროცესია, რომელიც არ უნდა გააჩერო.

**- რაც თქვენი ნაჭიდავები ტურნირები ვნახე, მართლაც ჩინებულ ფორმაში ხართ. თუმცა ხომ არ არის მაინც რამე პრობლემა თქვენს მომზადებაში, თუ ხედავთ ამგვარს?**

- ბუნებრივია, მომზადებაში რაღაც შესწორებები მუდმივადაა აუცილებელი – არ არსებობს სპორტსმენი, რომელსაც ეს არ სჭირდება, მაგრამ ხელის შემშლელი და სერიოზული პრობლემა, რამაც შეიძლება, კარიერაში შემაფერხოს, სადღეისოდ ასეთი არაფერია. ახალ წონას მორგებული ვარ და იმედია, გავაგრძელებ ლიდერობას. ჯერჯერობით ტურნირი არ წამიგია და ვნახოთ...

**- ასე იოლად მოგებულ ევროპის ჩემპიონატზე რას იტყვით?**

- ამ ტურნირისთვის მწვრთნელები მთელი მონდომებით მამზადებდნენ. ყველა ბოლომდე იყო ჩართული ამაში - სილაგაძეც, კირტავაც, ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ადეიშვილიც, მუხრან მაჭუტაძე და სხვები... ყველა მამხნევებდა, ჩემპიონი უნდა გახდეო. სკოპიეში ძლიერი მეტოქეები კი იყვნენ, მაგრამ თითქმის ყველასთვის მონაგები მქონდა და არც გამჭირვებია გამარჯვება.



ეს-ესაა, იაკობ ქაჯაია ევროპის ჩემპიონი გახდა

**- შედარებით თითქოს ბელარუსის სახელით მოჭიდავე გიორგი ჩუგოშვილთან გაგიჭირდათ – წუთ-ნახევარი დაგჭირდათ მოსაგებად. ქართველობის გამო დაინდეთ თუ სხვა მიზეზი იყო?**

- მან იცოდა ჩემი სტილი – წლეულს რიგაში მოვუგე უფრო ხანმოკლე დროში, ერთ წუთში სუფთად დავამარცხე, ბეჭებზე დავდე. ამიტომ ახლა ჩაკეტილ სტილში მეჭიდავებოდა, მაგრამ მაინც ვერ გამიწია ვერანაირი წინააღმდეგობა. სამართლიანად გავაფრთხილებინე. თან, ახალი წესებიც საჩემოა, რადგან ვცდილობ, დიდხანს ვიჭიდაო დგომში, რაშიც ეს ახალი ცვლილებები კიდევ უფრო მეხმარება. ევროპაზეც დიდხანს არავისთან მიჭიდავია, ყველას მალევე ვუგებდი...

**- ჩუგოშვილთან ჭიდაობა ჩოქბჯენიდან ზედიზედ გაკეთებული ხუთი დატრიალებითაც იყო გამორჩეული, ლამის მთელი ლეიბი რომ შემოატარეთ...**

- კი, მართლაც ხუთჯერ დავატრიალე. კიდევ გავიმეორებ, რომ არ გამჭირვებია მოგება.

**- უცხოელი სპეციალისტები ან მეტოქეები თუ გაგესაუბრნენ ტურნირის შემდეგ? საინტერესოა, რას ამბობდნენ?**

- ბევრი მწვრთნელი მოვიდა, მომილოცა, გამესაუბრნენ და შემაქეს. აი, მეტოქეები კი, არა მგონია, კარგს ამბობდნენ ჩემზე (იცინის). მათ ახლა არ მოულოცავთ, მაგრამ ისე ხდება ხოლმე, როცა შენს მიერ დამარცხებულიც მოვა და გილოცავს. მაგალითად, თურქეთის ტურნირში ადგილობრივს მოვუგე, რომელიც მერე მოვიდა და მითხრა, კი მომიგე, მაგრამ ვაჟკაცურად იბრძოლე და გილოცავო.

**- მსოფლიოს პირველობისთვის ვინ გეგულებათ უხერხულ მეტოქედ?**

- ჯერჯერობით რასაც ვუყურებ, ასეთი არავინ მეგულება, თუმცა ვნახოთ, ირანელები ვის გამოიყვანენ. წაუგებელი ფალავანი არ არსებობს, მაგრამ ვინც იბრძოლებს, მოიგებს კიდეც. უამისოდ წარმატება არ მოვა.

**- დგომიდან თავისუფლად აკეთებთ ილეთებს, ფიზიკურად ძლიერი ხართ, ჩოქბჯენიდანაც უპრობლემოდ ატრიალებთ ორივე მხარეს... რას მიიჩნევთ თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებად?**

- მეტი ილეთებია საჭირო, არსენალი უნდა გავამრავალფეროვნო. დგომიდან გდებების გაკეთება ბავშვობიდანვე მეხერხებოდა, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად ვარჯიშებიც იზრდებოდა და ცოტა ელასტიურობა დამიქვეითდა. ახლა ამასაც ალვიდგენ. ამ წონაში ყოველმხრივ შესანიშნავად ვგრძნობ თავს.

**- მსოფლიოს პირველობაზე გამოსვლა სად გირჩევნიათ – ახალგაზრდებში თუ უფროსებში, რადგან ორივეს თავის პლუს-მინუსები აქვს?**

- ღმერთის წყალობით, ახალგაზრდებს მივხედავ, დანარჩენს კი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს. მე ჩემსას გავაკეთებ, მაგრამ გადაწყვეტილებას ის იღებს, ეს არაა ჩემი გადასაწყვეტი. მე ბოლომდე და სრულად დავიხარჯები ყველგან, სადაც დამაყენებენ.

**ირაკლი თავაძე**

სუმო. ნაგოიას ბაშო. 7-21 ივლისი

# მეტი ნაგების უფლება აღარ აქვს

ნაგოიას ბაშო ტრავმირებული **ლევან გორგაძის (ტოჩინოშინი)** გარეშე გრძელდება. ლევანის მწვრთნელმა აღიარა, რომ მუხლის ტრავმის გამო ჩვენებური 2-3 ბაშოს გამოტოვებს და შესაძლოა, მე-3 დივიზიონამდეც დაქვეითდეს.

ლევან გორგაძე აქამდე შესაშური ჯანმრთელობით გამოირჩეოდა - 44 ბაშოს განმავლობაში ერთ ორთაბრძოლაზეც არ უთქვამს უარი!

**თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** ერთადერთი ქართველია, რომელიც ნაგოიას დოჰიოზე დარჩა. შაბათს მან პირველი გამარჯვება იზეიმა - **ფუჯიაზუმას** აჯობა. სტარტზე ზედიზედ 6 მარცხის შემდეგ გაგამარუმ მძლავრი ოშიდაშით მოიგო ორთაბრძოლა.

ქართველის მომდევნო მეტოქე **ტაკარაფუჯი** იყო. სამწუხაროდ, ჩვენებური დამარცხდა და ახლა ბაშოზე მეტი ნაგების უფლება აღარ დარჩა. გაგამარუს 1-7 ბალანსი აქვს, მომდევნო მეტოქე **იკიოია.**

ნაგოიას ბაშოს დაუმარცხებელი დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** ლიდერობს (8-0). მონღოლს კვალში ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ** და ბრაზილიელი რიგითი მაეგაშირა **კაისეი** უდგანან (7-1).



**VII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ჩიოტაირიუ (უვატედაშინაგე), ჰარუმაფუჯი-კიოკუტენჰო (ოკურიდაში), კაკურიუ-ტაკეკაძე (კატასუკაში), კოტოოშუ-ამინიშიკი (უვატედაშინაგე), გოეიდო-კისენოსატო (იორიკირი), მიოგირიუ-კოტოშოგიკუ (ცუკიოტოში), **გაგამარუ**-ფუჯიაზუმა (ოშიდაში).

**VIII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჩიოტაირიუ-ჰარუმაფუჯი (ოშიტაოში), ჰაკუჰო-ამინიშიკი (კოტენაგე), კოტოოშუ-ტოკიტენკუ (უვატენაგე), კისენოსატო-კიოკუტენჰო (იორიკირი), კოტოშოგიკუ-გოეიდო (უვატენაგე), კაკურიუ-შოჰოზანი (ოკურიტაოში), ტაკარაფუჯი-**გაგამარუ** (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

8-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა).

7-1: კოტოოშუ (ოძეკი), კაისეი (მაეგაშირა 12)... 3-5: ტოჩინოშინი (მ 12)... 1-7: გაგამარუ (მ 2).

**IX დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-გოეიდო, ჰარუმაფუჯი-მიოგირიუ, კისენოსატო-ამინიშიკი, კაკურიუ-კოტოშოგიკუ, კოტოოშუ-ჩიოტაირიუ, შოჰოზანი-ტაკეკაძე, **გაგამარუ**-იკიოი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თარიღები და მოვლენები

**15-18 ივლისი**

**15.07. 2010. ფეხბურთი.** ევროპის ლიგის II საკვალიფიკაციო წრეში „ვიტ ჯორჯია" შინ 0:6 დამარცხდა „ბანიკთან", „ზესტაფონმა" „დუკლას" 3:0 მოუგო, „დინამომ" კი სტუმრად „გეფლეს" სძლია - 2:1.

**15.07. 2012. ფეხბურთი.** ევროპის ახალგაზრდული პირველობის საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე**) შინ 1:1 ითამაშა ხორვატიასთან.

**15.07. 2012. ფეხბურთი.** ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი **თემურ ქეცბაია**) სტუმრად 2:1 დაამარცხა ლუქსემბურგი.

**15-16.07. 2010. თავისუფალი ჭიდაობა:** ბაქოს ოქროს გრან-პრიზე ქართველებმა ბრინჯაოს 5 მედალი მოიპოვეს.

**16.07. 1937.** დაიბადა **ნუგზარ ასათიანი** - ფარიკაობა

**16.07. 1958.** დაიბადა **გიორგი მაკასარაშვილი** - თ\ჭიდაობა

**16.07. 1976.** დაიბადა **ვასილ კაცაძე** - რაგბი

**16.07. 2010. ჩოგბურთი.** კარიერაში პირველად ითამაშა ვტა-ს ტურნირის მეოთხედფინალში **ანა ტატიშვილმა.**

**17.07. 1918.** დაიბადა **გივი ახვლედიანი** - ფრენბურთი. გარდაიცვალა 2003 წელს

**17.07. 1940.** დაიბადა **ლევან სალუქვაძე** - თანამედროვე ხუთჭიდი

**17.07. 2010. კალათბურთი:** საქართველოს ნაკრებმა უნგრეთთან ამხანაგურ მატჩში 82:90 წააგო.

**17-18.07. 2010. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** ბაქოს ოქროს გრან-პრიზე ქართველებმა თითო ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვეს.

**17.07. 2012. ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონი" სტუმრად 0:3 დამარცხდა აზერბაიჯანულ „ნეფთჩისთან".

**17.07. 2012. მძლეოსნობა.** ბარსელონაში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში **ლაშა ღულელაურმა** სამხტომში VI ადგილი დაიკავა.

**18.07. 1937.** დაიბადა **გურამ კოსტავა** - ფარიკაობა

**18.07. 1963.** დაიბადა **ოლეგ სტრიჟაკოვი** - მძლეოსნობა

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

**ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება. დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.**

● წყალბურთი

**ბოლო დროს საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები სპეციალისტებსა და ქომაგებს აოცებს: თავად განსაჯეთ - ზედიზედ ოთხ მნიშვნელოვან ტურნირში 13 შეხვედრა მოიგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს. თანაც ოთხივე ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს.**

# ზედიზედ მეოთხედ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

აპრილში ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ რაუნდში შინ ბრიტანელებს, ჩეხებს და პოლონელებს მოუგეს, ხოლო სლოვაკებს დაუზავდნენ. თურქეთის საერთაშორისო ტურნირში ევროპის 12 საუკეთესოში შემავალ მასპინძლებსა და რუმინელებს დაამარცხეს... აყრევინეს ფარ-ხმალი, რომლებსაც სლოვაკეთიც ზედ მიაყოლეს. ივლისის დასაწყისში უკრაინის, ბელარუსისა და საქართველოს სტუდენტთა ნაკრების დამარცხებით თბილისის თასი შეინარჩუნეს. და აი, მორიგი წარმატება მალტაზე, სადაც გუშინ წყალბურთელ ვაჟთა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მე-2 რაუნდი დასრულდა.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობის დასკვნით ეტაპზე მოსახვედრად 23 ნაკრები იბრძვის. მათგან ჩვიდმეტი გუნდი შესარჩევ ტურნირში მონაწილეობს პლეიოფში გასასვლელი 6 საგზურისთვის. ქართველმა წყალბურთელებმა პირველ რაუნდს „ოლიმპიკზე“ უმასპინძლეს - სამი შეხვედრა მოიგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს. მეორე რაუნდში 10-ქულიანი მარაგით ჩაებნენ. მალტაზე პირველ მეტოქედ ისრაელის გუნდი ჰყავდათ.

| საქართველო - ისრაელი | 13:8 |
|---|---|

6:2, 1:1, 3:2, 3:3

**საქართველო:** ზურაბ ჭუმბურიძე, მარკო ელაჩა (2), დამირ ცრეპულია (3), მარკო ელეზი (3), გალაქტიონ ლაითაძე, ბექა ქავთარაძე, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა (1), კონსტანტინე გეგელაშვილი (1), ტატო ნიკოლეიშვილი (1), მარინო ფრანიჩევიჩი (2), ბექა კაპანაძე. მწვრთნელები - ვლადიმერ ისელიძე, იოვან პოპოვიჩი.

**ისრაელი:** კატზირი, პოლაჩეკი, ი. კარენი, სტრუგო, გოლდშმიდტი, ო. კარენი (2), შოჰამი, ეროსი, იუვალი, მურვიც ლაჰავი (3), ზონანსტერნი (1), პელედი, გოჰენი.

მეორე შესარჩევი ეტაპისთვის აქტიური მზადება საქართველოს ნაკრებმა ერთი თვის წინათ დაიწყო. სერბეთში საწვრთნელი შეკრების შემდეგ თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა - მასპინძლებს, რუმინელებსა და სლოვაკებს სძლია. მერე თბილისის თასის მე-4 გათამაშებაში უკრაინა, ბელარუსი და საქართველოს მეორე ნაკრები დაამარცხა. მალტაში ჩასვლამდე ჩვენმა გუნდმა 10-დღიანი საწვრთნელი შეკრება ჩერნოგორიაში გაიარა და მასპინძლებთან ტესტმატჩებიც ჩაატარა. იმ შეკრებისას შეუერთდნენ ნაკრებს ნატურალიზებული წყალბურთელები - ელაჩა, ელეზი, ცრეპულია და ფრანიჩევიჩი, რომლებიც საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენენ. ისრაელთან მატჩშიც 13 გატანილი გოლიდან 10 მათს ანგარიშზე მოდის.

მეორე ეტაპის სასტარტო შეხვედრა ქართველთა იერიშებით დაიწყო და სანამ მეტოქე გონს მოეგებოდა, ჩვენმა ბიჭებმა პირველ რვაწუთიან მონაკვეთში 6 ბურთი გაიტანეს ორის წილ. სწორედ ამ პერიოდმა ითამაშა გადამწყვეტი როლი პაექრობის მოსაგებად. დანარჩენი 24 წუთი დაძაბულ ბრძოლაში გაილია, რაც პერიოდების ანგარიშებიდანაც ჩანს. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა 13:8 გაიმარჯვა და გათამაშების ცხრილში მორიგი სამი ქულა ჩაიწერა. იმავე დღეს ჯგუფის ფავორიტად შერაცხილმა მასპინძლებმა ბელარუსებთან წააგეს - 10:11 (2:2, 4:2, 1:5, 3:2).

მეორე ტურში საქართველოს ნაკრები ისვენებდა. იმ დღის ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: უკრაინა - ბელარუსი 13:5 (3:2, 3:2, 2:1, 5:0), ისრაელი - მალტა 4:11 (1:2, 1:4, 1:2, 1:3).

შაბათს ერთბაშად ორი ტურის შეხვედრები გაიმართა. დილით ჩვენი ბიჭები უკრაინელებს დაუპირისპირდნენ.

| საქართველო - უკრაინა | 15:8 |
|---|---|

5:3, 3:0, 4:2, 3:3

**საქართველო:** ჭუმბურიძე, ელაჩა (5), ცრეპულია (2), ელეზი (2), ლაითაძე, ქავთარაძე (1), ხვედელიანი (1), ბალათურია, რურუა (1), გეგელაშვილი (1), ნიკოლეიშვილი (2), ფრანიჩევიჩი, კაპანაძე, მწვრთნელები - ისელიძე, პოპოვიჩი.

**უკრაინა:** პეტროვი, ცვირკუნი, შილინი (1), რატკოვი (1), დიადიურა, ჰრიშინი (1), აბრამოვი, ალექსეევი, სიტნიკი (2), ვოიტენკო (2), აბედინსკი (1), ბაბაიენკო, ვოლონჩუკი.



საქართველოს ნაკრებში საუკეთესო იყო დამირ ცრეპულია (N3, ბურთით)

ივნისის მიწურულს თბილისის თასზე საქართველოს ნაკრებთან წაგების (9:11) შემდეგ სტუმართა გუნდის მეორე მწვრთნელმა ოლეგ ცუფრიკმა მითხრა, შესარჩევი ეტაპის მე-2 რაუნდისთვის 4 მოთამაშეს დავიმატებთ, გავძლიერდებით და მალტაზე თქვენს გუნდთან შეხვედრისას რევანშზე ვფიქრებთო. უკრაინელებმა, ეტყობა, ფიქრით კი იფიქრეს, მაგრამ ოცნება რეალობად ვერ აქციეს. თან თბილისურ ტურნირზე ჩამოყვანილ ნაკრებში მხოლოდ ფედორიშინი შეცვალეს ჰრიშინით, მაგრამ ამან სლავებს ვერ უშველა, რადგან ოთხი ნატურალიზებული წყალბურთელით გაძლიერებულმა ქართველებმა მეტოქე ამჯერად უფრო დიდი ანგარიშით დაამარცხეს - 15:8, თანაც ისე, რომ სამი პერიოდის განმავლობაში უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ. მხოლოდ მე-4 რვაწუთიან მონაკვეთში, როცა საქმე მომთავრებულად მიიჩნიეს, თავს დამშვიდების უფლება მისცეს. იმავე დღეს ქართველებთან და მასპინძლებთან წაგებით გაბრაზებულმა ისრაელმა ბელარუსს შავი დღე აყარა 16:3 (3:0, 6:0, 1:6);

საღამოს ტური საქართველო-ბელარუსის შეხვედრით დაიწყო.

| საქართველო - ბელარუსი | 24:7 |
|---|---|

6:2, 6:1, 6:2, 6:2

**საქართველო:** ჭუმბურიძე, ელაჩა (2), ცრეპულია (4), ელეზი (3), ლაითაძე (1), ქავთარაძე (1), ხვედელიანი (2), ბალათურია (2), რურუა (2), გეგელაშვილი (4), ნიკოლეიშვილი (2), ფრანიჩევიჩი (1), კაპანაძე, მწვრთნელები - ისელიძე პოპოვიჩი.

**ბელარუსი:** კავალეუსკი, ხრიპაჩოუ, კაპაცევიჩი, ხარლაპი (1), შაპურაუ, მიშუტსკი, ივანოუ, თუმასი (1), ჩუპრინა (2), ჩარბაშანი (3), ფედარუკ შანტური.

ორიოდე კვირის წინათ თბილისის თასზე ქართველმა წყალბურთელებმა ბელარუსებს დიდი ანგარიშით - 18:5 მოუგეს. მალტაზე სხვაობა 17 ბურთამდე აიყვანეს. ჩვენების პირველივე იერიში ცრეპულიას გოლით დასრულდა. ერთ წუთში მანვე ორამდე გაზარდა ანგარიში. შემდეგ გუნდის კაპიტანმა რურუამ და ელეზიმ გამოიჩინეს თავი. ბელარუსებმა მხოლოდ მე-6 წუთზე შეძლეს პირველი საპასუხო გოლის გატანა (ტუმესი). პირველი პერიოდის ბოლომდე გუნდის მონაგარს ნიკოლეიშვილმა და ლაითაძემ კიდევ ორი ბურთი შესძინეს. მომდევნო სამ რვაწუთიან მონაკვეთში ისელიძისა და პოპოვიჩის შეგირდებმა ისევ 6-6 ბურთი გაიტანეს, რასაც ბელარუსებმა თითო-ოროლათი უპასუხეს და ჩვენმა ბიჭებმა მორიგი გათამაშების ცხრილში მორიგი 3 ქულა ჩაიწერეს. იმავე დღეს უკრაინელებმა მასპინძლებს 10:8 (1:3, 1:2, 4:2, 4:1) აჯობეს, არადა, შესვენებამდე მალტელები 5:2-ს იგებდნენ.

მალტური ტურნირის ბოლო აკორდი იყო მასპინძლებისა და საქართველოს ნაკრების დაპირისპირება (მანამდე უკრაინამ ისრაელს აჯობა 9:7).

| საქართველო - მალტა | 16:12 |
|---|---|

3:4, 3:3, 5:1, 5:4

**საქართველო:** ჭუმბურიძე, ელაჩა (4), ცრეპულია (5), ელეზი (2), ლაითაძე (1), ქავთარაძე (1), ხვედელიანი, ბალათურია, რურუა, გეგელაშვილი (2), ნიკოლეიშვილი, ფრანიჩევიჩი, კაპანაძე, მწვრთნელები: ისელიძე, პოპოვიჩი.

**მალტა:** ბორგ კილე, ლანსონი, გაბარეტა (3), სტელინი, მელი (2), ზამიტი (1), შ. კამილერი (2). ჯ. კამილერი (1), ბროუნრიგი, კრავინა, სულივან, დ. ზამიტი (3). დ. კამილერი.

2009 წელს შვეიცარიულ ლუგანოში ჩვენთვის ევროპის პირველ ჩემპიონატში სწორედ კუნძულელებთან დავმარცხდით. იგივე განმეორდა 2 წლის შემდეგ. მალტაზე გამგზავრების წინ საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დავით რურუამ გვითხრა, სარევანშოდ ყველაფერს გავაკეთებთო. ქართველებმა სიტყვა საქმედ აქციეს - ოთხი ბურთის სხვაობით მოუგეს მალტელებს.

**D ჯგუფის გათამაშების ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 4 | 0 | 0 | 68:35 | 12 |
| უკრაინა | 4 | 3 | 0 | 1 | 40:35 | 9 |
| მალტა | 4 | 1 | 0 | 3 | 41:41 | 3 |
| ისრაელი | 4 | 1 | 0 | 3 | 35:36 | 3 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 26:63 | 3 |

ვაჟა დანელია



ჭიდაობა ჩვენი, ქართული


ახალი სარბიელი

# ზეიმი სამთავისში

ქართული ჭიდაობის ფედერაციის (პრეზიდენტი **გელა ბერუაშვილი**) და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" ერთობლივი პროექტით კიდევ ერთი კეთილმოწყობილი ღია საჭიდაო არენა 13 ივლისს სამთავისში (კასპის რაიონი) გაიხსნა. მას ტიტულოვანი ადგილობრივი სამბისტის ვანო გამხიტაშვილის სახელი მიენიჭა და ნახერხმოყრილ არენაზე აქვე გამართული პირველი ტურნირიც მისი სახელობისა იყო. 14 წლის წინ ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად გარდაცვლილი **ვანო გამხიტაშვილი** ქართულ ჭიდაობაში საქართველოს 1994 წლის აბსოლუტური ფალავანი, ხოლო სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ყველა სინჯის მედლის მრავალგზის მფლობელი გახლდათ. 13 ივლისს სოფლის ცენტრში მას ძეგლიც დაუდგეს. შეჯიბრებაში კი საქართველოს სხვადასხვა კუთხის (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, კახეთი) ფალავნები მრავლად მონაწილეობდნენ. მოჭიდავეები პირველობისათვის მხოლოდ ორ წონით კატეგორიაში 80 კგ-სა და აბსოლუტურში იბრძოდნენ. საუკეთესოთათვის ქართული ჭიდაობის ფედერაციას სოლიდური საპრიზო ფონდი ჰქონდა დაწესებული. გამარჯვებულებმა 1000, მეორე და მესამე პრიზიორებმა კი შესაბამისად 600 და 400 ლარს მიიღეს. გამარჯვებისათვის ბრძოლაში საკმაოდ სანახაობრივი პაექრობები ვიხილეთ. იყო ეფექტურად შესრულებული ილეთები, რომლებმაც მაყურებლით სავსე ტრიბუნების (500-ზე მეტი ადამიანი) ოვაცია დაიმსახურა. 80 კგ-ის ფინალში მეტეხელები **შმაგი შარიფაშვილი** და **კახა მამულაშვილი** გავიდნენ. ორივე მათგანს სამბოში ტიტულები არ აკლია და ქართულ ჭიდაობის არაერთი პირველობის გამარჯვებულიცაა. მათ პაექრობაში კახა მამულაშვილმა იმარჯვა. ამავე წონაში მესამე ადგილზე გორელი **გიორგი პაპუნაშვილი** გავიდა. აბსოლუტურ წონაში მესამე ადგილი საჩხერელ **ონისე ბულაძეს** ერგო. შეჯიბრების კულმინაცია კი ცხადია ამავე წონის ფინალური შეხვედრა იყო, რომელშიც რუისელმა **პაატა ლვინიაშვილმა**, თიანეთელ **იოსებ იარაჯულს** მეტად დაძაბულ შეხვედრაში ქულათა მცირე უპირატესობით აჯობა. შეგახსენებთ, რომ პაატა ლვინიაშვილი საქართველოს რამდენიმე გზის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობასა და სამბოში. ფულად ჯილდოსთან ერთად პაატამ ნახერხმოყრილი არენის ტრადიციული მთავარი პრიზი ჭედილაც თავისი სპორტული კარიერის მანძილზე ვინ მოთვლის უკვე მერამდენედ მიიღო! შეჯიბრებაზე მყოფმა რუსეთის ქალაქ ტიხორეცკის მკვიდრმა ქართველმა ძიუდოისტმა გოგონამ **თამრიკო პატარქალიშვილმა** ყველაზე ეფექტური ილეთისთვის პირადად დაწესებული სპეციალური პრიზი 80 კგ-ის ფინალისტ შმაგი შარიფაშვილს გადასცა. ეს პრიზი, როგორც მან აღნიშნა წლეულს რუსეთში უნივერსიადაზე გამარჯვებისათვის ჰქონდა მოპოვებული. აქვე იყო სამბოში მსოფლიოს რამდენიმე გზის ჩემპიონი რუსი **სერგეი ლაპავოკი**, რომელმაც თავისი სპეციალური პრიზი აგრეთვე შარიფაშვილს გადასცა. ლაპავოკი აქტიური სპორტული კარიერისას ვანო გამხიტაშვილის პრინციპული მეტოქე გახლდათ. ტიტულოვან სამთავისელთან მას დამსახურებული გამარჯვებაც ჰქონდა მოპოვებული, თუმცა ბოლო დაპირისპირებაში, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში შედგა, ქართველმა მხოლოდ მსაჯების ტენდენციურობით წააგო. მაგრამ იმ ავტოკატასტროფის შემდეგ, რომელმაც გამხიტაშვილის სიცოცხლე შეიწირა. ლაპავოკი საქართველოში ჩამოვიდა და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი გარდაცვლილ გამხიტაშვილს მკერდზე დაადო.

შეჯიბრებას ტიტულოვანი ქართველი ფალავნები და ჩვენი ქვეყნის სპორტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ ოლიმპიური კომიტეტიდან და სპორტის სამინისტროდან. *„მიხარია, რომ დღეს კიდევ ერთი, ძალიან კარგი სპორტული შეჯიბრება გამოვიდა. ცდას არ ვაკლებთ, რათა ჩვენს ეროვნულ საჭიდაო სახეობაში შეჯიბრებები სულ უფრო ხშირად და საინტერესოდ იმართებოდეს, რომ იმატოს მონაწილეთა რაოდენობამ და არ მოიკლოს მაყურებლის ინტერესმა. ახალი საჭიდაო არენები ამაში მნიშვნელოვნად გვიწყობს ხელს. მისი აშენება ბატონი ბიძინა ივანიშვილის უშუალო თანდგომით ხდება, რისთვისაც ცხადია დიდად მადლობლები ვართ. მინდა აღვნიშნო აგრეთვე კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის* ***ოლეგ იაძის*** *სერიოზული თანადგომა ჩვენდამი. შემთხვევით არაა, რომ ამჟამად აგებული სამი ახალი ღია საჭიდაო არინიდან ორი კასპის რაიონშია. მოვუწოდებ ყველა გამგებელს რომ მიბაძონ ოლეგ იაძეს ჩვენი ეროვნული სახეობის განვითარებისთვის საქმეში"* - გვითხრა ასპარეზობის დასასრულს ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გელა ბერუაშვილმა.

**ვასილ ბალახაძე**
სამთავისიდან
ფოტო: www.qartlisport.ge

## გამოხმაურება
## ყველაფერი სასიკეთოდ უნდა გადაწყდეს
### ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სპორტი ბავშვთა განვითარებისათვის და არა ბავშვები სპორტის განვითარებისათვის

ვეხმაურები „ლელოს" წინა ნომრებში გამოქვეყნებულ სპორტის განვითარების პროგრამას, რომელიც მშვენივრად იყო ჩამოყალიბებული. ჩემი აზრით, ასევე უნდა აღვადგინოთ სპორტში მომეცადინეთა ოსტატობის ნორმატივების კლასიფიკაცია. ხოლო იმისათვის, რომ ეს თანრიგები მივანიჭოთ, უნდა აღდგეს სასპორტო კლუბების მუშაობა ყველა სასწავლო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, რაც აპრობირებულია თითქმის მთელ მსოფლიოში. ეს აუცილებელია, მოდით, ის, რაც კარგი იყო და დავივიწყეთ, ახლა ისევ გავიხსენოთ.

**ბიჭიკო მაჩაბლიშვილი**
ქ. თბილისის №147-ე სკოლის სპორტის მასწავლებელი.
სასპორტო კლუბ „არწივის" თავმჯდომარე
საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

ძალოსნობა

# ფიცარნაგზე - ყველა უძლიერესი

წლეულს სექტემბერში ესტონეთის დედაქალაქი ტალინი 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატთა შერჩევას ემსახურებოდა ახალგაზრდა ძალოსანთა საქართველოს პირველობა, რომელიც ზუგდიდში გაიმართა.

ზუგდიდელებმა შეჯიბრების მონაწილეებს ასპარეზობისა და აქტიური დასვენებისთვის შესანიშნავი პირობები შეუქმნეს. მედლებისთვის ბრძოლაში ყველა უძლიერესი ჩაება, მათ შორის - 20-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი ლაშა ტალახაძე, სხვადასხვა ასაკში ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები - **ვილიამინ ალექსიძე, შოთა მიშველიძე, ზურიკო თავაძე** და სხვები. როგორც ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ** გვითხრა, სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ნიჭიერმა ათლეტებმა - **დავით ხეცურიანმა, გიორგი ჩხეიძემ, გიორგი თოდაძემ** და სხვებმა. ნაკრების წევრებმა კი პოზიციები განიმტკიცეს. რაც შეეხება გუნდურ პირველობას, აქ საჩხერელთა უპირატესობა აშკარა იყო, მეორე-მესამე ადგილები თანაბარი ქულებით ქუთაისმა და ზუგდიდმა გაინაწილეს. რიონისპირელებს მე-2 ადგილი ჩემპიონთა რაოდენობამ მოუტანა.

ახლა კი ჩემპიონთა და პრიზიორთა ვინაობას გაუწყებთ.

**ქვარცხლბეკი**

**50 კგ.** 1. გიორგი თოდაძე (143), 2. გოგა ბერძელიძე (ორივე - საჩხერე, 142), 3. ედუარდ კაკაბაძე (ქუთაისი, 131).

**56 კგ.** 1. შოთა ომარაშვილი (თბილისი, 175), 2. გოდერძი ბერძელიძე (საჩხერე, 174), 3. ირაკლი ჩხეიძე (ზუგდიდი, 165).

**62 კგ.** 1 რამინ შამილიშვილი (აჭარა, 226), 2. გოგა ჩხეიძე (ზუგდიდი, 220), 3. ლერი ბენდელიანი (ქუთაისი, 208).

**69 კგ.** 1. შოთა მიშველიძე (ქუთაისი, 290), 2. თორნიკე თოდაძე (საჩხერე, 271), 3. ირაკლი ჯალალონია (ზუგდიდი, 213).

**77 კგ.** 1. ბაჩანა ქუხილავა (ზუგდიდი, 310), 2. ირაკლი გაბრიჭიძე (საჩხერე, 292), 3. გიორგი კუზანაშვილი (თბილისი, 260).

**85 კგ.** 1. ზურიკო თავაძე (ქუთაისი, 322), 2. თემურ პერტაია (ზუგდიდი, 308), 3. ნუგზარ ლორთქიფანიძე (აჭარა, 285).

**94 კგ.** 1. დავით ხეცურიანი (ქუთაისი, 297), 2. გიორგი ჩხეიძე (ზუგდიდი, 297), 3. მამუკა ჯორბენაძე (აჭარა, 277).

**105 კგ.** 1 ვილიამინ ალექსიძე (აჭარა, 342), 2. უჩა ინაძე (თბილისი, 337), 3. ჯაბა აბაშიძე (აჭარა, 268).

**+105 კგ.** 1. ლაშა ტალახაძე (საჩხერე, 400), 2. რაულ ისმაილოვი (თბილისი, 273), 3. ბაქარ თურმანიძე (აჭარა, 225).

**გუნდური:** 1. საჩხერე (113), 2. ქუთაისი (106), 3. ზუგდიდი (106).

ეროვნული, 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა ნაკრების წევრები ამჟამად საირმეში იმყოფებიან საწვრთნელ შეკრებაზე. ივლისის მიწურულს ტალინში წამსვლელთა ვინაობა საბოლოოდ გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**



ლაშა ტალახაძე

მსოფლიოს უნივერსიადა




### წყალბურთი

ყაზანში წყალბურთელთა ჯგუფური ტურნირის დასრულების შემდეგ რვა საუკეთესო გუნდი მეოთხედფინალებში ჩაება, ოთხმა აუტსაიდერმა კი მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისთვის განაგრძო პაექრობა. საქართველოს ნაკრებმა შაბათს პირველი გამარჯვება იზეიმა - სანუგეშო ჯგუფში ბელგიას სძლია 7:5, იქვე ჩერნოგორიამ კანადას სძლია 9:3.

მეოთხედფინალური პაექრობები ასე დასრულდა: სერბეთი - იაპონია 15:7, უნგრეთი - აშშ 12:7, რუსეთი - ბრაზილია 14:5, იტალია - ავსტრალია 8:5.

დღეს მე-9 ადგილისთვის საქართველო ჩერნოგორიას დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

### ჭადრაკი

ერთდღიანი შესვენების შემდეგ გუშინ მსოფლიოს უნივერსიადაზე მოჭადრაკეებმა ორი ტურის პარტიები გაითამაშეს. გაუწყებთ ჩვენებურთა შედეგებს: მე-7 ტურში **სოფიკო გურამიშვილმა** რუმინეთის ქალთა ნაკრების წევრი ირინა ბულმაგა დაამარცხა. **გიორგი მარგველაშვილი**-ბასემ ამინი (ეგვიპტე) 0.5:0.5, ჯენი ჩირივი (კოლუმბია)-**მერი არაბიძე** 0:1, მანუელა მარედი (გერმანია)-**სალომე სირაძე** 1:0; **გაიოზ ნიგალიძე**-ტომს კანტანსი (ლატვია) 1:0.

**მე-8 ტური.** სოფიკო გურამიშვილი-ჟაო სიუე (ჩინეთი) 0:1, სოუ უესლი (ფილიპინები)-გიორგი მარგველაშვილი 1:0, მერი არაბიძე-ანასტასია სავინა (რუსეთი) 0.5:0.5, გაიოზ ნიგალიძე-იაჩეკ ტომჩაკი (პოლონეთი) 0:1, სალომე სირაძე-ვო თი კიმ ჰუნგი (ვიეტნამი) 0:1.

რვა ტურის შემდეგ ვაჟებში 6-6 ქულით ევგენი ალექსეევი, მაქსიმ მატლაკოვი (ორივე-რუსეთი), ზავენ ანდრიასიანი (სომხეთი), მა ძუნი, ლი ჩაო (ორივე-ჩინეთი) სოუ უესლი (ფილიპინები) მეწინავეობენ. მარგველაშვილს-5, ნიგალიძეს-4.5 ქულა აქვს. ქალებში 7 ქულით ჟაო სიუე ლიდერობს. მას თანამემამულე ცზიუ ვენძიუნი ნახევარი ქულით ჩამორჩება. 6-6 ქულით თან ჟონი (ჩინეთი) და თუვშინთუგს ბათჩიმეგი (მონგოლეთი) მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. 10 მოჭადრაკე, მათ შორის - გურამიშვილსა და არაბიძეს, 5.5-5.5-ქულიანია. სირაძემ 3.5 ქულას მოუყარა თავი.

დღეს ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

### სამბო

მსოფლიოს უნივერსიადა დასასრულს უახლოვდება – დარჩა სულ სამი დღე, ჩვენი სტუდენტები კი კვლავაც უმედლოდ რჩებიან. სხვებს წარუმატებლობაში ფეხი სამბისტებმაც აუწყვეს და კვარცხლბეკს ვერც იმათ მიაღწიეს. მათი საუკეთესო შედეგიც მეხუთე ადგილია, როგორც ძიუდოისტებისა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებისა. მათგან ბრინჯაოს მედლისთვის **გივი ნადარეიშვილმა** (52) იასპარეზა, რომელიც პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ბელარუს **მარეკ არაქელიანს** 2:1 მოუგო. სამწუხაროდ, მომდევნო შეხვედრაში ჩვენებური სომეხ **ტიგრან კირაკოსიანთან** 0:4 დამარცხდა, რომელიც უკვე ისტორიული სამშობლოს ღირსებას იცავდა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა ჩვენებურმა რუს **ვასილ კარაულოვთან** დათმო. სავარაუდოდ, ტრავმის გამო, რადგან ოფიციალურ ოქმში ანგარიში არ წერია.

ჩვენი სამბისტებიდან ერთი შეხვედრა **გიორგი კობაიძემაც** (90) მოიგო – ყაზახ **ნიშანბაი კუდაიბერგენოვთან** 4:3 იმარჯვა, მაგრამ მომდევნო პაექრობა იაპონელ **შიგეიუკი უეჰარასთან** 1:10 დათმო. პირველივე ბროლა წააგო **იაკობ გაზდელიანმა** (68) მონღოლ **ბელჯინიამ ბარსურენთან,** თუმცა კი შეხვედრა 1:1 დასრულდა.

**ირაკლი თავაძე**

### სასხენდო სროლა

წარუმატებლად გამოვიდა ამ სახეობაში ჩვენი ერთადერთი მონაწილე **ნატალია პანასი,** რომელიც მრგვალ სტენდზე ისვრის. მან შესარჩევ ეტაპზე 61 ქულა დააგროვა, რაც მე-12 შედეგი აღმოჩნდა და ნახევარფინალში ვერ მოხვდა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ოქსანა პირველია, ანა – მეორე

გასულ კვირას ქართველმა ჩოგბურთელებმა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. განსაკუთრებით ქალებმა იყოჩაღეს. თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** სტამბოლის 25-ათასიანი ტურნირის ერთეულთა თანრიგში მეოთხედფინალური პაექრობა დათმო კატერინა კოზლოვასთან (უკრაინა, 4:6, 3:6), სამაგიეროდ, მის თანამემამულე ლუდმილა კიჩენოკთან ერთად წყვილებში იყოჩაღა: ტურნირის რეიტინგფავორიტები პირველ წრეში თავისუფალი იყვნენ. მეოთხედფინალში მელის სეზერსა (თურქეთი) და ჟამსინა ტინჯიჩს (ბოსნია-ჰერცეგოვინა) სძლიეს - 6:3, 6:1, ნახევარფინალში ბასაკ ერაიდინისა (თურქეთი) და ელიზავეტა კულიჩკოვას (რუსეთი) წყვილი დაამარცხეს - 6:1, 7:6, ფინალში კი ალიონა ფომინას (უკრაინა) და ანია პრისლანის (სლოვენია) ტანდემს აჯობეს - 6:2, 4:6, 10:7 და მთავარი პრიზი მოიპოვეს.


ოქსანა კალაშნიკოვა

ასევე წყვილებში მიზანთან ახლოს იყო **ანა ტატიშვილი** რუს ნინა ბრატჩიკოვასთან ერთად. ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) ანამ და ნინამ ჯერ უნგრელები - რეკა-ლუკა იანი და აგნეს ბუკტა (7:5, 6:3), მერე სანდრა კლემენჩიტსი (ავსტრია) და ანდრეა კლეპაჩი (სლოვენია) ჩამოიშორა გზიდან (6:1, 6:2), გუშინ კი ფინალური პაექრობა ანდრეა ჰლავაჩკოვას და ლუსი ჰრადესკას (ორივე - ჩეხეთი) დუეტთან დათმეს და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

**ვაჟა დანელია**

ინტერვიუ დუდა სანაძესთან

# ამერიკაში ნაკრებზე ფიქრით

**საქართველოს ნაკრებში იგორ კოკოშკოვმა ამერიკის კოლეჯების ლიგის წარმომადგენელ „სან დიეგოდან“ დუდა სანაძე გამოიძახა. 21 წლის ახალგაზრდას გასულ სეზონში ლიგაში თამაშის უფლება არ ჰქონდა და ამერიკაში მხოლოდ ვარჯიშობდა. შესაბამისად, შესაძლოა ვინმეს ეთქვა კიდეც - როცა ითამაშებს, ნაკრებში მაშინ გამოიძახონო, მაგრამ თბილისში, „აკადემიას“ დარბაზში დუდა რომ ვნახე, დავრწმუნდი, რომ გაფართოებულ სიაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო (12-კაციან განაცხადში მოხვდება თუ არა, მასზეა დამოკიდებული). იმიტომ, რომ ბოლო ერთ წელიწადში ფიზიკურად ერთი-ორად მოძლიერებულა და კუნთების ძალის მარაგიც საკმარისად აულია. ეს მაღალ დონეზე თამაშის მსურველი ნებისმიერი კალათბურთელისთვის აუცილებელია. ნაკრების ვარჯიშის შემდეგ დუდას ქართულ-ამერიკულ ამბებზე ველაპარაკე.**

– თბილისში ივნისის დასაწყისში ჩამოვედი. კოლეჯების ლიგაში სეზონის დასრულების შემდეგ ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი და ვფიქრობ, ნაკრების შეკრებას სათანადო კონდიციებში შევხვდი. აქაც კარგად ვიტვირთებით. ნაკრებში მოხვედრა ნებისმიერი კალათბურთელისთვის ბევრს ნიშნავს და ამერიკაში ვარჯიშისას ამაზე ფიქრი დამატებით სტიმულს მაძლევდა. ვეცდები, შანსი გამოვიყენო.

**– საქართველოდან წასულ ახალგაზრდებს ამერიკულ დატვირთვებთან შეგუება უჭირთ...**

– არც ჩემთვის იყო იოლი. საწყისი ორი თვე მართლაც გამიჭირდა, თუმცა შემდეგ შევეგუე და ხალისითაც ვვარჯიშობდი. სასიამოვნოა, როცა შრომის შედეგს თვალსაჩინოდ ხედავ.

**– როგორი რეჟიმი გქონდა?**

– დილას გაკვეთილებამდე ტრენაჟორებთან 2 საათი ვემზადებოდი, შემდეგ სწავლის დრო მოდიოდა, ხოლო საღამოს გუნდთან ერთად ბურთით ვვარჯიშობდი. დარბაზში დარჩენა და ინდივიდუალურად წვრთნა ყოველ საღამოს შემეძლო. ბევრს ვტყორცნიდი. ძალიან მეხმარებოდა სპეციალური მოწყობილება, რომელიც სროლის შემდეგ ბურთს ავტომატურად გიბრუნებს.


2005 წელი. 13 წლის დუდა და შემონდ უილიამსი

თუ ამ დანადგარის გარეშე ორი კალათბურთელი 400 ტყორცნის შესრულებას დაახლოებით ორ საათს ვანდომებდით, მისი დახმარებით 300-400 სროლას ნახევარ საათში ვასწრებდით.

**– ერთი სეზონი თამაშების გარეშე გაატარე.**

– ამის უფლება არ მქონდა. რთული იყო თანაგუნდელთა გარჯის ტრიბუნებიდან ყურება, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: პირველივე სეზონში შესაძლოა გუნდში ადგილის დამკვიდრება გამჭირვებოდა. ამერიკული და ევროპული კალათბურთი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. იქ სწრაფი, ნაკლებად კომბინაციური თამაშია, რომელიც დიდ გამძლეობას და ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს. ევროპაში შედარებით გააზრებულად, პოზიციურად თამაშობენ და ბურთიც ხშირად ჩერდება. ვფიქრობ, ფიზიკურადაც სათანადოდ მოვემზადე, ამერიკული სტილის კალათბურთსაც ალღო ავუღე და მომავალ სეზონში მნიშვნელოვანი როლის შესრულებაც შემიძლია.

**– შემადგენლობაში რა ცვლილებებია?**

– გასული სეზონი ნახევარფინალში დავასრულეთ - ოვერტაიმი წავაგეთ. კარგი გუნდი გვყავდა, ლიგის ლიდერებს ღირსეულად ვეთამაშეთ. მათგან ამ ზაფხულს ბევრი ლიდერი წავიდა, ზოგი NBA-ში. „სან დიეგო“ კი არც ერთ წამყვან კალათბურთელს არ დაუტოვებია და სწორედ ეს გვაძლევს მაღალი მიზნების მიღწევის იმედს.

**– უნივერსიტეტში რა ფაკულტეტზე სწავლობ და კიდევ რამდენი წელი დაგრჩა?**

– ბიზნესის ადმინისტრირებასა და მენეჯმენტს ვეუფლები. საინტერესო სპეციალობაა. წასვლამდე ინგლისური კი ვიცოდი, მაგრამ სრულყოფილად ასათვისებლად მაინც დამჭირდა დრო. ოთხწლიანი დაფინანსება მაქვს. სწავლის გაგრძელებაც შეიძლება, თუმცა საამისოდ დიდი თანხაა საჭირო.

**ვაჟა სიმონიშვილი**


სანაძე თურქეთთან მატჩისას (2012 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი)

ქართველი NBA-ში



ზაზა ფაჩულია ორლანდოში, „ბრუკლინი“-„ჰიუსტონის“ მატჩისას

# ზაზა ფაჩულია: თითქოს შინ ვბრუნდები

## ორლანდოდან მილუოკიზე

გამოცემა „სლემში“ მოკლე, მაგრამ საინტერესო სტატია გამოქვეყნდა **ზაზა ფაჩულიას** შესახებ. ავტორია **ჯეიკ ფიშერი**.

„ხალხს უყვარს ზაზა ფაჩულია.

ქართველი ცენტრი „ორლანდოს“ დარბაზის შესასვლელთან რამდენიმე ადამიანს გაეჩერებინა და „მილუოკიში“ გადასვლას ულოცავდა. ზაზაც ყველას ღიმილით ეგებებოდა და ხელს გულითადად ართმევდა.

ფაჩულიასაც უყვარს ხალხი.

მისი თამაშის შესახებ ყველას საკუთარი მოსაზრება აქვს, მაგრამ ერთი ფაქტია - ზაზა ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კალათბურთელია. იგი დიდად აფასებს მეგობრობას, ნაცნობობას. ამიტომაც დარჩა „ატლანტაში“ ცხრა წელიწადი და როცა კლუბის გამოცვლა დადგა დღის წესრიგში, იქ წავიდა, სადაც კარგად იცნობდნენ - „მილუოკიში“. ვისკონსინის შტატში ფაჩულია ერთხელ უკვე თამაშობდა - 2004-05 წლების სეზონში. რატომ დაბრუნდა?

*- თითქოს შინ ვბრუნდები. მართალია, „მილუოკიში“ მხოლოდ ერთი წელი ვითამაშე, მაგრამ დარბაზშიც კომფორტულად ვგრძნობდი თავს და ხალხთანაც კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. დარწმუნებული ვარ, ასეთივე კარგი სიტუაცია დამხვდება მომავალ სეზონში.*

თუმცა ფაჩულიას გუნდში ის ხალხი არ იქნება, ვისთანაც 2004-05 წლებში მუშაობდა. სამაგიეროდ ატლანტელი ნაცნობი მთავარი მწვრთნელი **ლარი დრიუ** დახვდება.

გასაკვირი არ არის, რომ ორლანდოში ზაზა სწორედ მეგობრობამ ჩამოიყვანა:

*- აქ თორნიკე შენგელიას თამაშის საყურებლად ვარ. იგი ჩემთვის უმცროსი ძმასავითაა. ქართველები ასეთ ურთიერთობას ძალიან ვაფასებთ,* - ამბობს „მილუოკის“ მეფარე.

შენგელია ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე „ბრუკლინთან“ ერთად თამაშობს. გასულ სეზონში „ნეთსში“ 19 მატჩი ჩაატარა, თუმცა სათამაშო დრო არასაკმარისად ჰქონდა. აი, რას ამბობს მის შესახებ ზაზა ფაჩულია:

*- იგი დიდ კალათბურთს ითამაშებს, თუმცა ბევრი რამ აქვს გამოსასწორებელი. ვფიქრობ, მომავალ სეზონში „ბრუკლინის“ სათანადოდ დახმარებაც შეუძლია.*

ფაჩულიას ზაფხულში დასვენებისა და ახლობლების მონახულებისთვის დრო აქვს. ხოლო, სეზონი რომ დაიწყება, „მილუოკისთან“ ერთად პლეი ოფის საგზურისთვის სერიოზული ბრძოლა მოუწევს.“

**ვაჟა სიმონიშვილი**

საზაფხულო ლიგა

# შენგელიას საუკეთესო მატჩი საზაფხულო ლიგაზე



ორლანდოში დასრულდა საზაფხულო ლიგის შეხვედრები. ბოლო დღეს ერთმანეთს ხვდებოდნენ გუნდები, რომლებსაც მოგება არ ჰქონდათ - „ბრუკლინი“ და „ფილადელფია“. ბოლო წამებზე გამარჯვების სასწორის პინა ფილადელფიელთა მხარეს გადაიხარა და ტაბლოზე 89:86 აენთო.

არადა, მატჩის დასაწყისში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ ბრუკლინელები, რომლებსაც **თორნიკე შენგელია** მიუძღოდათ. თოკომ პირველ ათწუთეულში 11 ქულა ჩააგდო, მისმა გუნდმა კი 26:21 იმარჯვა. შენგელიამ სწორედ ამ მონაკვეთში გამოამჟღავნა შესაძლებლობები, ამერიკელებს კიდევ ერთხელ დაანახვა, რომ სწრაფი გარღვევების ეფექტურად დაგვირგვინებაც შეუძლია, სამქულიანის ჩაგდებაც, ორი კაცის გზიდან ჩამოცილებაც და... ლამაზ ჩატენვაზე აღარაფერს ვამბობთ.

მატჩის დასრულების შემდეგ მისი სტატისტიკა ასეთი იყო: 35 წუთი, 14 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა.

*- ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე მეორედ ვთამაშობ. ამჯერად უფრო მშვიდად ვარ, არ ვღელავ. რაც შეეხება „ბრუკლინ ნეთსის“ გამოსვლას, ძნელია შეფასება, რადგან საზაფხულო კემპისთვის გუნდი ახლახან შეიკრიბა და კალათბურთელები ერთმანეთს ვერ ვუგებთ. ვცდილობ, უფრო მეტი ყურადღება უკანა ხაზზე თამაშს დავუთმო, უფრო სწრაფი და ათლეტური ვიყო. ამისთვის ინდივიდუალურადაც ვვარჯიშობ,* - როგორც მიხვდით, ეს თორნიკე შენგელიას სიტყვებია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

U20

# პირველი რაუნდი ბოლო ადგილით



ტალინში 20-წლამდელ კალათბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობაზე A დივიზიონის გუნდებმა შაბათს ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრები გამართეს. საქართველოს ნაკრებმა ისევ წააგო, ამჯერად სერბეთთან. ეს მატჩი, ფაქტობრივად, სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, რადგან წარმატების შემთხვევაშიც მედლებისთვის ბრძოლას ვერც ერთი მათგანი ვერ განაგრძობდა. ამის მიუხედავად, სერბები უფრო მობილიზებული და მოტივირებული გავიდნენ მოედანზე. პირველი მეოთხედი 21:16 მოიგეს, შესვენებამდე ქულათა სხვაობა 17-მდე გაზარდეს. პაექრობის სცენარი არც მე-2 ტაიმში შეცვლილა - ქართველთა მეტოქეს ბრძოლის ჟინი არ განელებია და საბოლოოდ 89:52 (21:16, 27:15, 20:7, 21:14) გაიმარჯვა. ჩვენს გუნდს 8-8 ქულა **რამიშვილმა, კვანტალიანმა** და **გელაზონიამ** შესძინეს. იმავე დღეს ბერძნებმა ლიტველებს სძლიეს 77:74 და პირველ ადგილზე გადაინაცვლეს.

პირველი რაუნდის შემდეგ ჯგუფებში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა:

**A ჯგუფი.** საბერძნეთი-8, ლიტვა-7, გერმანია-6, სერბეთი-5, საქართველო-4 ქულა.

**B ჯგუფი.** თურქეთი-7, ჩერნოგორია-7, ხორვატია-6, შვედეთი-5, უკრაინა-5 ქულა.

**C ჯგუფი.** ლატვია-8, ესპანეთი-7, რუსეთი-6, ისრაელი-5, ბულგარეთი-4 ქულა.

**D ჯგუფი.** საფრანგეთი-7, იტალია-7 სლოვენია-7, ესტონეთი-5, ჩეხეთი-4 ქულა.

პირველ-მესამე ადგილებზე გასული გუნდები მედლებისთვის იბრძოლებენ, ხოლო მეოთხე-მეხუთეადგილოსნები A დივიზიონში დასარჩენად გაირჯებიან. აუტსაიდერთა შორისაა საქართველოს ნაკრები, რომელიც საკვალიფიკაციო რაუნდში სამ მატჩს გამართავს: დღეს ესტონეთს გაუწევს მეტოქეობას, ხვალ და ზეგ ბულგარეთსა და შვედეთთან გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ჰინგისი და სხვები: დიდების დარბაზში მატება

## ყოფილმა მეუღლემ მარტინა რამდენჯერმე ამხილა ღალატში

ტრადიციულად, ნიუპორტის ტურნირის მსვლელობის დროს, ამერიკის ამ ქალაქში მდებარე ჩოგბურთის დიდების დარბაზში ახალი წევრები შეიყვანეს.

ამჯერად, დიდების დარბაზის ექსპერტებმა ოთხი ცნობილი ჩოგბურთელი დააფასეს - **კლიფ დრისდეილი, ჩარლი პასარელი, იონ ცირიაკი** და **მარტინა ჰინგისი.**

72 წლის დრისდეილი ერთეულებსა და წყვილებში წარმატებული მოთამაშე იყო. 1972 წელს, მან დუეტებს შორის მოიგო აშშ-ის ღია პირველობა, რეიტინგში კი ერთხელ მეოთხე პოზიცია ეკავა. ის გახლავთ ATP World Tour-ის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი , აგრეთვე მუშაობდა ESPN-ის კომენტატორად.

ჩარლი პასარელი 1967 წელს აშშ-ის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნეოდა და ერთი წლის შემდეგ ამერიკის ნაკრებს დევისის თასის მოგებაში დაეხმარა. 1969 წელს, **არტურ ეშთან** და **შერიდან სნაიდერთან** ერთად დააარსა იუნიორთა ეროვნული საჩოგბურთო ლიგა, რომელშიც ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდა ჩოგბურთელები თამაშობდნენ.

74 წლის ცირიაკი 15 წელი თამაშობდა დევისის თასზე რუმინეთის ნაკრებში. მას 1970 წელს **ილიე ნასტასესთან** ერთად მოგებული აქვს როლან გაროსი წყვილთა თანრიგში. ცირიაკი ისეთი ცნობილი ჩოგბურთელების მენეჯერი იყო, როგორებიც არიან **გილერმო ვილასი, გორან ივანიშევიჩი, ბორის ბეკერი.** გარდა ამისა, რუმინელი რომის მასტერსის დირექტორი იყო და ახლა, ანალოგიური პოსტი უკავია მადრიდის მასტერსზე.

რა თქმა უნდა, ამ ოთხეულში ყველაზე წარმატებული იყო შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი, რომელსაც ერთეულებში, წყვილებსა და მიქსტში მოგებული აქვს „დიდი სლემის" 15 ტიტული. ის მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო WTA-ის ერთეულებისა და წყვილების რეიტინგში.

ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზი 1955 წელს დაარსდა და მას შემდეგ, იქ 11 ქვეყნის 234 წარმომადგენელი შეიყვანეს.

■ ■ ■

სანამ ჰინგისი ნიუპორტში იმყოფებოდა, მის ყოფილმა მეუღლემ **ტიბოლტ ჰუტინმა** სკანდალური განცხადება გააკეთა: მისი თქმით, შვეიცარიელი ჩოგბურთელი ხშირად ღალატობდა ქმარს. მარტინამ და ტიბოლტმა 2010 წლის დეკემბერში იქორწინეს და 2013 წელს გაეყარნენ.

*„ქორწილიდან ერთი თვის თავზე ნიუ იორკში ჩავედი მარტინასთვის სიურპრიზის გასაკეთებლად, მაგრამ ის ნომერში უცხო მამაკაცთან ერთად დამხვდა. გარკვეული დროის შემდეგ, მან ისევ მიღალატა. ვფიქრობ, მას უბრალოდ არ შეუძლია ნებისმიერი მამაკაცის ერთგული იყოს"*, - მოჰყავს ფრანგულ პრესას ჰუტინის სიტყვები.

ამჟამად, მარტინა ჰინგისი ესპანეთის სპორტის სამინისტროს ერთ-ერთ ხელმძღვანელს **დავიდ ტოასა-როსს** ხვდება.



ჰინგისი ნიუპორტში

# მარიას კონორსი გაწვრთნის

რუსული ჩოგბურთის ლიდერის **მარია შარაპოვას** ახალი მწვრთნელი იქნება ლეგენდარული ამერიკელი **ჯიმი კონორსი.** ეს ინფორმაცია მარიას ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა.

*„მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩემი ახალი მწვრთნელი გახდა ჯიმი კონორსი, - განაცხადა შარაპოვამ. - მას მრავალი წელია ვიცნობ. ჩვენ მცირე ხანი ვიმუშავეთ ერთად 2008 წელს, ავსტრალიის ღია პირველობის წინ. დაინტრიგებული ვარ მომავალი თანამშრომლობით და სიამოვნებით ველოდები უახლოეს ტურნირებს".*

შეგახსენებთ, შარაპოვამ სამი დღის წინ გამოაცხადა იმის შესახებ, რომ ასრულებს ურთიერთობას თავის მწვრთნელ **ტომას ჰოგსტედტთან,** რადგან ამ უკანასკნელს, პირადი პრობლემების გამო არ შეუძლია მუდმივად ჩოგბურთელის გვერდით ყოფნა.

ჯიმი კონორსი ყველა დროის ერთ-ერთი წარმატებული პროფესიონალი ჩოგბურთელია. მან კარიერაში ATP-ის 109 ტიტული მოიგო, რაც ყველა დროის რეკორდი გახლავა. მის ანგარიშზეა „დიდი სლემის" რვა ტიტული. რაც შეეხება კონორსის სამწვრთნელო კარიერას, ის დიდი ხანი ამერიკელი **ენდი როდიკის** დამრიგებელი იყო.

მოგვიანებით, ამ სიახლესთან დაკავშირებით ამერიკელის კომენტარიც გავრცელდა: *„მოუთმენლად ველოდები „დიდი სლემის" ტურნირების ოთხგზის ჩემპიონთან თანამშრომლობის დაწყებას. ჩემი მიზანია მივაღწიო იმას, რომ მარია შარაპოვამ უფრო მეტი ტურნირი მოიგოს. წინ ძალიან მძიმე, მაგრამ საინტერესო სამუშაო გველოდება".*

# როჯერი ყველაზე მდიდარია

საერთაშორისო კონსალტინგურმა კომპანია Wealth-X-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს 10 ყველაზე მდიდარი ჩოგბურთელის სია. თავიანთ კვლევებში სპეციალისტები ითვალისწინებდნენ საპრიზო თანხებს, სპონსორებისგან მიღებულ შემოსავალსა და მოგებას ბიზნეს-საქმიანობისგან.

რეიტინგის ლიდერია „დიდი სლემის" ტურნირების 17-გზის ჩემპიონი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი.**

ყველაზე მდიდარი ჩოგბურთელების საუკეთესო ათეული:

**1. როჯერ ფედერერი (შვეიც) - $180 მლნ**
**2. რაფაელ ნადალი (ესპ) - $120 მლნ**
**3. მარია შარაპოვა (რუს) - $95 მლნ**
**4. სერენა უილიამსი (აშშ) - $90 მლნ**
**5. ვენუს უილიამსი (აშშ) - $60 მლნ**
**6. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) - $55 მლნ**
**7. ენდი მარეი (ბრიტ) - $42 მლნ**
**8. ნა ლი (ჩინ) - $35 მლნ**
**9. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) - $30 მლნ**
**9. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) - $30 მლნ**



როჯერ ფედერერი

ამბები

## რაფა მონრეალში დაბრუნდება

მსოფლიოს მეოთხე ჩოგნის **რაფაელ ნადალის** ბიძამ და მწვრთნელმა **ტონი ნადალმა** გამოაცხადა, რომ მისი შეგირდი კორტზე აგვისტოში, მონრეალის მასტერსზე დაბრუნდება.

*„ამჟამად, რაფა მუშაობს ფიზიკურ ფორმაზე და პრაქტიკულად არ თამაშობს ჩოგბურთს. მას გარკვეული შესვენება სჭირდებოდა უიმბლდონის შემდეგ, რადგან, ბოლო თვეებში ძალიან ბევრს თამაშობდა. ახლა ის წესრიგშია და მზად არის კორტზე მალე დასაბრუნებლად. მისი პირველი ტურნირი იქნება მასტერსი მონრეალში"*, - ამბობს ტონი ნადალი.

## დემენტიევა მწვრთნელობას იწყებს

წარსულში ცნობილი რუსი ჩოგბურთელი **ელენა დემენტიევა,** რომელმაც 2010 წლის ოქტომბერში დაასრულა მოთამაშის კარიერა, შესაძლოა, WTA-ის ტურს მწვრთნელის რანგში დაუბრუნდეს.

სავარაუდოდ, პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის შეგირდი შეიძლება გახდეს მსოფლიოს 56-ე ჩოგანი, კანადელი **ეჟენი ბუშარი.**

19 წლის ჩოგბურთელმა გასულ წელს, იუნიორთა უიმბლდონი მოიგო, წელს კი ძირითად ტურნირში მესამე წრემდე მიაღწია, როცა მეორე რაუნდში დაამარცხა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ანა ივანოვიჩი.**

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი 2013.




ფრუმი მონ-ვენტუს იპყრობს

# მისტერ შეუჩერებელი

## კრისტოფერ ფრუმმა მონ-ვენტუ დაიპყრო და ლიდერობა გაზარდა

ველოსპორტის მოყვარულები მოუთმენლად ელოდნენ მე-15 ეტაპს და ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: ეს ეტაპი ყველაზე გრძელია ამ ტურზე (242.5 კმ), ის იმართებოდა საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის - ბასტილიის აღების დღეს და რაც მთავარია, ფინიში უნდა შემდგარიყო ლეგენდარულ მთა მონ-ვენტუზე.

მიუხედავად იმისა, რომ მონ-ვენტუ ლეგენდარული ამაღლებაა, ის ტურ დე ფრანსის ასწლიან ისტორიაში მხოლოდ რვაჯერ იყო შეტანილი მარშრუტში. გამარჯვებულთა სია შთამბეჭდავია: **შარლი გოლი, რაიმონ პულიდორი, ედი მერქსი, ბერნარ ტევენე, ჟან-ფრანსუა ბერნარი, მარკო პანტანი, რიშარ ვირანკი** და **ხუან მანუელ გარატე,** რომელმაც აქ 2009 წელს გაიმარჯვა.

ბუნებრივია ყველას აინტერესებდა, ვინ გააგრძელებდა ამ სიას. ერთის მხრივ, გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი **კრისტოფერ ფრუმი** აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა, თუმცა მისმა გუნდმა „თიმ სქაიმ" მნიშვნელოვნად დათმო პოზიციები. ტურს გამოეთიშნენ ბრიტანელის ერთგული „გრეგარები" - **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** და **ვასილი კირიენკო,** ხოლო **ჯერაინტ ტომასი** და **პეტერ კენოგი** ტრავმებით აგრძელებენ გამოსვლას. სამაგიეროდ, ძალიან მოტივირებული იყო **ალბერტო კონტადორის** Saxo-Tinkoff, რომელმაც ორი დღით ადრე გამოაჩინა თავისი ამბიციები.

ბუნებრივია, ეროვნულ დღესასწაულზე განსაკუთრებით მონდომებული ფრანგი ველომრბოლები იყვნენ. პირველ გაქცეულებს შორის სამი მასპინძელი იყო: **პიერიკ ფედრიგო, ჟერემი როი** და **სილვენ შავანელი.** ლიდერთა ჯგუფმა პელოტონის ოთხ წუთზე მეტით ჩამორტოვება ვერ მოახერხა.

მონ-ვენტუს წინ, როგორც იქნა, ძირითად ჯგუფს სათავეში ჩაუდგა „თიმ სქაი". ამ მომენტიდან ცხადი გახდა, რომ საერთო ჩათვლის ლიდერი სერიოზულად იყო განწყობილი. რაც შეეხება დაწინაურებულთა ჯგუფს, აქ აქტიურობდა შავანელი, მაგრამ მის წინსვლას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია და მალე, ფრანგი გენერალური კლასიფიკაციის ფავორიტებს დანებდა.

პირველმა სერიოზულ მრბოლელებს შორის **ნაირო კინტანამ** შეუტია, რომელმაც საკმაოდ სწრაფად მოიპოვა ფრუმის ჯგუფზე ნახევარწუთიანი უპირატესობა. სწორედ ამ დროს, პელოტონის თავში მოექცა „თიმ სქაის" ავსტრალიელი ნევრი **რიჩი პორტი** და მისმა ტემპმა საბოლოოდ დაშალა ძირითადი ჯგუფი. პორტს კვალში მხოლოდ ფრუმი და კონტადორი ჩაუდგნენ. დაახლოებით ერთი კილომეტრის შემდეგ კი თავად ფრუმი გადავიდა იერიშზე და ისეთი ტემპი აკრიფა, რომ კონტადორს მისი გამოკიდების არანაირი შანსი არ ჰქონდა. ბრიტანელმა ფაქტობრივად გაანადგურა სახელოვანი ესპანელი.

ამის შემდეგ, ფრუმი კინტანას დაეწია. მათ კარგა ხანი ერთად იარეს, მაგრამ ფინიშამდე კილომეტრით ადრე, ვერც კოლუმბიელმა გაუძლო „თიმ სქაის" კაპიტნის ტემპს. ერთ კილომეტრში ფრუმმა კინტანას 29 წამი მოუგო, კონტადორმა კი თავის მთავარ კონკურენტთან წუთი და 40 წამი დათმო.

**XIV ეტაპი**

**სენ პურსენი-ლიონი. 191 კმ**

1. **მატეო ტრენტინი** (იტა, Omega Pharma) - 4:15.11; 2. **მიხაელ ალბასინი** (შვეიც, Orica) - იგივე დრო; 3. **ენდრიუ ტალანსკი** (აშშ, Garmin-Sharp) - იგივე დრო; 4. **ხოსე ხოაკინ როხასი** (ესპ, Movistar) - იგივე დრო; 5. **ეგოიც გარსია** (ესპ, Cofidis) - იგივე დრო; 6. **ლარს ბაკი** (დან, Lotto Belisol) - იგივე დრო...

**XV ეტაპი**

**ჟივორი-მონ ვენტუ. 242.5 კმ**

1. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტ, Sky) - 5:48.45; 2. **ნაირო კინტანა** (კოლ, Movistar) - +0.29; 3. **მიკელ ნიევე** (ესპ, Euskaltel-Euskadi) - +1.23; 4. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპ, „კატიუშა") - იგივე დრო; 5. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Saxo-Tinkoff) - +1.40; 6. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Saxo-Tinkoff) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტ, Sky) - 61:11.43; 2. **ბაუკე მოლემა** (ჰოლ, Belkin) - +4.14; 3. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Saxo-Tinkoff) - +4.25; 4. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Saxo-Tinkoff) - +4.28; 5. **ლაურენს ტენ დამი** (ჰოლ, Belkin) - +4.54; 6. **ნაირო კინტანა** (კოლ, Movistar) - +5.47...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



ზაიდ აბასი

# გეოგრაფია იზრდება

### ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, შესაძლოა, იორდანიელი კალათბურთელი გამოჩნდეს

USA TODAY-ის მიმომხილველმა **სემ ერიკმა** „ტვიტერზე" თავის მიკრობლოგში დაწერა იმის შესახებ, რომ NBA-ის მომავალი რეგულარული ჩემპიონატის წინ, ასოციაციის ერთ-ერთი გუნდის საწვრთნელ ბანაკში შეიძლება გამოჩნდეს იორდანიის ნაკრების მძიმე ფორვარდი **ზაიდ აბასი**.

ჩინეთის CBA-ლიგის ვარსკვლავმა გადადო მოლაპარაკებები რამდენიმე ჩინურ კლუბთან და ახალ დონეზე გასვლის იმედი აქვს. ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან იმაზე, NBA-ის რომელ კლუბთან ექნება კონტაქტი აბასს, მაგრამ ერთ-ერთი წყარო ვარაუდობს, რომ ლაპარაკია „დეტროიტ პისტონზე". ამ გუნდის სამწვრთნელო შტაბის ერთ-ერთ წარმომადგენელს **მაზ თრაქს** ზაიდთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვს და მზად არის იორდანიელს რეკომენდაცია გაუწიოს გუნდის მთავარ მწვრთნელ **მორის ჩიქსთან**.

გასული სეზონი აბასისთვის ძალიან წარმატებული იყო - ჩინეთის ჩემპიონატის 39 მატჩში ის საშუალოდ 17.9 ქულას, 11.4 მოხსნასა და 2.1 შედეგიან გადაცემას აგროვებდა, თავად ზაიდის გუნდი - „შანდონგ ლაიონსი" კი პლეი ოფის ფინალში გავიდა.

აბასმა საერთაშორისო დონეზე პირველად თავი 2010 წელს წარმოაჩინა. მან მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთი მატჩი ჩაატარა და სამი ორმაგი დუბლი შეასრულა, თან თამაშიდან ტყორცნების ფანტასტიკური მაჩვენებელი ჰქონდა: საშუალო სროლები - 71.9 პროცენტი და სამქულიანები - 40 პროცენტი.

# ელისმა დალასი გააძლიერა



მონტა ელისი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთმა წამყვანმა მცველმა **მონტა ელისმა** კონტრაქტზე შეთანხმებას მიაღწია „დალას მავერიქსთან". კლუბი და მოთამაშე გააფორმებენ სამწლიან კონტრაქტს, რომლის საერთო ღირებულება 25 მილიონი დოლარი იქნება. თუმცა ეს თანხა შეიძლება 30 მილიონამდე გაიზარდოს იმის მიხედვით, რამდენი თავისუფალი თანხა ექნება სახელფასო ბიუჯეტში „დალასს".

ელისი „მავერიქსის" უკანა ხაზზე **ხოსე კალდერონსა** და **დევინ ჰარისს** გაუწევს პარტნიორობას.

მონტა ელისმა ამ ზაფხულს უარი თქვა „მილუოკისთან" კონტრაქტის ბოლო წელზე და თავისუფალი აგენტი გახდა. გასულ სეზონში ეს მცველი საშუალოდ 19.2 ქულას აგროვებდა.

# უორლდ პისი: კლიპერსი, ჩინეთი, ფეხბურთი თუ ჰოკეი?

როგორც უკვე ვწერდით, „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" ამნისტიის წესი გამოიყენა და შემადგენლობიდან დაითხოვა ვეტერანი ფორვარდი **მეტა უორლდ პისი**.

ამის შემდეგ, კალათბურთელმა თავისი გეგმების შესახებ უამბო ჟურნალისტებს: ეს შეიძლება იყოს ჩინეთის ლიგაში თამაში, სამწვრთნელო კარიერის დაწყება, ფეხბურთში ან ჰოკეიში გადასვლა. თუმცა 33 წლის კალათბურთელთან დაახლოებულმა წყარომ ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ უორლდ პისს „კლიპერსში" გადასვლის ვარიანტი ხიბლავს, რადგან ეს კლუბი ამ ზაფხულს ძალიან წარმატებულ სატრანსფერო პოლიტიკას ატარებს.

NBA-ის წესების თანახმად, უორლდ პისზე პრეტენზიის გამოცხადება შეუძლიათ კლუბებს, რომლებსაც არ დაურღვევიათ სახელფასო ბიუჯეტზე ლიმიტი. თუ არც ერთი გუნდი არ მოისურვებს მის გაფორმებას, მაშინ კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



მეტა უორლდ პისი

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2013**

**ქალები**

| | |
|---|---|
| იტალია-დანია | 2:1 |
| ფინეთი-შვედეთი | 0:5 |
| ნორვეგია-ჰოლანდია | 1:0 |
| ისლანდია-გერმანია | 0:3 |

**ოქროს თასი**

| | |
|---|---|
| ტრინიდადი-ჰაიტი | 0:2 |
| ჰონდურასი-სალვადორი | 1:0 |
| აშშ-კუბა | 4:1 |
| კოსტა რიკა-ბელიზე | 1:0 |
| პანამა-კანადა | 0:0 |

**მს. ჩემპიონატი**

**UNDER 20**

| | |
|---|---|
| განა-ერაყი | 3:0 |
| საფრანგეთი-ურუგვაი | 0:0 პენ. 4:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ბოხუმი-ასტონ ვილა | 1:1 |
| ვოლფსბურგი-ბრაუნშვაიგი | 1:2 |
| ჰანოვერი-პსვ ეინდჰოვენი | 0:3 |
| კარლსრუე-ვალენსია | 2:1 |
| სტანდარდი-ვიტესი | 0:1 |
| ჰანზა-ბაიერნი | 0:4 |
| აუსტრია-ევერტონი | 2:1 |
| ბრონდიუ-ფლოტა | 2:0 |
| სერკლი-რუზელარე | 0:1 |
| ფორტუნა-მონაკო | 3:2 |
| ჰამბურგი-კოპენჰაგენი | 2:0 |
| ოსნაბრიუკი-ვერდერი | 1:0 |
| ალემანია-შალკე | 1:6 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ილერტისენი-მემინგენი | 0:0 |
| ზელიგენპორტენი-აუგსბურგი II | 1:1 |
| ჰაიმშტეტენი-ბაიერნი II | 0:6 |
| ბაიერნ ჰოფი-მიუნხენი II | 1:1 |
| რაინი-როზენჰაიმი | 0:3 |
| აინტრახტი (ბ)-შალდინგი | 1:0 |
| ვიქტორია (ა)-ნიურნბერგი II | 2:2 |
| ბუხბახი-ფიურტი II | 2:5 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| მიოლდე-ვიკინგი | 1:1 |
| სტარტი-ბრანი | 3:3 |
| ჰაუგესუნდი-ოლესუნდი | 1:2 |
| სანდნესი-სტრიომსგოდსეტი | 2:1 |
| სარპსბორგი-ლილესტრიომი | 0:1 |
| ტრომსიო-სიოგნდალი | 2:2 |
| რუსენბორგი-ოდ გრენლანდი | 3:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრომაპიოკარნა-გიოტებორგი | 2:1 |
| ელფსბორგი-ჰალმსტადი | 2:2 |
| ჰაკენი-კალმარი | 0:1 |
| გეფლე-ნორჩოპინგი | 2:2 |
| მიალბიუ-იურგარდენი | 2:0 |
| მალმიო-ატვიდაბერგი | 4:0 |
| სირიანსკა-აიკ | 1:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იარო-ლაჰტი | 7:1 |
| მარიეჰამნი-ჰონკა | 1:4 |
| ინტერი-როვანიემი | 0:0 |
| მიუპა-ტურკუ | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ჰაკა | 1:1 |
| ოპს-პკ35 | 2:0 |
| სეინაიოენი-ოულუ | 1:1 |
| კაიაანი-კოტეპე | 1:2 |

**პავსტრიის თასი**

**I რაუნდი**

| | |
|---|---|
| ჰერც პინკაფელდი-ნოიმარკტი | 4:2 |
| ბად ვოსლაუ-ჰარტბერგი | 2:3 |
| დორნბირნი-ეუროტურსი | 1:0 |
| აუსტრია (ზ)-გრიოდიგი | 1:1 პენ. 5:4 |
| აუსტრია (კ)-ვინერი (ვ) | 3:2 |
| დრასბურგი-ვინერი (ნ) | 0:3 |
| ჰარდი-ჰორნი | 1:3 |
| რეტცი-ფორვარტსი | 0:0 პენ. 2:4 |
| შვაცი-პელეტსი | 0:3 |
| სტ. ფაიტი-ფრაიცაიტინსელი | 1:5 |
| ვილახი-ვატენსი | 5:5 პენ. 4:3 |
| სტ. იოჰანი-პაშინგი | 0:5 |
| მანსდორფი-გრატკორნი | 1:0 დ.დ. |
| ტიმ ვინერი-შტურმი | 0:5 |
| შტეგერსბახი-აუსტრია (ლ) | 0:2 |
| ლინცი-რაპიდი | 0:0 პენ. 5:4 |
| ალერჰაილიგენი-ტიროლი | 1:4 |
| სტ. ფლორიანი-ზალცბურგი | 0:9 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| სლიგო-სტ. პატსი | 1:1 |
| უნივერსიტი-დროგედა | 2:2 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| კეფლავიკი-ბრეიდაბლიკი | 1:2 |
| ტორი-ვესტმანაიეარი | 1:3 |
| ფრამი-რეიკიავიკი | 2:1 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| დინამო-ვოლგა | 2:2 |
| ანჟი-ლოკომოტივი | 2:2 |
| ყუბანი-რუბინი | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლუჩ ენერგია-შინიკი | 0:1 |
| ბალტიკა-ხიმიკი | 1:1 |
| მორდოვია-დინამო (ს-პ) | 4:1 |
| ალანია-ანგუშტი | 1:0 |
| სალუტი-გაზოვიკი | 1:1 |
| როტორი-სკა ენერგია | 1:2 |
| ტორპედო-ენისეი | 0:0 |
| არსენალი-სიბირი | 2:0 |
| ნალჩიკი-ნეფტიხიმიკი | 2:1 |

**რუსეთი**

**სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ცსკა-ზენიტი | 3:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბაზელი-არაუ | 3:1 |
| იანგ ბოიზი-სიონი | 2:0 |
| ლუცერნი-ლოზანა | 2:0 |
| ციურიხი-თუნი | 3:2 |
| სტ. გალენი-გრასჰოპერსი | 0:2 |

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ლუგანო-ვილი | 2:1 |
| ვოლენი-სერვეტი | 1:2 |
| ლოკარნო-ბილი | 1:0 |
| ვადუცი-კიასო | 3:1 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ზ)-ილიჩივეცი | 0:1 |
| დნიპრო-არსენალი | 3:0 |
| კარპატი-ვორსკლა | 0:2 |
| შახტარი-გოვერლა | 2:0 |
| დინამო-ვოლინი | 1:1 |
| სევასტოპოლი-ჩერნომორეცი | 1:1 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| დრაგოვოლიაცი-ლოკომოტივა | 0:2 |
| ზადარი-ჰაიდუკი | 1:5 |
| სპლიტი-სლავენი | 2:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-მორავცე | 2:0 |
| ტრენჩინი-ნიტრა | 4:0 |
| შენიცა-ტრნავა | 2:1 |
| რუჟომბეროკი-ჟილინა | 2:2 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| კოპერი-კრკა | 2:1 |
| ოლიმპია-რუდარი | 1:2 |
| ტრიგლავი-გორიცა | 0:1 |

**უნგრეთი**

**სუპერთასი**

| | |
|---|---|
| დიორი-დებრეცენი | 3:0 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| შახტიორი-სლავია | 2:1 |
| ტორპედო-დინამო (ბრ) | 2:0 |
| გომელი-დინამო (მნ) | 1:2 |
| ნაფტანი-ბელშინა | 3:3 |
| დნეპრი-ნემანი | 3:1 |

**ესტონეთი**

| | |
|---|---|
| კალიუ-პაიდე | 1:0 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| იურმალა-მეტა | 1:2 |
| ილუკსტესი-იეგლავა | 2:1 |
| სკონტო-დაუგავა (რ) | 5:0 |
| სპარტაკსი-ვენტსპილსი | 2:3 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ფლუმინენსე-ინტერნასიონალი | 2:3 |
| სანტოსი-პორტუგეზა | 4:1 |
| პონტე პრეტა-ბაია | 0:0 |
| კორინთიანსი-ატ. მინეირო | 0:1 |
| კორიტიბა-ატ. პარანაენსე | 1:0 |
| გრემიო-ბოტაფოგო | 2:1 |
| ვიტორია-სან პაულუ | 3:2 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ემელეკი-მანტა | 4:1 |
| დეპ. მაკარა-ელ ნასიონალი | 1:1 |
| დეპ. კუენკა-ლდუ კიტო | 0:3 |
| უნ. კატოლიკა-ბარსელონა | 3:1 |
| ინდეპენდიენტე-ლიგა დე ლოხა | 1:0 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| სპორტი-ხუან აურიჩი | 2:1 |
| სენსიანო-ინტი გასი | 1:1 |
| სპ. კრისტალი-მელგარი | 0:0 |
| სესარ ვალიეხო-ლეონი | 0:0 |

**აშშ**

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი-მონრეალი | 4:0 |
| ნიუ ინგლენდი-ჰიუსტონი | 1:2 |
| კანზას სიტი-ტორონტო | 3:0 |
| დალასი-სოლტ ლეიკი | 0:3 |
| სან ხოსე-სიეტლი | 1:0 |
| პორტლენდი-ლოს ანჯელესი | 2:1 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| შიმიცუ-ოიტა | 3:1 |
| კოფუ-შონანი | 0:1 |
| ვეგალტა-ივატა | 1:1 |
| კაშივა-კაშიმა | 2:1 |
| კავასაკი-ურავა | 4:0 |
| იოკოჰამა-ომიია | 2:1 |
| ნიიგატა-ტოკიო | 0:3 |
| ნაგოია-ტოსუ | 3:2 |
| ჰიროშიმა-სერეზო | 1:0 |

**კორეა**

| | |
|---|---|
| ბუსანი-ჟეონბუკი | 1:2 |
| ჩუნამი-სეული | 1:2 |
| განგვონი-გიეონგნამი | 1:1 |
| ინჩეონი-დაეგუ | 2:1 |
| ჯეჯუ-სუვონი | 1:2 |
| სეონგნამი-პოჰანგი | 2:2 |
| ულსანი-დაეჟეონი | 2:0 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბაშტადი**

| | |
|---|---|
| დიმიტროვი-ვერდასკო | 6:7. 7:5, 5:7 |
| დე ბაკერი-ბერლოკი | 5:7, 3:6 |
| ვერდასკო-ბერლოკი | 5:7, 1:6 |

**ATP. შტუტგარტი**

| | |
|---|---|
| ფონინი-ბაუტისტა აგუტი | 6:1, 6:3 |
| ჰანესკუ-კოლშრაიბერი | 3:6, 3:6 |
| ფონინი-კოლშრაიბერი | 5:7, 6:4, 6:4 |

**WTA. ბუდაპეშტი**

| | |
|---|---|
| სხეპერსი-მოისბურგერი | 2:6, 2:6 |
| ჰალეპი-კადანტუ | 6:2, 7:6 |
| ჰალეპი-მოისბურგერი | 6:3, 6:7, 6:1 |

**WTA. პალერმო**

| | |
|---|---|
| კაბესა კანდელა-ვინჩი | 7:5, 2:6, 2:6 |
| ერანი-ზაკოპალოვა | 6:4, 6:4 |
| ერანი-ვინჩი | 3:6, 6:3, 3:6 |

## TV პროგრამა

**15 ივლისი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. ლაციო-ფენერბახჩე.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ეინდჰოვენი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ტოტენჰემი.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ სიტი.
21:00 სეზონის მიმოხილვა. ინგლისის ჩემპიონატი - ლივერპული.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვესტ ჰემი.
01:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ნიიმეგენი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ლევერკუზენი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ბოსტონი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულემი-ჩელსი.
17:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-ახალი ზელანდია.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ნიურნბერგი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. პალერმო. იტალია.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 კალათბურთი. NBA. ჰამბურგი. გერმანია.
16:20 სპორტ-NEWS.
16:50 კალათბურთი. NBA. ნიუ იორკი-ინდიანა.
18:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
20:50 კალათბურთი. NBA. სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი.
22:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 21 | 33 | (მზე) |
| ქუთაისი | 20 | 31 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 20 | 28 | (მზე) |
| ფოთი | 21 | 30 | (მზე) |
| ზუგდიდი | 20 | 30 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 17 | 32 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 19 | 33 | (მზე) |
| სიღნაღი | 18 | 32 | (მზე) |
| ბაკურიანი | 12 | 26 | (მზე) |
| ბორჯომი | 16 | 32 | (მზე) |
| მესტია | 12 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1611 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6560 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5027 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0731 |

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი


კრატჩლოუ, როსი და მარკესი

# თითქმის ისე, როგორც ჰოლანდიაში

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატი „ზახსენრინგის" ტრასაზე გერმანიის გრანპრით გაგრძელდა. გუშინდელ რბოლას წინ უძღოდა საინტერესო მოვლენები, რამაც, საბოლოოდ, ძალიან გაალარიბა ეს ეტაპი. საქმე ისაა, რომ მეორე და მესამე თავისუფალი პრაქტიკების დროს, ავარიაში მოხვდნენ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ხორე ლორენსო** და წლევანდელი გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი **დანი პედროსა**. შედეგად, ლორენსოს ბოლო სამი კვირის განმავლობაში, ლავიწის ძვლის მოტეხილობის სამკურნალოდ მეორე ოპერაცია დასჭირდა და შემდეგ ეტაპზე - აშშ-ის გრანპრიზე აპირებს დაბრუნებას, რაც შეეხება პედროსას, დაცემისას მანაც ლავიწის ძვალი დაიზიანა, მაგრამ ბოლო მომენტამდე იმედოვნებდა რბოლაში გამოსვლას, თუმცა ტრასაზე გასვლა ვერ შეძლო.

პედროსასა და ლორენსოს არყოფნაში, პოული **მარკ მარკესმა** მოიგო, მეორე კი **კელ კრატჩლოუ** იყო. თუმცა მათ ჩააგდეს გუშინდელი სტარტი, რითაც კარგად ისარგებლეს **ვალენტინო როსიმ** და **შტეფან ბრადლმა**. ამ უკანასკნელმა, პირველი წრის შუაში გაუსწრო როსის და პელოტონის წინა ნაწილმა ასეთი სახე მიიღო: ბრადლი, როსი, **ესპარგარო**, მარკესი, კრატჩლოუ, **ბაუტისტა**...

ობიექტურად, ესპარგარო თავისი მოტოთი ვერ შეძლებდა ლიდერთა ტემპით მოძრაობას და ის თანდათან პელოტონის შუაში მოექცა. მარკესმა კი შესანიშნავი კონტრშეტევით გვერდი აუარა ჯერ როსის, შემდეგ ბრადლს და პირველ პოზიციაზე გადავიდა. ახალგაზრდა ესპანელისთვის ხელი არავის შეუშლია და 30 წრის გასვლის შემდეგ გამარჯვება იზეიმა, რითაც ჩემპიონატის ახალი ლიდერი გახდა.

როსიმ და კრატჩლოუმ, ერთობლივი მონდომებით ამოაგდეს ბრადლი პოდიუმის პრეტენდენტთა სიიდან. რაც შეეხება მათ პირად დუელს, აქ ინგლისელი იყო უფრო ძლიერი. ბოლოსკენ კრატჩლოუ კომფორტული მანძილით დაშორდა როსის და მარკესსაც დაეწია, მაგრამ შეტევაზე გადასვლა ვერ მოასწრო. ასე რომ, პოდიუმზე ის მრბოლელები ავიდნენ, რომლებმაც ორი კვირის წინ, ჰოლანდიაში გამოიჩინეს თავი, ოღონდ სხვა თანმიმდევრობით.

### გერმანიის გრანპრი

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 30 წრე; 2. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, Yamaha) - +1,559; 3. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - +9,620; 4. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - +13,992; 5. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - +21,775; 6. **ბრედლი სმიტი** (ბრიტ, Yamaha) - +25,080...

### საერთო ჩათვლა

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 138 ქულა; 2. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 136; 3. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 127; 4. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, Yamaha) - 107; 5. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 101; 6. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - 74

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

მძლეოსნობა

# ახალი სკანდალი: გაი დოპინგზე ჩავარდა

გუშინ, სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა სააგენტო „ფრანს-პრესმა". თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო სპრინტერმა, 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა **ტაისონ გაიმ** დოპინგ-ტესტი ვერ გაიარა.

ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტომ გაის შაბათს აცნობა „A" სინჯის დადებითი შედეგის შესახებ. ახლა სპეციალისტებს „B" სინჯის შემოწმება მოუწევთ.

ამ სკანდალთან დაკავშირებით, გაიმ უკვე გამოაცხადა, რომ მონაწილეობას არ მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც 2013 წლის აგვისტოში გაიმართება მოსკოვში. სპორტსმენმა აღიარა, რომ ან თავად დაუშვა შეცდომა ან საკუთარი გარემოცვიდან ვინმემ უღალატა. ამ კომენტარის გაკეთებისას, გაიმ ცრემლები ვერ შეიკავა.

დოპინგ-სინჯი ტაისონს 16 მაისს ჩამოართვეს - ტურნირებისგან თავისუფალ პერიოდში. ცოტა ხნის წინ, ივნისში ამერიკელმა 100 მეტრი 9.75 წამში გაირბინა, რაც წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგია, ისტორიაში კი - მეათე დრო.

2009 წელს, ტაისონ გაიმ შეძლო მოკლე სპრინტის 9.69 წამში გარბენა. მისი ბოლო წარმატება იყო 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიადაზე 4x100 მეტრზე ესტაფეტაში მოპოვებული ვერცხლის მედალი.

■ ■ ■

დოპინგ-სკანდალები გახშირდა იამაიკელ მძლეოსნებს შორის. როგორც The Gleaner წერს, ოთხი ათლეტი (ორი მტყორცნელი და ორი სპრინტერი) ეჭვმიტანილია აკრძალული პრეპარატის გამოყენებაში.

იმასაც იტყობინებიან, რომ ორივე მორბენალი - ოლიმპიური თამაშების პრიზიორია. ერთ-ერთს გასულ უქმეებზე ევროპული ტურნირში უნდა მიეღო მონაწილეობა.

ოთხივე სპორტსმენის დოპინგ-სინჯი ეროვნული ჩემპიონატის დროს აიღეს, რომელიც 20-23 ივნისს ჩატარდა.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, აკრძალული პრეპარატის გამოყენებისთვის ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნმა**.



ტაისონ გაი




მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608